

დროებითი საგამოძიებო კომისია "ზექარის საქმეს" შეება A3



მამა ნიკოლოზ ინასარიძე: უწმინდესი ლეონიდეს ანდერძს ვასრულებ A4



შვიდჯერ რვა? A7


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 4 ნოემბერი, 2005 წელი. №245 (1105)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### „ალორძინების" ალორძინება

ოქტომბრის ბოლოს, მასმედიაში თითქოსდა უკვე დავიწყებული მოძრაობა "აიტაირას" ("ალორძინება") განცხადება გამოქვეყნდა. განცხადება ქვეყანაში შექმნილ ვითარებას მიეძღვნა. მასში ნათქვამია, რომ ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების მიუხედავად, რესპუბლიკაში "სისტემური კრიზისის" ნიშნები გაჩნდა.

A2

## ამბები

### სახელისუფლებო ფრაქციის ახალი სახეები

სახელისუფლებო ფრაქციის ხელმძღვანელობაში ახალი სახეები ჩნდება. რამდენიმე დღეში რატი სამყურაშვილი და პალიკო კუბლაშვილი "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" საპარლამენტო გუნდის ლიდერის, მაია ნადირაძის მოადგილეები გახდებიან.

A2

## სამართალი

### ასლან აბაშიძის ადვოკატებმა ამჯერად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს

საკონსტიტუციო სასამართლოში გუშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძისა და მისი ოჯახის წევრების ადვოკატების სარჩელი შევიდა.

A5


იურიდიული ოფისი „გაპი"

და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A8


## ამინდი

| | 4/11 | 5/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 13 |
| ქუთაისი | 20 | 17 |
| სოხუმი | 18 | 17 |
| დმანისი | 12 | 6 |
| გორი | 13 | 10 |
| ონი | 10 | 8 |
| ზუგდიდი | 21 | 19 |
| ახმეტა | 16 | 13 |
| გაგრა | 16 | 17 |
| სამტრედია | 21 | 19 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კური ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1626 |
| ბრიტანეთ. სტერლ. | 3.1750 |
| რუბლი | 0.0630 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| საზოგადოება | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| იურიდიული კონსულტაცია | A 8 |
| ტენდერი | B 2 |
| კვირის TV პროგრამა | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# იგივე რომ მოხდეს ჭავჭავაძის გამზირზე?

### საქართველოს საელჩოს უკრაინაში დამცველები გამოუჩნდნენ

კობა ლიკლიკაძე
*კიევიდან*

*კიევის ცენტრში, გონჩარის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე საქართველოს საელჩოს დიპლომატიური სახლის მშენებლობის საკითხს უკრაინის დედაქალაქის მერიაში 3 ნოემბერს საგანგებო სხდომა მიეძღვნა. ერთსაათიანი განხილვის შემდეგ ყველა მხარე შეთანხმდა, რომ საქართველოს საელჩოს სადავო მიწის ნაკვეთის სანაცვლო სხვა ფართობი უნდა გამოეყოს ქალაქის ცენტრში და უნდა მოხდეს მშენებლობაზე დახარჯული თანხის ანაზღაურება. კიევის საქალაქო საბჭოს ზოგიერთი დეპუტატი მიიჩნევს, რომ საქართველოს საელჩოს აქვს უფლება, განაგრძოს მშენებლობა, თუკი საკითხი ორ თვეში არ გადაწყდება.*

**"კიევის ცენტრში 400-მდე მშენებლობა მაინც მიმდინარეობს, რომლის კანონიერებას საზოგადოებრივი მოძრაობა "კიევის მოქალაქეთა ხმა" დიდი ხანია აპროტესტებს, მაგრამ ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი, რომ ქალაქის დეპუტატებს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, რაიონის მცხოვრებლებს და მშენებლობის პრეტენდენტი ქვეყნის ელჩს ერთად ემსჯელოთ გამოსავალზე,"** - ამბობს კიევის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და მერიასთან არსებული საზღვარგარეთის მისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი პაველ კრივონოსი. ასეთი შეკრების მიზეზი კი გახდა ოქტომბრის შუა რიცხვებში შევჩენკოს რაიონის მცხოვრებთა საპროტესტო აქციები, რომლის მთავარი მოთხოვნა იყო, შეჩერებულიყო საქართველოს საელჩოს დიპლომატიური კორპუსის მშენებლობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიცია თამაშის წესებს არ ცნობს

### და ეს ძალიან ართულებს პოლიტიკურ ფონს

მაია ჭალაგანიძე

*გივი თარგამაძეს ვხედავდით უახლოესი წარსულის ცხელ დროსა და ცხელ წერტილებში – აჭარა-ოსეთში. ვხედავდით უკრაინასა და უზბეკეთში, ვხედავდით პარლამენტში, მაგრამ ხელისუფლების კიდევ რამდენიმე ადამიანთან ერთად ის მაინც შეიმოსა ერთგვარი უძლეველის ბურუსით. თავის დროზე ის საგამოძიებო ჟურნალისტიკის საშუალებით აქტიურად სწავლობდა შევარდნაძისა და მისი ოჯახის უკანონო წილებს. დღეს ის ხელისუფლებაშია და ახლა მისი ოპოზიცია და ხალხი, რომელთაც ბატონი გივი ოპოზიციის "დაქოქილს" უწოდებს, აქტიურად საუბრობს მის წილებზე იპოდრომზე და არა მხოლოდ იქ. როგორც წესი, ამ ხმებს ავრცელებს ან ხელისუფლება, ან გარე ძალები. პირველი შემთხვევა უფრო მძიმე იქნებოდა, მაგრამ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ ეს ინსტიტუტი დღეს ქართულ სახელმწიფოში არ არსებობს. დარჩა გარე ძალები. ქვემოთ ვისაუბრებთ ამ ყველაფერზე და იმაზეც, რით არის ის დაკავებული, როცა ამ მძიმე ბრალდებებს არ პასუხობს.*

გაგრძელება B1 გვერდზე



# პარიზის რეგიონის არეულობები

### "მოლოტოვის კოქტეილებით" შეიარაღებული იმიგრანტები

ხათუნა გაბიევი

პარიზის შემოგარენში ერთი კვირის წინ დაწყებულ არეულობებს ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს. იმიგრანტებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში სროლები უკვე ჩვეულებად იქცა. სენ-დენის რეგიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, შეიარაღებული იმიგრანტების ვანდალური მოქმედების შედეგად 177 ავტომობილია დამწვარი, დაზიანებულია სკოლებისა და ადმინისტრაციული დაწესებულებების შენობები და სავაჭრო ცენტრი.

ახალგაზრდების ჯგუფმა ჯერ პოლიციის განყოფილება მოაქციეს ალყაში, "მოლოტოვის კოქტეილები" ისროლეს ავტობუსების მიმართულებით, ხოლო შემდეგ ავტოსალონი დაწვეს.

გაგრძელება A3 გვერდზე



# თბილისში ტყვიამ და ხმაურმა იმატა

*თბილისის დაბინძურებული გარემოს "გადასარჩენად" სასტუმრო "ზატესტაში" დედაქალაქის საქალაქო სამსახურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ შესაბამისი სამთავრობო უწყებებისთვის რეკომენდაციები შეიმუშავეს.*

ელზა ჯაფოშვილი

თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა, არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკომედექსპრესთან" ერთად, დედაქალაქის გარემოს დაბინძურების და სარეაკრიაციო ზონების მდგომარეობის მოკვლევა დაასრულა, რისთვისაც ქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით 70 000 ლარი დაიხარჯა. მოკვლევამ აჩვენა, რომ დედაქალაქის გარემოს დაბინძურების დონე, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია და ამის ძირითად მიზეზად სპეციალისტები თბილისში ტრანსპორტის მომრავლებას ასახელებენ.

სპეციალისტებმა შეისწავლეს ატმოსფერული ჰაერის, თბილისის ტერიტორიაზე არსებული მდინარეებისა და ტბების მდგომარეობა. ლაბორატორიულად გამოკვლეულია დედაქალაქის სკვერები და ბაღები, არსებული ტბები, მცირე მდინარეები და წყალსაცავები. სპეციალისტების განცხადებით, დედაქალაქში განსაკუთრებით დაბინძურებულია ჰაერი, სადაც საგრძნობლად მომატებულია ტყვიის შემცველობა. ტყვია, მათი განმარტებით, ტოქსიკურ მეტალთა რიცხვს მიეკუთვნება და ჰაერში მისი შემადგენლობის ზრდა ადამიანის ჯანმრთელობისთვის რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. მოკვლევამ აჩვენა, რომ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და გამზირებზე საათში 4000 ერთეულამდე ავტოტრანსპორტი მოძრაობს. მკვლევართა მტკიცებით, სწორედ ჭარბმა მოძრაობამ განაპირობა ჰაერში ტყვიის შემცველობის ზრდა. შეკრებილები "სამკუთხედის" თემასაც შეეხნენ და აღნიშნეს, რომ სამკუთხედის შემოღების შემდეგ კოსტავას და მელიქიშვილის ქუჩებზე განსაკუთრებით გაიზარდა ჰაერის დაბინძურების დონე. ქალაქში ხმაურმაც მოიმატა, რაც, სპეციალისტების განცხადებით, მრავალი დაავადების გამომწვევი მიზეზია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „მზიურის" მომავალი - მერკანტილური თუ რეკრეაციული?

თამარ დვალი

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, "მზიურის" ტერიტორიის უმეტესი ნაწილი კერძო საკუთრებაში გადავიდა. არსებული მონაცემებით, ბოლო წლებში "მზიურის" ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის 50 მესაკუთრე გაჩნდა; ზოგიერთი ნაკვეთი ჰექტარნახევრამდე აღწევს. სპეციალისტების თქმით, მათი უმრავლესობა დოკუმენტურად უზრუნველყოფილია.

შარშან თბილისის ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურმა "მზიურის" ტერიტორიის რუკის შედგენაზე დაიწყო მუშაობა.

ურბანული სამსახურის უფროსის მაშინდელი მოადგილის ბექა ქარსიძის თქმით, რუკის შედგენაზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ვაკე-საბურთალოს საზღვარზე მიმდინარე მშენებლობების უმეტესობა შეჭრილი იყო "მზიურის" ტერიტორიაზე.

**"არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, "მზიურის" საზღვრების შეკუმშვა მოხდა. რეკრეაციულ ზონაში საცხოვრებელ სახლებს ვერ დავტოვებდით. გამოვითხოვეთ გაცემული ტერიტორიების ნუსხა და სწორედ მისი გათვალისწინებით მოხდა საზღვრების დადგენა. "მზიურის" ტერიტორიის დიდი ნაწილი უკვე გაყიდული იყო. აქედან გამომდინარე, თუკი ჩვენ ამ მესაკუთრეების ინტერესებს გავითვალისწინებდით, მაშინ უნდა გვეთქვა, რომ "მზიური", როგორც რეკრეაციული ზონა, აღარ არსებობს. წესით, სანამ ტერიტორიების გასხვისება მოხდება, მანამ უნდა განისაზღვროს ფუნქცია, ზონა, მოცულობა და ა.შ., რაც არ მომხდარა. "მზიურისთვის" სარეკრეაციო სტატუსის შეცვლაზე ჩვენ არ გვიფიქრია,"** – განაცხადა ბექა ქარსიძემ. მისივე განმარტებით, ურბანულმა სამსახურმა მხოლოდ იმ მესაკუთრეთა ინტერესები გაითვალისწინა, რომელთა ნაკვეთებიც თავდაპირველ საზღვრებს ემიჯნებოდა. ქარსიძის თქმით, მაგალითად, კომპანია "არსს" ოთხი საცხოვრებელი სახლის პროექტი ჰქონდა "მზიურის" ტერიტორიაზე, თუმცა, რადგან ზონირებისას ეს ადგილი საზღვარს შიგნით მოხვდა, "არსს" იქ მშენებლობა აეკრძალა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გამომძიებლის უყურადღებობით მოსარგებლე ადვოკატები

*გუშინ შიდა ქართლის საოლქო და რაიონის პროკურორებმა ბრიფინგი მოაწყვეს და საზოგადოებას გორის იურისტთა ასოციაცია "თემიდა"-ს ხელმძღვანელის მამუკა ნოზაძისა და ამავე ასოციაციის წევრის მარინა მაზანაშვილის დაკავების შესახებ აცნობეს.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

პროკურორების განცხადებით, ორივე ადვოკატი ექვემდებარება თაღლითობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი). გორის რაიონის პროკურორის გიორგი ცერცვაძის თქმით, ადვოკატები მამუკა ნოზაძე და მარინა მაზანაშვილი ერთ-ერთი ბრალდებულის ინტერესებს წინასწარი გამოძიების დროს იცავდნენ. იმ ბრალდებულს (პროკურორები მის სახელსა და გვარს არ ასახელებენ) გორის რაიონული სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო 2500 ლარის ოდენობით, რაც ბანკში მოსამართლის ბრძანებაში მითითებულ სპეციალურ ანგარიშზე უნდა შეეტანათ.

**"ბრალდებულის კანონიერმა წარმომადგენელმა (პროკურატურა მის ვინაობასაც არ ასახელებს) მოაგროვა აღნიშნული თანხა და მამუკა ნოზაძეს და მარინა მაზანაშვილს მიუტანა. მათ ბრალდებულის წარმომადგენელს ურჩიეს, თანხა მოსამართლის მითითებულ ანგარიშზე კი არა, იმ ანგარიშზე შეეტანა, სადაც ეტყოდნენ. ნოზაძემ ბრალდებულის წარმომადგენელს უთხრა, რომ ერთ თვეში თანხას უკან გამოიტანდა, საიდანაც თანხის ნაწილს ისევ ნოზაძეს მისცემდა. მართლაც მოხდა თანხის შეტანა, ოღონდ არამიზნობრივად, სულ სხვა ანგარიშზე,"** - ამბობს გიორგი ცერცვაძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

## თბილისში ტყვიამ და ხმაურმა იმატა

პირველი გვერდიდან

"უმოქმედობის გაგრძელება თვითმკვლელობის ტოლფასია," - განაცხადეს სასტუმრო "ბატესტაში" შეკრებილებმა. შეხვედრის ბოლოს გაკეთებული დასკვნით, დედაქალაქის დაბინძურებული გარემოს გადასარჩენად აუცილებელია, მთავრობამ კონკრეტული ღონისძიებები დროულად გაატაროს. კერძოდ: ჰაერის გაწმენდისა და დაცვის მიზნით საჭიროა საყოფაცხოვრებო ნაგვის, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეზღუდვა, ხმაურის შემცირების მიზნით ტრანსპორტის ხმოვანიანი საყვირის აკრძალვა და ქალაქში არსებული ტბების, წყალსაცავებისა და მდინარეების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, დაბინძურების წყაროების დაზუსტება.

## ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალი აუცილებლად გაიზრდება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ კომენტარი გააკეთა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალის გაზრდას შეეხება. მთავრობის წევრები საქართველოს ეროვნული ბანკის ამ ინიციატივას მხარს არ უჭერენ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განმარტებით, მთავრობის აზრი მოსასმენია, მაგრამ არა სავალდებულოდ გასათვალისწინებელი.

**"საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის" თანახმად, შემოსავლების რეზერვებში განაწილებასა და კაპიტალის ზრდის საკითხს წყვეტს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო და საქართველოს პარლამენტი, მაგრამ არა - მთავრობა. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ისევე როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო, ამ გადაწყვეტილებას მხარს ერთსულოვნად უჭერს და ჩვენ მას არ შევცვლით. ამასთან, ეს საკითხი ასახულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებულ მემორანდუმში, რომელიც რამდენიმე თვის წინ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომაც მოიწონა. მთავრობამ თვითონ უნდა გაარკვიოს, როდის მიაჩნდა ეს გადაწყვეტილება არასწორად – სამი თვის წინ თუ ახლა,"** – აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

რომან გოცირიძის განმარტებით, **"მთავრობა ამ გადაწყვეტილებას იღებს მაშინ, როდესაც მას ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების საკმაო ნაწილი ვერ აუთვისებია და საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშებზე 180 მილიონი ლარი აქვს აკუმულირებული. ამდენად, ყოველწლიურად 8 მილიონი ლარის კაპიტალის ზრდაზე უარის თქმა, ბიუჯეტში დივიდენდების სახით შემოსავლების შემცირების მოტივით, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია."**

**"საქართველოს ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალი აუცილებლად გაიზრდება,"** - აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

*24 საათი*

## ბოროტმოქმედებმა 22 წლის ახალგაზრდა მოკლეს

თბილისის შს მთავარ სამმართველოში არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისის ისანი-სამგორისა და თეთრიწყაროს შს რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში მოქმედი ბოროტმოქმედთა შეიარაღებული ორგანიზებული ჯგუფის წევრობაში 6 პირი ამხილეს.

სამართალდამცველთა მტკიცებით, აღნიშნული ჯგუფის წევრები ქურდავდნენ მოქალაქეებს, ყაჩაღობდნენ, კლავდნენ და გამოირჩეოდნენ სისასტიკითა და აგრესიულობით. მათგან რამდენიმე პოლიციამ 22 წლის გიორგი ფოცხვერაშვილზე ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის ფაქტზე დააკავა. შს სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ბოროტმოქმედთა ჯგუფის წევრები - 25 წლის კახაბერ რობიტაშვილი, მეტსახელად "ვერანი", 18 წლის გენადი მიქელაძე, მისი თანატოლი ნოდარ გოგუა, ნასამართლევი, 21 წლის ბესო ჯინჭარაძე და ძმები, 20 და 19 წლის გიორგი და გურამ მანთიძეები - წარსულში ნასამართლევი არიან

სამართალდამცავთა მონაცემებით, ნოდარ გოგუა და გიორგი მანთიძე, რომლებიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მეტროსადგურ "ვარკეთილის" მიმდებარე ტერიტორიაზე ჩასხდნენ კერძო ტაქსში, ავტომანქანა "ვაზ-2103"-ში და მის მფლობელს, 22 წლის გიორგი ფოცხვერაშვილს მოსთხოვეს მე-3 მასივში, კალაუბნის ქუჩაზე გაყვანა. ადგილზე მისულებმა ფოცხვერაშვილი აიძულეს, გაეჩერებინა მანქანა, რის შემდეგაც, იქვე ჩასაფრებულმა, თეთრ ნაქსოვ ნიღბებში მყოფმა დაჯგუფების წევრებმა: კახაბერ რობიტაშვილმა, გურამ მანთიძემ, გენადი მიქელაძემ და ბესო ჯინჭარაძემ იარაღის გამოყენების მუქარით ფოცხვერაშვილი გადაიყვანეს ავტომანქანიდან, წაართვეს მობილური ტელეფონი, ფული და ავტომანქანის მაგნიტოფონი. დაზარალებულმა წინააღმდეგობა გაუწია ბოროტმოქმედებს, რობიტაშვილს ჩამოგლიჯა ნიღაბი, რის შემდეგაც მან გადაჭრილი სანადირო თოფიდან, თავის არეში გასროლით ადგილზევე მოკლა ფოცხვერაშვილი. შემთხვევის ადგილზე რობიტაშვილს დარჩა ნიღაბი და ცალი ფეხსაცმელი. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად რობიტაშვილი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ საღრაშენში დააკავეს. მისი ჩხრეკისას ამოღებულია მოკლულის მობილური ტელეფონი. გიორგი და გურამ მანთიძეები, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილში დააკავეს, ხოლო გენადი მიქელაძე და ბესო ჯინჭარაძე - თბილისში, მე-3 მასივის ტერიტორიაზე. შს სამინისტროს მტკიცებით, დაკავებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. ტარდება ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები ნოდარ გოგუას ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავებისა და ამ დაჯგუფების წევრების სხვა დანაშაულებებში მხილების მიზნით.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## გასწორება

ჩვენი გაზეთის 2 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში "ჩვენი გზა ხელისუფლების დისკრედიტაცია არ არის" გაიპარა შეცდომა. ნომრის სტუმრის, თინა ხიდაშელის სიტყვები "ამას დაერთო დათო უსუფაშვილის ძმის გახმაურებული დაკავება" უნდა იკითხებოდეს ასე: "დათო უსუფაშვილის ძმის საქმის გამო სასამართლოს აღმასრულებლის, ირაკლი სიორიძის გახმაურებული დაკავება."

## განცხადება

**შპს "4X4" დირექცია იწვევს დამფუძნებელთა საერთო კრებას 2005 წლის 11 ნოემბერს, 15:00 სთ-ზე, საამქროში.**

**სამგორის ქ. N6**

**დირექცია**

## განცხადება

**გაზეთ "24 საათის" 26 სექტემბრის N 213-ე ნომერში გარდაბნის რაიონის მიერ გამოქვეყნდა ღია ტენდერი სოფ. კრწანისში სასროლეთის აშენების შესახებ.**

**მსურველთა და შესაბამისად დოკუმენტაციის არარსებობის გამო ტენდერის ჩატარება გადაიდო გაურკვეველი ვადით.**

# „მზიურის" მომავალი - მერკანტილური თუ რეკრეაციული?

პირველი გვერდიდან

მას შემდეგ, რაც "მზიურის" რუკა გამზადდა, დასამტკიცებლად ქალაქის მთავრობას გადაეცა, მაგრამ დამტკიცება განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

ამავე პერიოდში დაინიშნა თბილისის ახალი მერი გიგი უგულავა, რომელმაც ურბანული სამსახურის უფროსი გიორგი ასათიანი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ქალაქის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ არქიტექტურულ წრეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა იმ პროექტების წინ წამოწევას აპირებდა, რომელიც ჭიაბერაშვილის მერობის დროს იყო დაბლოკილი.

კულუარული ინფორმაციით, იპოდრომის, ზოოპარკისა და "მზიურის" ტერიტორიებზე მშენებლობების დაწყება იგეგმებოდა. ქალაქის მერმა და ურბანული სამსახურის ახალმა უფროსმა ნიკოლოზ ჩხაიძემ მიმდინარე წლის ზაფხულში ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

არქიტექტორთა ერთი ნაწილი ეჭვს გამოთქვამდა, რომ "მზიურის" ტერიტორიის რუკის დამტკიცება არ მოხერხდებოდა მანამ, სანამ ახალი ზონირების შემდეგ "მზიურის" საზღვრები კიდევ უფრო არ შეიკვეცებოდა.


მშენებლობით შევიწროებული "მზიურის" ერთი კუთხე.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

14 სექტემბერს ქალაქის მერი გიგი უგულავა, თბილისის პრემიერი თემურ ქურხული და ურბანული სამსახურის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩხაიძე "მზიურში" მივიდნენ და პირველი განცხადებები გააკეთეს.

**"ყველა მენაშენემ უნდა იცოდეს, რომ "მზიურის" ტერიტორიაზე სამშენებლო ბუმს ვეღარ გააჩაღებენ. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გამოვყოთ "მზიურის" ტერიტორია, გავაკეთოთ წითელი ხაზები და შემდეგ შემოვღობოთ. ამიერიდან "მზიურს" შემეცნებითი პარკის მიმართულება მიეცემა,"** – ასეთი იყო მაშინ დედაქალაქის მერის გადაწყვეტილება.

"მზიურში" გაკეთებული განცხადებების მეორე დღეს, 15 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა ახალი დადგენილება. 158-ე დადგენილებით, მერიას დაევალა "თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში "მზიურისა" და ზოოპარკის ტერიტორიების გაერთიანების ხარჯზე, საზოგადოებრივი მუნიციპალური პარკის მოწყობისა და დარჩენილი ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება და დამტკიცება."

თბილისის საკრებულოს 7 ოქტომბრის დადგენილებაში კი ჩაიწერა: "აღნიშნული ღონისძიების განხორციელებამდე (მთავრობის დადგენილება იგულისხება) საჭიროა, დარჩენილი ტერიტორიების ნაწილს შეეცვალოს ზონის სტატუსი და მიენიჭოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსი." საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს 5-6 ოქტომბრის სხდომაზე, რომელმაც შესაბამისი რეკომენდაცია შეიმუშავა. ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარის ვლადიმერ ვარდოსანიძისა და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას თქმით, საბჭოს სხდომა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან "მზიურის" ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

**"საბჭოს სხდომა შედგა 2005 წლის 5-6 ოქტომბერს. ეს ის დროა, როდესაც საქართველოს მთავრობას "მზიურის" ბედის განმსაზღვრელი დადგენილება გამოტანილი აქვს. ამიტომაც, საბჭოს მიღებულ გადაწყვეტილებას ტექნიკური გაფორმების მხოლოდ ბეჩავი როლიღა უნდა შეესრულებინა. აღსანიშნავია, რომ ამ ზაფხულს თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში შეიქმნა თბილისში მდ. ვერეს ხეობის (გმირთა მოედნიდან გურამიშვილის ქუჩამდე საზღვრებში) ტერიტორიების კომპლექსური ანალიზის შემსწავლელი კომისია.**

**კომისიის ხელში იყო დამაჯერებელი საექსპერტო დასკვნები: მ. გაფრინდაშვილისა - საინჟინრო გეოლოგიაში; ბ. უკლებასი - ჰიდროგეოლოგიაში; ლ. ქართველიშვილისა – სამშენებლო კლიმატოლოგიაში. კომისია ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ მდ. ვერეს ხეობა კვლავაც რეკრეაციული დანიშნულების ტერიტორიად უნდა იყოს მოაზრებული და იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებსაც, მაგრამ სამსახურმა სულ სხვა შინაარსის დოკუმენტები აამოქმედა. წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებისათვის ერთი დაბრკოლება რჩებოდა. ეს დაბრკოლება იყო "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭო."**

**ამ საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა ქ. თბილისის საკრებულოსთვის ქალაქგანვითარების განხორციელების პოლიტიკის განსაზღვრის მოსაზრებების მომზადება და ამიტომაც, ბუნებრივია, მდ. ვერეს ხეობის საკითხიც საბჭოს უნდა განეხილა. საბჭოს წევრი არქიტექტორები - ბათიაშვილი, მოსიაშვილი, ნემსაძე და ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგები ვიყავით "მზიურის" ტერიტორიის ნაწილისათვის (სარეკრეაციო ზონისთვის) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსის მინიჭებისა,"** – აცხადებენ დავითაია და ვარდოსანიძე.

მათივე თქმით, შექმნილ სიტუაციაში, საბჭოს თავმჯდომარემ თემურ ქურხულმა, საკითხის არასაკმარისი მომზადების გამო, განხილვა ერთი კვირით გადადო, მაგრამ, რატომღაც ის ჩატარდა მეორე დღესვე, 6 ოქტომბერს. ამ სხდომაზე საბჭოს წევრი არქიტექტორები (ანუ ოპონენტები) არ მიიწვიეს. მოწინააღმდეგეთა მხრიდან სხდომას მხოლოდ ვლადიმერ ვარდოსანიძე დაესწრო, რომელმაც შემთხვევით გაიგო ამის შესახებ. ოქმში კი ჩაიწერა: "გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დამსწრეთა უმრავლესობით, საწინააღმდეგო აზრი დააფიქსირა მხოლოდ ვლადიმერ ვარდოსანიძემ."

ამ ოქმის საფუძველზე, მეორე დღესვე (7 ოქტომბერს) თბილისის საკრებულომ დაადგინა: "მზიურისა" და ზოოპარკის გაერთიანების შედეგად დარჩენილი ტერიტორიების ერთ ნაწილს - თაქთაქიშვილის და კავსაძის ქუჩების ღერძებს შორის მონაკვეთს - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსი მიენიჭოს.

**"ჩვენი დასკვნა ასეთია: არ უნდა დავუშვათ "მზიურის" ტერიტორიის თუნდაც ნაწილის სტატუსის შეცვლა, ანუ მავანთა და მავანთა კომერციულ-მერკანტილური მისწრაფებების დაკანონება; უნდა გამოცხადდეს ღია კონკურსი "მზიურის" კეთილმოწყობის კონცეფციაზე; გამარჯვებული კონცეფცია საფუძვლად უნდა დაედოს პროექტს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი ინვესტიციებზე და ინვესტორებზე,"** – განაცხადეს "24 საათთან" საუბრისას ვლადიმერ ვარდოსანიძემ და ვახტანგ დავითაიამ.

**P.S** ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად თბილისის ურბანულ სამსახურში "მზიურის" განაშენიანების შესახებ კონკურსის პირობებზე მუშაობა მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება კონკურსის პირობები და ჟიურის წევრთა ვინაობა.

# „აღორძინების" აღორძინება

ენვერ კუპრავა
სოხუმიდან

ოქტომბრის ბოლოს, მასმედიაში თითქოსდა უკვე დავიწყებული მოძრაობა "აიტაირას" ("აღორძინება") განცხადება გამოქვეყნდა. განცხადება ქვეყანაში შექმნილ ვითარებას მიეძღვნა. მასში ნათქვამია, რომ ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების მიუხედავად, რესპუბლიკაში "სისტემური კრიზისის" ნიშნები გაჩნდა. "აიტაირას" აზრით, პრობლემა ისაა, რომ არ განხორციელდა საკონსტიტუციო რეფორმა.

ყველა პირობა არსებობდა იმისა, რომ "აიტაირა" პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას ვერ შეძლებდა. ამ მოძრაობამ ჯერ კიდევ 1999 წელს საფუძველი ჩაუყარა ოპოზიციურ მოძრაობას აფხაზეთში. მაშინ მისმა შექმნამ საზოგადოებაში შოკი გამოიწვია. ოპოზიციონერობა მონოლითურ საზოგადოებაში, რომელიც საქართველოსგან დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, საშიში იყო. მიუხედავად ამისა, "აიტაირა" პირველი პოლიტიკური ძალა გახდა, რომელიც არძინბას რეჟიმის ღია კრიტიკით გამოვიდა.

იმ გარემოების მიუხედავად, რომ შარშანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში პოლიტიკური ძალების ალიანსმა გაიმარჯვა, რომელშიც "აიტარაც" შედიოდა, იმის თქმა, რომ ის დღეს "ხელისუფლების პარტიაა", არ შეიძლება. თუმცა, ის დღეს უფრო მეტადაა "ხელისუფლების პარტია", ვიდრე ალიანსში შემავალი ნებისმიერი სხვა ძალა. მოძრაობის ლიდერები - ალექსანდრე ანქვაბი და ლეონიდ ლაკერბაია, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრი და ვიცე-პრემიერი გახდნენ. ახალი მთავრობის კულტურის მინისტრიც "აიტაირას" წევრია. სწორედ ორგანიზაციის პოლიტიკური წარმატება გახდა მისი პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტის პირველი სიმპტომი. თუმცა, თავად მოძრაობაში ასე არ მიიჩნევდნენ და მოძრაობის პარტიად გარდაქმნას გეგმავდნენ. ამ პროცესის ხელმძღვანელობას ახლანდელი ვიცე-პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია აპირებდა. იგი დიდხანს არ თანხმდებოდა მთავრობაში გადასვლას, თუმცა, როდესაც საბოლოოდ ხელისუფლებაში წავიდა, პარტიული მშენებლობის პროცესი ისე შეჩერდა, რომ არც დაწყებულა. ეს ორგანიზაციის მოახლოებული სიკვდილის კიდევ ერთი სიმპტომი გახდა. მესამე სიმპტომად კი აფხაზეთში ხელისუფლების შეცვლაში მონაწილე ყველა ძალის ბაზაზე ერთიანი ძლიერი სახელისუფლებო პარტიის შექმნის იდეა იქცა.

მაგრამ აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით "აიტაირამ" ხაზი გაუსვა თავის დაბრუნებას პოლიტიკურ ასპარეზზე. ახლა მოძრაობას აქამდე საშუალო რგოლის საკადრო შემადგენლობა უხელმძღვანელებს. მოძრაობის ძველ ელიტაზე კი საკმაოდ დიდი მოთხოვნაა, და არა მხოლოდ ხელისუფლებაში. მოძრაობის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე ოლეგ დამენია მალე აფხაზეთის სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრს ჩაუდგება სათავეში და ამ ორგანიზაციის მეშვეობით ხელისუფლებაზე აქტიური ზეგავლენის მოხდენას აპირებს. "აიტაირას" კიდევ ორი მნიშვნელოვანი ფიგურა – გენადი ალამია და ვადიმ სმირი - რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ოპოზიციაში გადავიდა, ანუ იმათთან, ვისაც "აიტაირაში" ყოფნისას ებრძოდნენ.

გენადი ალამიას კარიერა შედგა – იგი ოპოზიციური ძალების ახალშექმნილ ალიანსს ჩაუდგა სათავეში. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური ორიენტაციის ასეთი დიამეტრალური ცვლილება უარყოფითი დამოკიდებულების შედეგია ანქვაბის გაპრემიერებისადმი, რომლის მიმართაც ალამიასაც და სმირსაც ძალიან ცივი დამოკიდებულება აქვთ.

"აიტაირას" ხალხის პრობლემა არ აწუხებს, ვინაიდან ორგანიზაციაში ორი ათას წევრამდეა, მაგრამ იდეების მხრივ საქმე უარესადაა. ერთადერთი ლოზუნგი, რომელიც "აიტაირამ" თავის განცხადებაში დააფიქსირა, საკონსტიტუციო რეფორმაა. ეს ძველი სიმღერაა. ამ ლოზუნგს "აიტაირა" წინა პრეზიდენტთან, ვლადისლავ არძინბასთან მწვავე დაპირისპირების დროს იყენებდა. მაშინ მოთხოვნა, პრეზიდენტის ძალაუფლების შეზღუდვის მიზნით, საკონსტიტუციო ცვლილებების გატარებაში მდგომარეობდა. მაგრამ, როგორც დრომ აჩვენა, პრობლემები არა ცუდი კონსტიტუციის, არამედ აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების უზურპაციისადმი სწრაფვის გამო არსებობდა.

თუმცა, ახალი განცხადება "აიტაირას" უკვე ზომიერად ოპოზიციური ძალის იმიჯს უქმნის. გამოთქვამს რა კმაყოფილებას ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების შესახებ, მოძრაობა იმავდროულად შეშფოთებულია არსებული კრიზისის გამო - პირველ რიგში, ეკონომიკაში(?!).

ოპოზიციის მიერ შექმნილი ალიანსი, რომელსაც "აიტაირას" ყოფილი თანათავმჯდომარე ალამია ხელმძღვანელობს, ნაციონალურ-კონსერვატიულ პროექტს წააგავს. ახალი ოპოზიციის ბომონდს მიდრეკილება აქვს ეთნოკრატიის ტენდენციების განვითარებისადმი, მოუწოდებს სახელმწიფოს მშენებლობისკენ ტრადიციული და არა ევროპული ღირებულებების საფუძველზე. ასეთ ფონზე არ არსებობს ოპოზიცია, რომელიც აფხაზეთის მოდერნიზაციის პროცესის განვითარებას დაუჭერს მხარს. თუმცა ძნელი სათქმელია, აქვს თუ არა "აიტაირას" პოტენციალი ასეთი ოპოზიციის ინიცირებისათვის. ახალი ლოზუნგები შესაძლოა, მომავალში გაჩნდეს, მაგრამ ორგანიზაციის მართვადობის ხარისხი მისი ამჟამად ხელისუფლებაში მყოფი დამფუძნებლების მიერ თვალშისაცემია.

"აიტაირას" განცხადების შემუშავება ვიცე-პრემიერ ლეონიდ ლაკერბაიას პატრონაჟით მიმდინარეობდა, საკონსტიტუციო რეფორმა კი სწორედ მისი განუხორციელებელი ოცნებაა. იმ სიტუაციაში, როდესაც მოძრაობის მართვა ზემოდან მოხდება, როგორც ჩანს, არა სრულყოფილი ოპოზიციური სტრუქტურა, არამედ "ჯიბის", "სწორი" ოპოზიცია შეიქმნება.

შესაძლოა, "აიტაირას" "რეანიმირების" სურვილზე კიდევ ერთმა მომენტმა იმოქმედა. ეს ერთიანი სახელისუფლებო პარტიის შექმნის არშემდგარი პროექტია. არჩევნების შემდეგ გამარჯვებული ძალების მიერ პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელება მხოლოდ ერთიანი სახელისუფლებო პარტიის კონტექსტში მოიაზრებოდა. თუმცა, პროცესი წინ არ წასულა. დღეს კი ყოფილი ალიანსის ორი სხვა დიდი ძალა – "ერთიანი აფხაზეთი" და "ამცახარა" - საკუთარი გზით სვლას ამჯობინებს.

# სახელისუფლებო ფრაქციის ახალი სახეები

გიორგი ასანიშვილი

სახელისუფლებო ფრაქციის ხელმძღვანელობაში ახალი სახეები ჩნდება. რამდენიმე დღეში რატი სამყურაშვილი და პალიკო კუბლაშვილი "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" საპარლამენტო გუნდის ლიდერის, მაია ნადირაძის მოადგილეები გახდებიან. ამ თანამდებობაზე ისინი ფრაქციის გუშინდელ სხდომაზე უნდა აერჩიათ, მაგრამ იმის გამო, რომ კუბლაშვილი მივლინებაში იმყოფება, თანაგუნდელებისთვის ახალი შეფების წარდგენა ორშაბათისთვის გადაიდო.

მაია ნადირაძე ადასტურებს, რომ დავით ზურაბიშვილის ოპოზიციაში გადასვლისა და კობა ბექაურისთვის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის დროებით შეჩერების შემდეგ წარმოქმნილ ვაკანსიებს სწორედ სამყურაშვილი და კუბლაშვილი დაიკავებენ. მისივე განმარტებით, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობა ლიმიტირებული არ არის და **"ეს თანამდებობა შეიძლება ოთხმა, შეიძლება ათმა დეპუტატმაც კი დაიკავოს."**

**"რა მიმართულებას წარუძღვება და რომელ სფეროებს გაუწევს კურატორობას კუბლაშვილი, ადვილი მისახვედრია, რატი კი ამ საკითხს თავად გადაწყვეტს,"** - აცხადებს მაია ნადირაძე. ფრაქციის ლიდერი "ადვილად მისახვედრში" იმას უნდა გულისხმობდეს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ძმა, პალიკო კუბლაშვილი განათლებით იურისტია და 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში გამარჯვებამდე და ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატად არჩევამდე, იგი პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი იყო.

რაც შეეხება რატი სამყურაშვილის პოლიტიკურ კარიერას, ის 1998 წელს "საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის" (სმაკ) ცენტრალური სათათბიროს ვიცე-სპიკერობით დაიწყო. მოგვიანებით, სამყურაშვილი მუშაობდა სმაკ-ის საკადრო რესურსებისა და საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურების უფროსად, აგრეთვე, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს აპარატის უფროსის თანაშემწედ. მოგვიანებით, "ნაციონალური მოძრაობის" ჩამოყალიბების შემდეგ, იგი გლდანის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი რატი სამყურაშვილს, "ნაციონალების" პარტიული სიით, დეპუტატად ირჩევენ. საკანონმდებლო ორგანოში იგი იმ "ჩუმ დეპუტატებს" შორის აღმოჩნდა, ვინც ნაკლებად აქტიურობს და მხოლოდ მაშინ მიდის მიკროფონთან, როდესაც ოპოზიციის გალანძღვა და მწარედ გაკრიტიკებაა საჭირო.

## მოკლედ

### "მადნეულის" მფლობელი შესაძლოა, რაჭის დარიშხანის საბადოთი დაინტერესდეს

"მადნეულის" ტენდერში გამარჯვებული ბრიტანულ-რუსული კომპანია "სტენტონ ექვითის კორპორეიშენი" საქართველოში სამთომოპოვებითი მრეწველობით ინტერესდება. როგორც კომპანიის წარმომადგენელმა ალექსეი ვოლკოვმა განაცხადა, დღეს საქართველოს ეკონომიკაში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე "ვარდების რევოლუციამდე" იყო, ამიტომ "პრომიშლენიე ინვესტორის" შვილობილი კომპანია საქართველოს ეკონომიკაში დაახლოებით 150 მილიონი დოლარის ინვესტირებას შეეცდება. არ არის გამორიცხული, რომ ეს კომპანია "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზებითაც დაინტერესდეს.

ამ ინფორმაციას ადასტურებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძეც. მისი თქმით, "ჭიათურმანგანუმის" ხელახლა პრივატიზების შემთხვევაში ერთ-ერთი პრეტენდენტი სწორედ ეს კომპანია იქნება. ბრიტანულ-რუსული კომპანია ასევე რაჭაში მდებარე დარიშხანის საბადოთიც ინტერესდება და მან შესაძლოა ინვესტიციები ამ კუთხითაც მიმართოს. **მედიანიუსი**

### ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარებისთვის "თბილგაზმა" 9 ობიექტი დააჯარიმა

ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარებისათვის გუშინ "თბილგაზმა" 9 ობიექტი დააჯარიმა. საჯარიმო სანქციების განხორციელება "თბილგაზის" მარეგულირებელმა კომისიამ სასტუმრო "ილიანესთვის" 600-ლარიანი ჯარიმის დაკისრებით დაიწყო.

როგორც "თბილგაზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ეკა სარიამ განაცხადა, ბუნებრივი აირის უკანონოდ მოხმარებისთვის "ჯი-პი-აი ჰოლდინგი", რესტორანი "ჯაზუ", რომლის კომპლექსში სუპერმარკეტი და აფთიაქიც შედის, სხვადასხვა სასტუმროები, საცხობები, რესტორნები და ოფისები დაჯარიმდნენ. მისივე ინფორმაციით, რესტორან "ჯაზუს" 5000 ლარის ოდენობის ჯარიმა და მოპარული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა დაეკისრა. მიუხედავად უამრავი გაფრთხილებისა და შემოწმებისა, აღნიშნული ობიექტები გაზს არალეგალურად მოიხმარდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### აურზაური აზარტული თამაშების ირგვლივ

პარლამენტარი ბეჟან ბუცხრიკიძე რეგიონებში აზარტული და მომგებიანი თამაშობების სანებართვო მოსაკრებლის გაორმაგების წინააღმდეგია.

როგორც გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ბეჟან ბუცხრიკიძემ განაცხადა, რეგიონებში აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობები ისედაც ჩრდილშია მოქცეული, ამიტომ სანებართვო მოსაკრებელის გაზრდა მათ დამალვისაკენ კიდევ უფრო უბიძგებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გუშინ კომენტარი ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემაც გააკეთა.

როგორც გოდაბრელიძემ განაცხადა, ბეჟან ბუცხრიკიძემ საკუთარი შენიშვნები წერილობით უნდა ჩამოაყალიბოს და ფინანსთა სამინისტროს ამის შესახებ აცნობოს.

კანონპროექტი "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა დღეს მეორე მოსმენით განიხილა. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობებისთვის სანებართვო მოსაკრებლები ორმაგდება. კერძოდ, წამახალისებელი გათამაშების, ლოტოსა და ბინგოს მოწყობისათვის სანებართვო მოსაკრებელი თითოეულ სახეობაზე 3000 ლარი გახდება, სათამაშო აპარატების სალონების მოწყობის ნებართვა 4000 ლარი ეღირება, ხოლო ტოტალიზატორების მოწყობის ნებართვა - 6000 ლარი. **ინტერპრესნიუსი**

### გილაური ვარაუდობს, რომ ზამთარში ქვეყანას ელექტროენერგიის პრობლემა არ შეექმნება

**"ენერგოსისტემაში თუ ავარიები არ მოხდა, ქვეყანას ელექტროენერგიის მხრივ პრობლემები არ შეექმნება."** ამის შესახებ გუშინ, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა სახელმწიფო კანცელარიაში, ენერგეტიკის კომისიის სხდომის დაწყების წინ განაცხადა. ნიკა გილაურის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ზამთრისთვის მზადება დაიწყო და უკვე ჩატარებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები ჰესებზე და გადამცემ ხაზებზე. გარდა ამისა, გაფორმებულია ხელშეკრულებები **"ასე რომ, ქვეყანას ელექტროენერგიის მხრივ პრობლემები არ უნდა შეექმნას, თუმცა ენერგეტიკის სექტორში მდგრადობა ჯერჯერობით არ არსებობს და ავარიებისგან დაზღვეულები არ ვართ,"** - განაცხადა ნიკა გილაურმა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# დროებითი საგამოძიებო კომისია "ბექაურის საქმეს" შეება

გიორგი ასანიშვილი

*ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნესინტერესების შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიაში შემავალი, უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენელი პარლამენტარები ჯერჯერობით კონსტრუქციულად თანამშრომლობენ. მთელ რიგ საკადრო და საორგანიზაციო საკითხებზე გუშინ ისინი ადვილად შეთანხმდნენ.*

დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის (მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ რუხაია) მოადგილედ ერთხმად იქნა არჩეული "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი, ხოლო კომისიის მდივნად - ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" წევრი ბადრი ხატიძე. აღსანიშნავია, რომ კომისიის მდივნად ახლად შექმნილი ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლის არჩევა ივარაუდებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში ოპოზიციამ ჩათვალა, რომ ეს თანამდებობა აბსოლუტურად გამოუსადეგარია და კანდიდატურა აღარ წამოაყენა.

დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და ირწმუნებიან, რომ ე.წ "ბექაურის საქმის" გამოსაძიებლად რეგლამენტით გათვალისწინებულ სამ თვეზე ნაკლები დრო დასჭირდებათ. გუშინ მათ, თანამდებობებთან ერთად, ფუნქციებიც გადაინაწილეს. ისინი შეთანხმდნენ, თუ რა მასალები უნდა შეისწავლონ და ვინ უნდა დაკითხონ. თუმცა, კონკრეტული გვარები ჯერჯერობით საჯაროდ არ სახელდება.



კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ გიორგი ცაგარეიშვილი, ხოლო მდივნად - ბადრი ხატიძე აირჩიეს.

**"დახურულ სხდომაზე კონკრეტული პიროვნებების შესახებ არ გვიმსჯელია. მხოლოდ ზოგადად ითქვა მათზე, ვინც კომისიამ შეიძლება მოიწვიოს,"** - აცხადებს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" მიერ საგამოძიებო კომისიაში წარგზავნილი ნინო კალანდაძე.

**"პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს დოკუმენტაციის გაცნობა და, ალბათ, ამის შემდეგ გამოიკვეთება იმ ადამიანთა წრე, რომლებითაც კომისია დაინტერესდება,"** - თითქმის იგივეს ამბობს დროებითი კომისიის "მემარჯვენე" წევრი ფიქრია ჩიხრაძე.

მართალია, საგამოძიებო კომისიის მუშაობის საწყისი ეტაპით ოპოზიცია, მთლიანობაში, კმაყოფილია, მაგრამ ერთ საყვედურს მაინც გამოთქვამს. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი აღნიშნავს, რომ პარლამენტის აპარატმა კომისიას სამუშაო ოთახი დღემდე არ გამოუყო.

**"პარლამენტის შენობაში უამრავი ცარიელი სამუშაო ოთახია. შემიძლია, ისინი პირადად ვაჩვენო სპიკერსა და ვიცე-სპიკერს. თუ ელემენტარული პირობები არ გვექნება, შედეგიანად ვერ ვიმუშავებთ. საიდუმლო დოკუმენტებს ერთი ოთახიდან მეორეში ხომ არ ვარბებინებთ?"** - პროტესტს გამოთქვამს გიორგი ცაგარეიშვილი.

## ვისთვის უნდა მიეცა ეკონომიკის სამინისტროს „მადნეული"?

ექსპერტის მოსაზრება

*სს "მადნეულზე" გამოცხადებულ კონკურსში დამარცხებული ბრიტანულ-ქართული "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" ჯერ ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან, შემდეგ კი სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს. კომპანიაში ირწმუნებიან, რომ მათი პირობები ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე მათი კონკურენტის. საკუთარ უპირატესობას ამტკიცებს გამარჯვებული Stanton Equities Corporation-იც. "24 საათი" ეკონომიკურ ექსპერტსა და იურისტს მალხაზ ძიძიკაშვილს დაუკავშირდა და ორივე კომპანიის საკონკურსო წინადადებების შეფასება სთხოვა. ქვემოთ გთავაზობთ ექსპერტის მოსაზრებას.*

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ ამ გადაწყვეტილების მიღების დროს დაარღვია მინისტრის მიერ № 1-1/1013 ბრძანებით დადგენილი საკონკურსო პირობები. კერძოდ, საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი - საკონკურსო პირობების დაკმაყოფილება და მეტი ფასის გადახდა.

უსუსურია სამინისტროს პოზიცია, რომ Stanton Equities Corporation ჯამში (ყიდვის ღირებულებას + გადასახადის ნაწილი) იხდის მეტს, ვინაიდან საკონკურსო პირობებში სამინისტროს არ გამოუცხადებია, რომ ს.ს. "მადნეული" ან შპს "ტრანსჯორჯია რესურსი" გათავისუფლებული იქნებოდა რაიმე სახის საგადასახადო ვალებულებებისაგან და, აქედან გამომდინარე, ორივე წინადადება უნდა უარყოფილიყო, ვინაიდან ორივე წინადადების მოთხოვნა იყო ვალებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება სახელმწიფოს მხრიდან.

**ორივე კომპანიამ იკისრა საკონკურსო პირობების შესრულების ვალდებულება და, წესით, წინადადებას, რომელიც მეტი ფასის გადახდას ითვალისწინებდა, უნდა გაემარჯვა.**

ხელშეკრულებების შედარებისას ის მოთხოვნები, რაც წამოყენებული აქვს Stanton Equities Corporation - SEC-ს, შენიღბული ფორმით წამოყენებულია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" წინადადებაში, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ხელშეკრულების პროექტს უფრო მკაცრი პირობებით. ამის ნათელი მაგალითია 1.3. პუნქტი და მისი ქვეპუნქტები, კერძოდ, ითხოვს "საკუთრების კანონიერი ტიტული და საბაზრო ან იურიდიული ძალის მქონე საიჯარო უფლება მის ყველა ქონებაზე და აქტივებზე, რაც შეიძლება განვიხილოთ SEC-ის მეორე პირობის მსგავს პირობად, ხოლო პრაქტიკულად რეაბილიტაციის პროცესის მოხსნის მოთხოვნაა 1.3.3. და 1.3.5. პუნქტებში აღნიშნული (სამთავრობო მტკიცებულებები არ უნდა ექვემდებარებოდეს დაუსრულებელ ან მუქარანარევ სასამართლო პროცესებს), ხოლო წინადადების 1.3.6. პუნქტში აღნიშნულია, რომ წინა პირობების (1.3.1.-1.3.5.) შესრულება სავალდებულოა გადაცემის დასრულებისათვის და იგი უნდა განხორციელდეს.

ორივე კომპანია ცდილობდა მომავალი საგადასახადო ვალდებულებების შეზღუდვას, მაგრამ "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" მოთხოვნილი ჰქონდა უფრო მეტი და იგი 8 მილიონი ლარით შეზღუდვას ითხოვდა, SEC-ი კი - 16 მილიონი დოლარით. ამ ნაწილში მეორე მოთხოვნა უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო. ორივე წინადადება შეიძლება პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ თავისთავად გულისხმობს (SEI-ს დამატებითი წინადადებების მე-3 ნაწილის ბოლოს არის ფრაზა "დავალიანება "სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ" არ უნდა აღემატებოდეს"), რომ ყოველგვარი სახელმწიფომ გაათავისუფლოს ინვესტორი ს.ს. "მადნეული"-სა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ დაშვებულ დარღვევებზე დარიცხული ან დასარიცხი სანქციებისაგან, თუმცა "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" წინადადების მე-3 პუნქტის 1.2. ქვეპუნქტის გ) ნაწილში პირდაპირ აღნიშნულია მოთხოვნა "სახელმწიფოს მხრიდან წერილობით დასტურზე საწარმოების საქმიანობაზე გარემოს დაცვის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და სასამართლო დავების არქონაზე.

შესაძლებელია, რომ სამინისტროს პოზიციაზე გავლენა იქონია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" წინადადებამ დავების გადაწყვეტის წესის შესახებ, როდესაც ქართულმა კომპანიამ თავისი ინტერესების დაცვის მიზნით დავების განმხილველ ორგანოდ ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟი და ინგლისის კანონმდებლობა არჩია.

*24 საათი*

## იგივე რომ მოხდეს ჭავჭავაძის გამზირზე?

პირველი გვერდიდან

**"დღევანდელი სხდომის მთავარი შედეგი ისაა, რომ შევძელით საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მაცხოვრებლებისათვის გვეჩვენებინა, ეს ნაკვეთი უცხო ქვეყნის ტერიტორიაა და კონფლიქტური ვითარების მოგვარებამდე, საჭიროა ტერიტორიის შემოღობვა. მასზე, აგრეთვე, უნდა აიკრძალოს საბავშვო პარკის თვითნებურად მშენებლობა მოსახლეობის მხრიდან, საპროტესტო კარვების წამოჭიმვა და ასე შემდეგ. ასევე მოვილაპარაკეთ, რომ არავითარი მშენებლობა ამ ტერიტორიაზე ინვესტორის მიერ აღარ იწარმოებს, ვიდრე ეს კონფლიქტი არ გადაიჭრება,"** - განაცხადა უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ. მან გაიმეორა, რომ მშენებლობა უკრაინის კანონების სრული დაცვით და ორმხრივი შეთანხმებით მიმდინარეობდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობას ჩირქი არ მოსცხებოდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, საელჩოს რეზიდენციის მშენებლობა ახალ მიწის ნაკვეთზე გაგრძელდეს, ოღონდ რამდენიმე პირობის გათვალისწინებით: **"ძალიან შემჭიდროებულ ვადებში, ორი თვის განმავლობაში, უნდა გამოიყოს ახალი ფართობი, ასევე პრესტიჟულ რაიონში. ჩვენ არასოდეს დავთანხმდებით დიპლომატიური კორპუსის მშენებლობას არაპრესტიჟულ რაიონში და გარეუბანში. და კიდევ, კიევის ხელისუფლებას ვთხოვთ, აანაზღაუროს ის თანხა, რაც ინვესტორმა და საქართველოს საელჩომ უკვე გაიღეს მშენებლობის პროექტირების თუ სხვადასხვა გადასახადების სახით. ორთვიან ვადას კი იმისთვის ვითხოვთ, რომ წინა ნაკვეთის გამოყოფასა და მშენებლობის ნებართვას საქართველო 4 წელი მოუნდა. ჩვენ კიდევ 4 წელს ვეღარ დაველოდებით."**

საქართველოს ელჩის მოთხოვნებს სამართლიანი უწოდა ორგანიზაცია "კიევის მოქალაქეთა ხმის" თავმჯდომარემ, კიევის საქალაქო საბჭოს წევრმა ვიქტორ ივანჩენკომ, რომელიც ორი კვირის წინ მძაფრად აპროტესტებდა საელჩოს რეზიდენციისა და დიპლომატიური სახლის შენებლობას. ივანჩენკომ 3 ნოემბერს ისიც კი განაცხადა, რომ სადეპუტატო ძალისხმევას არ დაიშურებს, რომ საქართველოს საელჩომ თავი დაჩაგრულად არ იგრძნოს. **"ჩვენ არ გვინდა ისე გამოვიდეს, რომ, თითქოს, მხოლოდ საქართველოს ელჩის რეზიდენციის მშენებლობას ვეწინააღმდეგებოდეთ. "ნარინჯისფერ რევოლუციამდე" ქალაქის ცენტრში უამრავი მიწის ნაკვეთი კანონის დარღვევით და არქიტექტურული თავისებურების გაუთვალისწინებლად გამოიყო. კიეველებს რევოლუციამ მოგვცა შესაძლებლობა, ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის ბედზე. ასე რომ, ჩვენ თვითდამკვიდრების პროცესში ვართ."**

თუმცა, კიევის საქალაქო საბჭოში არიან ისეთი დეპუტატები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოს საელჩოს კანონიერი უფლება აქვს, შეინარჩუნოს მიწის ნაკვეთი გონჩარის ქუჩაზე. და ხმამაღლა ლაპარაკობენ მოსახლეობის უკან მდგარი პოლიტიკური გაერთიანებების ბიზნეს და პოლიტიკურ ინტერესებზე. მეტიც, საპროტესტო მოძრაობით მშენებლობების შეჩერების პრაქტიკამ, შესაძლოა, საშიში მასშტაბები მიიღოს, რაც კიევში სამშენებლო ინვესტიციებს შეაჩერებს.

**"ჩვენ ვქმნით საშიშ პრეცედენტს. გადაწყვეტილება აღნიშნული მშენებლობის შესახებ კანონიერია, რაც უნდა ავუხსნათ საზოგადოებრივ გაერთიანებებს. მაგრამ ეს საქმე თავის თავზე უნდა აიღოს ქალაქის ხელისუფლებამ და დეპუტატებმა, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკრაინის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ ეს ტვირთი არ უნდა დავაკისროთ საქართველოს საელჩოს, არ უნდა ვაიძულოთ მას, მიტინგებზე და თავყრილობებზე სიარულში დაკარგოს დრო. ვიმეორებ, არენდის შესახებ დადებული კანონიერი ხელშეკრულება უნდა შესრულდეს. ამიტომ საქართველომ არავითარ შემთხვევაში უარი არ უნდა თქვას ამ მიწის ნაკვეთზე. ქალაქის ხელისუფლებამ კი უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები,"** - მიაჩნია პარტია "ნაშა უკრაინას" კიევის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ქალაქის დეპუტატ დმიტრო ანდრეევსკის. როგორც თავად გვითხრა, მას მხოლოდ საქართველოსადმი სიმპათიები არ ალაპარაკებს. საქმე ისაა, რომ 5 წლის წინ, როდესაც უკრაინისა და საქართველოს ხელისუფლება საელჩოთა კომპლექსების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთებს ეძებდნენ, საქართველომ, გონჩარის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, უკრაინის საელჩოს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 3000 ჰექტარის მიწის ნაკვეთი გამოუყო. შესაბამისად, თუკი საქართველოს საელჩოს მიწის ნაკვეთის გარშემო ატეხილი სკანდალი სამართლიანად არ გადაიჭრება, არის საშიშროება, რომ ვერც უკრაინის საელჩო შეძლებს მშენებლობის განახლებას ჭავჭავაძის გამზირზე. მეტიც, არავის აქვს გარანტია, რომ საპროტესტო კარვებს ჭავჭავაძის გამზირზე არ წამოჭიმავს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაცია, რათა თბილისელთა მეტი ხმები მოიპოვოს კარს მომდგარ თვითმმართველობის არჩევნებში.

## განცხადება

**2005 წლის 5 ნოემბერს, შაბათს, 13 საათზე რკინიგზელთა კულტურის სახლში პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მართავს მესამე ყრილობას. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის 127**

უცხოეთი

## პარიზის რეგიონის არეულობები

პირველი გვერდიდან

არაბეთის გაერთიანებული სამეფოსა და რამდენიმე აფრიკული სახელმწიფოდან ემიგრირებული მოქალაქეების მორიგი თავდასხმის შედეგად დაჭრილია რამდენიმე პოლიციელი, მეხანძრე და სამოქალაქო პირი. პოლიციამ უკანასკნელი ინციდენტის დროს 15 პირის დაკავება შეძლო.

არეულობა ერთი კვირის წინ კლიშის შემოგარენში ორი მუსლიმი ახალგაზრდის დაღუპვას მოჰყვა. მოზარდები ელექტროსადგურში შევარდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მათ პოლიცია მოსდევდა. ვითარება კიდევ უფრო გაართულა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ნიკოლას სარკოზის ხისტმა განცხადებამ.

**"ქუჩები ნაგვისგან უნდა გავწმინდოთ,"** - თქვა ნიკოლას სარკოზიმ პარიზის რეგიონის ამბებთან დაკავშირებით გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

თუმცა, მკაცრ შეფასებებში შინაგან საქმეთა მინისტრს არც მეორე, არანაკლებ რადიკალური განწყობით ცნობილი ჟან-მარი ლე პენი ჩამოუვარდება. საფრანგეთის უკიდურესად მემარჯვენე ნაციონალური ფრონტის ლიდერის თქმით, პარიზის შემოგარენში მასობრივი არეულობები სხვა არაფერია, თუ არა "სამოქალაქო ომი".



პოლიციამ უკანასკნელი ინციდენტის დროს 15 პირის დაკავება შეძლო.

**"პოლიციასა და სახელმწიფო სიმბოლოებზე თავდასხმა საფრანგეთზე უცხოტომელთა ურდოების შემოსევაა. ამ ფაქტის შეფასება სხვაგვარად შეუძლებელია და აქ სავსებით უადგილოა ე.წ. ანტირასისტული კანონების მოშველიება,"** - აცხადებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთ კანდიდატად დასახელებული ლე პენი. მკაცრი შეფასებების გარდა, ნაციონალური ფრონტის ლიდერი საფრანგეთის ხელისუფლებასაც ადანაშაულებს ამბოხის ჩახშობის ფატალურ უუნარობაში. მისი თქმით, შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა ქვეყნის ხელისუფლებას და მასთან ასოცირებულ პოლიტიკურ წრეებს ეკისრება.

იმიგრანტების მიმართ მოურიდებელი და, შეიძლება ითქვას, მტრული დამოკიდებულებით ცნობილი ლე პენისაგან განსხვავებით, ადგილობრივი ხელისუფლება და მასთან ერთად მედია ცდილობს, რთული მდგომარეობა კიდევ უფრო არ დაამძიმოს და აშკარად აქცენტირებული განცხადებებით იმიგრანტებში კიდევ უფრო მეტი გაღიზიანება არ გამოიწვიოს.

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, ვითარების განმუხტვის მიზნით, ადგილობრივ მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს, ხოლო მინისტრთა კაბინეტთან თათბირისას ცდილობს, სტაბილიზაციის გზები გამონახოს.

**"კანონის უზენაესობას ყველამ პატივი უნდა სცეს. წესრიგის აღდგენა კი დიალოგითა და ურთიერთკეთილგანწყობით უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თავს ვერ ავარიდებთ ვითარების ესკალაციას, რაც ქვეყნის მასშტაბით გამოიწვევს საფრთხეებს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

## კორუფციის გამო უცხოური კომპანიები რუსეთის დატოვებას აპირებენ

ძალზე დიდი კორუფციული რისკების გამო, ევროპის რამდენიმე მსხვილი კომპანია რუსეთიდან წასვლას აპირებს. ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს მოსკოვში ანტიკორუფციული გამოკვლევებისა და ინიციატივების ცენტრის Transparensy International-ის ხელმძღვანელმა ელენა პანფილოვამ აცნობა.

ოქტომბერში ცენტრმა კორუმპირებულობის მორიგი მსოფლიო რეიტინგი მოამზადა, რომლის მიხედვითაც ერთი წლის განმავლობაში რუსეთმა 30-ზე მეტი პოზიცია დაკარგა და 159 ქვეყნიდან 126-ე ადგილი დაიკავა. ამავე ადგილზე აღმოჩნდნენ ალბანეთი, ნიგერია და სიერა-ლეონე. შარშან რუსეთს კორუმპირებულობის მსოფლიო რეიტინგში 90-ე ადგილი ეკავა.

პანფილოვას თქმით, უცხოური კომპანიები რუსეთიდან წასვლას აპირებენ, მიუხედავად იმ ზემოგებისა, რომელიც მათ შეიძლება სწრაფად რუსეთის მზარდ ბაზარზე მიიღონ. ქვეყნიდან წასასვლელად გამზადებული მარტო ორი კომპანიის კაპიტალდაბანდება რუსეთში მილიარდობით დოლარს შეადგენს. უცხოური კომპანიები, რომლებიც კორუფციული რისკების გამო რუსეთის დატოვებას აპირებენ, პანფილოვას არ დაუსახელებია.

კორუფციასთან ბრძოლის მიზნით შარშან რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ინიციატივით, ჩინოვნიკებს ხელფასები გაეზარდათ. თუმცა, როგორც დამოუკიდებელი ფონდის "ინდემის" მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, ამ ღონისძიებამ შედეგი არ გამოიღო.

გამოკვლევის თანახმად, ბიზნესმენების მიერ ჩინოვნიკებისთვის მიცემული ქრთამების წლიური მოცულობა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თითქმის 10-ჯერ გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ თუ 2001 წელს საშუალო ქრთამის ოდენობა 10 ათასი დოლარი იყო, წელს მან 136 ათასი დოლარი შეადგინა.

## მოსკოვი ლუკაშენკოს არავის დაარჩაგვრინებს

*რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს "მტკიცე კურსი აქვს აღებული ბელორუსის მხარდასაჭერად მის წინააღმდეგ გაშლილი ფართომასშტაბიანი კამპანიის დროს", - ამის შესახებ ნათქვამია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის წერილში სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარისადმი.*

წერილში, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების შეკითხვის პასუხად ბორის გრიზლოვს ლავროვის მოადგილემ გაუგზავნა, ასევე, ლაპარაკია "დასავლეთის მიერ გატარებული პოლიტიკის დაუშვებლობაზე სუვერენული სახელმწიფოს მისამართით, რომელთანაც რუსეთს მჭიდრო საკავშირო ურთიერთობები აქვს".

გარდა ამისა, რუსეთის საგარეო უწყება პირობას აძლევს დეპუტატებს, რომ "ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ბელორუსს ისეთ საერთაშორისო ფორუმებზე, როგორიცაა გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო და ა.შ."; "ყველა ღონეს იხმარს მისი (ბელორუსის) რეინტეგრაციისთვის ევროპულ სტრუქტურებში, მათ შორის, შეეცდება ბელორუსისთვის "სპეციალურად მიწვეულის" სტატუსის აღდგენას".



მინსკი შიშობს, რომ რუსულ რუბლზე გადასვლამ, შესაძლოა, ბელორუსის ეკონიმიკას პრობლემები შეუქმნას.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად რუსეთისა და ბელორუსის საგარეო უწყებები მუშაობენ "საგარეო პოლიტიკის სფეროში შეთანხმებული მოქმედების პროგრამაზე 2006-2007 წლებისთვის". ამ დოკუმენტის დამტკიცება საკავშირო სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს მიერ უახლოეს მომავალშია დაგეგმილი.

რაც შეეხება ორი სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტეგრაციას, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აღნიშნავს, რომ "უკვე შესრულებულია სამუშაოს დიდი ნაწილი ბელორუსის მიერ რუსული რუბლის, როგორც გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალების გამოყენებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მაგრამ მხარეები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ერთიანი ემისიური ცენტრის დაფუძნება და საკომპენსაციო კრედიტების გაცემა".

მინსკი შიშობს, რომ რუსულ რუბლზე გადასვლამ, შესაძლოა, ბელორუსის ეკონიმიკას პრობლემები შეუქმნას, რადგანაც სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა შემცირდება. გარდა ამისა, ბელარუსი ველარ შეძლებს ბიუჯეტიდან სუბსიდიების გაცემას საწარმოებზე. გაიზრდება უმუშევრობა და, შემოსავლების შემცირებასთან ერთად, ბიუჯეტის სახსრებიც მოიკლებს. თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, რომ რუსეთი მზადაა, აუცილებელი ზომები მიიღოს ბელორუსის ეკონომიკის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

**24 საათი**

მოკლედ

**უკრაინა.** კიევში და უკრაინის სხვა ქალაქებში ტაქსის მძღოლები გაიფიცნენ. ორგანიზატორთა მონაცემებით, საპროტესტო აქციის მონაწილეთა რიცხვი 100 ათასს აღწევს.

გუშინ ათასობით ტაქსმა უკრაინის დედაქალაქის ცენტრში, ძირითად ადმინისტრაციულ შენობებთან მისასვლელი გზები გადაკეტა. მძღოლები "ავტოტრანსპორტის შესახებ" ახალ კანონს აპროტესტებენ, რომლის მიღებასაც უმაღლესი რადა აპირებს.

კანონპროექტის მიხედვით, სავალდებულო ხდება ტაქსში საკასო აპარატების დაყენება, ტარიფებს სახელმწიფო არეგულირებს და იზღუდება ტაქსად ათ წელზე მეტი ხნის ავტომანქანის გამოყენება.

საპროტესტო აქციის მონაწილეები შიშობენ, რომ ძლიერი საპარლამენტო ლობის დახმარებით, ავტოგადაზიდვების ბაზარს ოლიგარქები დაიპყრობენ, რის შედეგად ბევრი მძღოლი სამუშაო ადგილს დაკარგავს. გარდა ამისა, ტაქსის მძღოლები ხელისუფლებისგან საწვავზე ფასების ზრდის შეჩერებას მოითხოვენ. ბენზინის გაძვირების შედეგად, კერძო გადამზიდავთა შემოსავლები საგრძნობლად შემცირდა. გაფიცულთა კიდევ ერთი მოთხოვნა უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან დაუყოვნებლივ შეხვედრაა. როგორც პროფკავშირების ლიდერები აცხადებენ, საპროტესტო აქცია უვადოა. ის მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ხელისუფლება ტაქსის მძღოლთა ყველა მოთხოვნას არ შეასრულებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ევროპა.** რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ჰოლანდიაში ვიზიტისას გამოვიდა მოწოდებით, რომ ევროპა ერთობლივი ძალისხმევით ებრძოლოს გლობალურ ტერორიზმს. ამის შესახებ პუტინმა ისაუბრა პრეს-კონფერენციაზე ჰააგაში ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრ იან პეტერ ბალკენენდესთან მოლაპარაკების შემდეგ. პუტინის თქმით, ჩეჩნეთში რუსეთი იცავს თავის თავსაც და ევროპასაც "ტერორისტებისაგან": "ვფიქრობ, რომ კავკასიაში, ჩეჩნეთში ვიცავთ როგორც ჩვენს, ისე თქვენს ინტერესებს. ტერორისტებს ერთ რეგიონში მომძლავრების საშუალება რომ მივცეთ, ისინი მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც მომძლავრდებიან. რაც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას - ეს აქტუალური პრობლემაა, მაგრამ აქტუალურია ყველგან, სადაც ძალადობა სუფევს. მაგრამ ჩვენ მზად ვართ ღია თანამშრომლობისათვის," - ამბობს პუტინი. იქვე რუსეთის პრეზიდენტმა უარყო ბრალდება, რომ რუსი სამხედროები ჩეჩნეთში მეტისმეტად მკაცრ ზომებს მიმართავენ. **24 საათი**

საუბრები ნოდარ ლადარიასთან

# მამა ნიკოლოზ ინასარიძე: უწმინდესი ლეონიდეს ანდერძს ვასრულებ

*21-23 ოქტომბერს უკრაინაში საზეიმოდ აღინიშნებოდა კიევის პატრიარქის, ფილარეტ დენისენკოს აღსაყდრების მეათე წლისთავი. ამას თან ახლდა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ორი მოვლენა: კიევის წმინდა ვლადიმირის ტაძარში ჩატარებულ ლიტურგიას ესწრებოდნენ საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის წევრი, დეპუტატი რატი სამყურაშვილი, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე, ბექა მინდიაშვილი და უკრაინაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი, გრიგოლ ქათამაძე. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ლიტურგიაზე კიევის საპატრიარქოს იურისდიქციის მღვდლად ეკურთხა დიაკონი ნიკოლოზ ინასარიძე, რომელიც უკრაინის საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფ ქართველ სამწყსოს წარუძღვება. შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ინასარიძე სიონის საკათედრო ტაძარში გაიზარდა, წლების განმავლობაში იყო კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სტიქაროსანი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში თეოლოგიას, ხოლო აშშ-სა და საბერძნეთში ინგლისურ და ბერძნულ ენებს. ბოლო ორი წელი არასამთავრობო ორგანიზაციის, "რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის" თანამშრომელი იყო. რამდენიმე დღის წინ ტელეფონით დავუკავშირდი მამა ნიკოლოზს, ანუ ოტეც მიკოლას, როგორც ახლა უკრაინელები ეძახიან, და მოკლე ინტერვიუ ჩამოვართვი.*



*მამა ნიკოლოზ ინასარიძე და კიევის საპატრიარქოს მიტროპოლიტი ფილარეტი.*

**- მამაო, რატომ გადაწყვიტე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მიგეღო სამღვდელო ხარისხი?**

- შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს სიყვარულის გამო, ოღონდ მხოლოდ იმიტომ არა, რომ კიევში უამრავი ქართველი ცხოვრობს, ან იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობაა. ასე მარტივად ამ კითხვას ვერ ვუპასუხებ, თუ ისტორიულ წიაღსვლას არ ჩავატარებ. აქ არის ერთი ზედაპირული მომენტი: უკრაინის ეკლესიის ბედი ძალიან ჰგავს საქართველოს ეკლესიის ბედს, განსაკუთრებით, იმ პერიოდში, როცა გასული საუკუნის დასაწყისში ჩვენ ეკლესიის მესვეურებმა აღადგინეს ავტოკეფალია.

**- უფრო ღრმა ასპექტიც აქვს ამ შენს ნაბიჯს?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მისი გაგება არაა ადვილი: საქართველოში ბევრისთვის რუსი და უკრაინელი ერთი და იგივეა. ფართო საზოგადოებამ არ იცის, რომ უკრაინელები ცალკე ერს წარმოადგენენ თავიანთი კულტურითა და ტრაგიკული ისტორიით, რომელსაც მათი ეროვნული იდენტურობის მტრები 300 წლის განმავლობაში აყალბებდნენ.

ლიტერატურა, რომელიც ობიექტურად გადმოგვცემს ისტორიულ ფაქტებსა და პროცესებს, ძირითადად, უკრაინულ ენაზეა და ამიტომ ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. შემიძლია დავასახელო მიტროპოლიტ ილარიონ ოგიენკოს ნაშრომი "უკრაინული კულტურა", რომლის თარგმნა ქართულ ენაზე აუცილებლად მიმაჩნია.

ძალიან მოკლედ შემიძლია ვთქვა, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მქონდა პირადი მოტივიც — იმედი მაქვს, რომ ჩემი საქმიანობა უკრაინაში ხელს შეუწყობს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ქართველ მრევლს, ნათლად დაინახოს ის, როგორც მოქმედებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სულიერ და პოლიტიკურ ასპარეზზე, რა რეალურ გავლენას ახდენს ის ჩვენს ცხოვრებაზე.

**- მაშ რა მოხდა უკრაინაში?**

- ნამდვილი ისტორია დიამეტრულად განსხვავდება იმისაგან, რაც ვიცით საბჭოთა წიგნებიდან. უკრაინის ეკლესია, კიევის მიტროპოლია, ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და მხოლოდ ნომინალურად შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. მოსკოვის სამთავროს პოლიტიკური გაძლიერების შემდეგ, როცა მოსკოვი იერთებდა მიწებს, გადაწყდა უკრაინის ეკლესიურად დამორჩილებაც, რისთვისაც გაკეთდა ორი რამ:

ჯერ ერთი, XVII საუკუნის შუა ხანებში, როცა გარდაიცვალა კიევის მიტროპოლიტი **სილვესტრ კოსივი**, რუსები ორმოცი წლის განმავლობაში არ იძლეოდნენ ახალი მიტროპოლიტის არჩევის საშუალებას. მერე დასვეს **გედეონ ჩეტვერტინსკი**, რომელმაც გამოაცხადა უკანონო შეერთება მოსკოვის საპატრიარქოსთან. მეორეც, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობილი სკანდალი — 200 სიასამურის ბეწვის ქრთამი. ეს ძღვენი ჩაუტანეს რუსებმა კონსტანტინოპოლში პატრიარქ **დიონისე IV**-ს, რომ მას ხელი მოეწერა უკანონო სიგელისთვის, რომლის ძალით კიევი რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში უნდა შესულიყო. ამ უკანონო ქმედებისთვის რამდენიმე წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდმა პატრიარქი დიონისე ტახტიდან გადააყენა.

**- ესე იგი, იერუსალიმის პატრიარქის, ირინეოსის გადაყენებას პრეცედენტი ჰქონია...**

- ასეთი პრეცედენტი უამრავი იყო როგორც კონსტანტინოპოლის, ასევე სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების ისტორიაში.

დავუბრუნდეთ ისტორიას. 1686 წელს რუსეთმა დაიპყრო უკრაინის ეკლესია. მას შემდეგ უკრაინელი მართლმადიდებლები არაერთხელ ცდილობდნენ დამოუკიდებლობის აღდგენას. პირველი რეალური მცდელობა იყო 1917 წლის გადატრიალების შემდეგ, როცა უკრაინამ მცირე ხნით მოიპოვა დამოუკიდებლობა და აქვე დაიწყო ეკლესიური სოლიდარობა საქართველოსა და უკრაინას შორის, რადგან უკრაინის დამოუკიდებელ ეკლესიას არ ჰყავდა ეპისკოპოსები. ამიტომაც, დეკანოზი **სტეფანე ორლიკი** დაუკავშირდა კათოლიკოს-პატრიარქს, **ლეონიდე ოქროპირიძეს** და სთხოვა ეპისკოპოსების კურთხევა. უწმინდესი ლეონიდე დაეთანხმა და 1921 წელს კიევიდან თბილისში გაემართნენ დეკანოზები **სტეფანე ორლიკი** და **პავლე პოგორილკო**. სამწუხაროდ, ხერსონესში ისინი ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და საქართველოში მათი ჩამოსვლა ვერ მოხერხდა. მაგრამ უწმინდესი ლეონიდეს ეს ჟესტი არის სულიერი ანდერძი საქართველოს ეკლესიისადმი, რომ ჩვენ დავეხმაროთ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ უკრაინელ მართლმადიდებელ ძმებს.

შემდეგი მცდელობა იყო მეორე მსოფლიო ომის დროს. აქაც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო კიევის ინტელიგენციის სულიერი მოძღვარი მთავარეპისკოპოსი **ანტონი აბაშიძე**, რომელიც დაკრძალულია კიევ-პეჩორის ლავრაში. და ბოლო მცდელობა, რომელიც დიდი წარმატებით მიმდინარეობს, დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ამჟამად უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედებს სამი მართლმადიდებელი ეკლესია: კიევის საპატრიარქო, რომლის მეთაურია კიევისა და სრულიად რუსის პატრიარქი ფილარეტი, აქვე დავსძენ, რომ ტერმინი რუსეთი, ანუ რუსი (Р        ) მიესადაგება სწორედ უკრაინის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს. მოსკოვიის სამთავროს მცხოვრებლებს ისტორიული წყაროები მოსკოვიტებად მოიხსენიებენ. ტერმინ "რუსის" გამოყენება იმპერიის მთელი მოსახლეობისთვის **პეტრე I**-ს ურჩია უკრაინიდან პეტერბურგს გადახვეწილმა რენეგატმა მღვდელმა **თეოფანე პროკოპოვიჩმა**, რომელიც პროტესტანტიზმის მიმართ სიმპათიებით გამოირჩეოდა. მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ეკლესია (მწყემსთმთავარი, მიტროპოლიტი **ვლადიმერ საბოდანი**), "ურაინის ავტოკეფალური ეკლესია" — მცირე ჯგუფი, რომელსაც არანაირი გავლენა არა აქვს.

სწორედ კიევის საპატრიარქო წარმოადგენს უკრაინის პატრიოტულ დამოუკიდებელ ეკლესიას და ისტორიული კიევის მიტროპოლიის კანონიერ მემკვიდრეს, რომელიც მოღვაწეობს უკრაინელი საზოგადოების პოლიტიკური, სულიერი და კულტურული მონოლითურობისა და აღმავლობისათვის.

**- სხვა ქართველი ღვთისმსახურები თუ არიან უკრაინაში?**

- სამწუხაროდ, კიევის ტერიტორიაზე მოსკოვის იურისდიქციაში მსახურობენ ქართველი მღვდლები (ოდესაში იღუმენი **ანდრია ოსიაშვილი**, დონეცკში — მღვდელი **დავით სოლომონიშვილი**). თბილისიდან ბევრი მოძღვარი ურჩევს ქართველებს, რომ მოსკოვის იურისდიქციაში მყოფ ტაძრებში იარონ. ამიტომაც კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს სულიერი ანდერძის შესაბამისად ქართველი მართლმადიდებლების ვალია, დაეხმარონ უკრაინელ ხალხს მათი დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის აღმშენებლობაში.

**- საყოველთაოდ ცნობილია და მეც ვწერდი "24 საათში", როგორი უარყოფითი როლი ჰქონდა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მაშინ მისი სამღვდელოება არავითარ უკანონობას არ ერიდებოდა, ოღონდ ორად დაეყო უკრაინის მოსახლეობა და ხელი შეეშალა მისი თავისუფალი არჩევანისთვის. ერთ-ერთი მოტივაცია აქ იყო ის, რომ წინა ხელისუფლების მიერ წამოყენებული კანდიდატი, ვიქტორ იანუკოვიჩი დაჰპირდა მოსკოვის საპატრიარქოს, რომ აქცევდა მას ერთადერთ ოფიციალურ იურისდიქციად უკრაინის ტერიტორიაზე, ამის საპირისპიროდ, ვიქტორ იუშჩენკოს საარჩევნო შტაბი მთელი კამპანიის განმავლობაში სრულ რელიგიურ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. აღმოჩნდა, რომ უკრაინელებმა სწორედ ეს გზა აირჩიეს. არსებობს და სულ მალე ქართულ ენაზეც გამოქვეყნდება შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემები. რამეს ხომ არ დაუმატებდი ამას?**

- უკრაინის ეკლესიის აღიარებას რუსეთი უშლის ხელს პოლიტიკურად და ეკლესიურად. უკრაინის მართლმადიდებელთა აბსოლუტური უმრავლესობა არის კიევის საპატრიარქოს იურისდიქციაში. პრობლემა უნდა იქნეს გადაჭრილი და მსოფლიო პატრიარქი ბართლემეოსი ყველაფერს აკეთებს, მაგრამ რუსეთი ხელს უშლის, რადგან კიევის საპატრიარქო მრევლის რაოდენობით უტოლდება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას და ამიტომაა, რომ უკრაინის ავტოკეფალია მნიშვნელოვნად შეასუსტებს მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიურ და პოლიტიკურ გავლენას მსოფლიოში. ამას მოსკოვის საპატრიარქოს იერარქია იმდენად ვერ ურიგდება, რომ ადგილი აქვს კიევის საპატრიარქოდან გადმოსულების ხელმეორედ მონათვლის შემთხვევებს. ეს გაუგონარია! ორ ეკლესიას შორის მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირება არსებობს, მოსკოვის საპატრიარქომ კი პოლიტიკური ინტერესების სამსხვერპლოზე მიიტანა ყველაზე მთავარი, რაც კი ქრისტიანს აქვს — მრწამსი.

**- როგორ ფიქრობ, როგორ წარიმართება შენი ურთიერთობა საქართველოს საპატრიარქოსთან?**

- ჩემი მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად, რაც მაქვს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში იგი გადადგამს ნაბიჯებს კიევისკენ. მართალია, რუსეთის სპეცსამსახურების გავლენა ადმინისტრაციულ აპარატზე საკმაოდ დიდია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი ეკლესია, რომელსაც ბრძენი და ღრმად სულიერი საჭეთმპყრობელი ჰყავს, ამ პრობლემას წარმატებით გადაჭრის და უწმინდესი ლეონიდეს გზას ღირსეულად განაგრძობს.

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!
პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank
გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!
შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!
• მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე **6%** წლიური აშშ დოლარში და **8%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
• გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
• დაიწყეთ დაგროვება 5 ლარიდან
კამპანია 30.11.05 ძალაშია
ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!
• მიიღეთ **10%** წლიური დოლარში და **13,5%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
• ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!
პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე

## ვაკე-საბურთალოს რაიონის მაცხოვრებელთა საყურადღებოდ!

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა და არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკოინჟინერია" გაცნობებთ, რომ მ. წლის 9 ნოემბერს 17 საათზე, გამგეობის სააქტო დარბაზში (მისამართი: კოსტავას ქ. N68ა, მე-3 სართ) ჩატარდება სემინარი: "ბუნებრივ გაზზე მომუშავე გამათბობელი და წყალგამაცხელებელი დანადგარების მონტაჟის წესები და მათი უსაფრთხო ექსპლუატაცია".

სემინარზე შეხვდებით "თბილგაზის", საქტექზედამხედველობის, სასწავლო კომბინატის "ორგგაზის", ირანული ქარხნის "ნიკ კალას", შპს "თერმას" და შპს "მიკროკლიმატი-სხვადასხვა სისტემების" წარმომადგენლებს.

## დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 3 ნოემბერს, გაზეთ "24 საათ"-ში (N244) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 143-ე კმ-ზე არსებული რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესყიდვას.

პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ.-ზე არსებული რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

*სატენდერო კომისია.*

ახალი პირობები 1 ნოემბრიდან
საავანსო სისტემის აბონენტთათვის!
ჯეოსელი გთავაზობთ გაცილებით ხელსაყრელ პირობებს:
თქვენი ნომერი ცალმხრივად გაითიშება ბალანსზე თანხის ამოწურვის შემთხვევაში (0 ლარის მიღწევისას)
ნომრის ცალმხრივად გათიშვის შემდეგ თქვენ შესაძლებლობა გექნებათ შემომავალი ზარები მიიღოთ 15-დღის განმავლობაში.
ამ 15 დღის განმავლობაში სააბონენტო გადასახადი აღარ დაგერიცხებათ.
შეგახსენებთ, რომ გათიშვის შემდეგ ნომრის ორმხრივად ჩართვისთვის ბალანსზე თანხამ უნდა შეადგინოს 5 ლარი.
ჯეოსელი GEOCELL

"რაც კი გაუკეთეთ ერთ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ"
( მათე 25, 40 )
კომპანია "ჯეოსელის" საქველმოქმედო აუქციონი
კომპანია "ჯეოსელი" სათნოების სახლ "კათარზისისთვის" აწყობს საქველმოქმედო აუქციონს.
აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილია
"ჯეოსელის" ქსელში ჩართული განსხვავებული ნომერი:
855 55 55 55
ჯეოსელი GEOCELL
შემოსული თანხა მთლიანად გადაეცემა სათნოების სახლს
გაუხანგრძლივე სიცოცხლე მარტოხელა ხანდაზმულებს!
გადაიხადე მეტი და გახდი ქველმოქმედი!
ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე:
855 55 55 00
ანონიმურობა დაცულია

# "მერაბ კოსტავას საზოგადოების" თავმჯდომარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

"მერაბ კოსტავას საზოგადოების" თავმჯდომარის ვაჟა ადამიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით აღიძრა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მერაბ ბაღათურიას განცხადებით, ადამიას წინააღმდეგ საქმე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისა (236-ე) და სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების (118-ე) მუხლებით აღიძრა. ექსპერტიზის პასუხების შემდეგ გამოძიებაში დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლას არ გამორიცხავენ. ვაჟა ადამია ჯერ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პოლიციაში მიიყვანეს, მოგვიანებით კი, პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

სამართალდამცველთა თქმით, "მერაბ კოსტავას საზოგადოების" თავმჯდომარე ვაჟა ადამიამ მის ბინაში უკანონოდ შეყვანილი ელექტროსადენების ჩასაჭრელად მისული "თელასის" თანამშრომელი ავთო ზარნაძე ფეხში დაჭრა. "თელასის" ინფორმაციით კი, დაჭრილია კომპანიის კიდევ ერთი თანამშრომელი კახა ქათამაძე, რომელსაც დაზიანება თავის არეში აქვს მიყენებული, რადგან, როგორც "თელასის" თანამშრომლები აცხადებენ, მას ადამიამ იარაღის ტარი თავში ჩაარტყა. "თელასის" თანამშრომლები თბილისის N1 საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ინციდენტი გუშინ, დაახლოებით 11 საათზე ზანდუკელის ქუჩაზე მოხდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ს/ს "თელასი" პროტესტს გამოთქვამს და აცხადებს, რომ ანალოგიური შემთხვევების განმეორების შემთხვევაში, დედაქალაქის საიმედო ელექტრომომარაგების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. **24 საათი**

# ეუთო-ს ორგანიზებით ფორუმი გაიმართა

ეუთო-ს ორგანიზებით, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ადამიანური განზომილების მხარდამჭერი ფორუმი გაიმართა, სახელწოდებით "ადვოკატთა როლი სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის საქმეში". ფორუმს 55 ქვეყნის 300-მდე დელეგატი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდნენ. ფორუმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოფრინდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დირექტორი ქრისტიან სტროჰალი.

ფორუმს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი და იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია ესწრებოდნენ. ბეჟუაშვილის განცხადებით, ასეთი ფორუმის საქართველოში ჩატარება იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოება და ეუთო მხარს უჭერს იმ დემოკრატიულ პროცესებს, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში ვითარდება. ბეჟუაშვილის განცხადებით, აღნიშნული ფორუმის მიმდინარეობისას განხილული იქნება საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საკითხი და ასევე 1999 წლის სტამბულში, ეუთოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, რუსეთის სამხედრო ბაზებმა საქართველო უნდა დატოვონ. ბეჟუაშვილის განმარტებით, ეუთო ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარ მონიტორინგს განახორციელებს, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოდან აღნიშნული ბაზების გატანა.

იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია კი იმედს გამოთქვამს, რომ ეუთო მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვას საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. კერძოდ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. **ინტერპრესნიუსი**

# ასლან აბაშიძის ადვოკატებმა ამჯერად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს

*საკონსტიტუციო სასამართლოში გუშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძისა და მისი ოჯახის წევრების ადვოკატების სარჩელი შევიდა. ჩვენი ინფორმაციით, სარჩელი საკმაოდ ვრცელია და მასში მრავლადაა მოყვანილი ევროპის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოს მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებების მაგალითები.*

ასლან აბაშიძის ადვოკატები ამჯერად საკონსტიტუციო სასამართლოსგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და ადმინისტრაციული კოდექსის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ, რომლითაც უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის პროცედურაა განსაზღვრული.

როგორც ჩვენთან საუბრისას ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განმარტა, სადავო ნორმები საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმფციას და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

შეგახსენებთ, რომ სტრასბურგის სასამართლომ ცოტა ხნის წინ რეგისტრაციაში გაატარა და ნომერი დაადო საქმეს - "ასლან აბაშიძე საქართველოს წინააღმდეგ". სარჩელი სწორედ აბაშიძის ქონების კონფისკაციის კანონიერება-არაკანონიერებას ეხება.

**"საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელით ჩვენ ვასაჩივრებთ რამდენიმე მუხლს. სარჩელის ძირითადი ასპექტი კი გახლავთ ის, რომ არ შეიძლება უდანაშაულო ადამიანს სასჯელის სახით მთელი ქონება ჩამოერთვას. საქმე ისაა, რომ ადამიანები, რომლებსაც თავის დროზე არ სჭირდებოდათ და არც კანონი ავალებდათ საკუთარი ქონების დასაბუთებას, უცებ, იძულებულნი გახდნენ საკუთარი ქონება უკანა რიცხვით დაესაბუთებინათ,"** - აცხადებს ადვოკატი სოსო ბარათაშვილი. მისივე განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი შინაარსის სადავო საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე კონკრეტული სარჩელის განხილვა უკვე მოუწია. სასამართლომ ამ შემთხვევებში მოსარჩელეების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. **"ჩვენ ამ სარჩელში განსხვავებული არგუმენტაცია და საფუძვლები გამოვიყენეთ, ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო"**, - აცხადებს ადვოკატი.

დააკმაყოფილებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ასლან აბასიძის ოჯახის წევრთა ადვოკატების სარჩელს და გააუქმებს თუ არა მუხლებს, რომლებიც, ადვოკატთა აზრით, საკუთრების უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმფციას და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს ეწინააღმდეგება, წინასწარ ძნელი სათქმელია. ისიც საკითხავია, საერთოდ მიიღებს თუ არა წარმოებაში საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელს.

**24 საათი**

# არუთინიანის საქმე სასამართლოს გადაეცა

*ვლადიმერ არუთინიანის საქმე, რომელიც შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა გამოიძია, გამოძიებაზე ზედამხედველმა ორგანომ - პროკურატურამ სასამართლოს გადასცა. არუთინიანის საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს.*

10 მაისის ტერაქტის მცდელობაში, განზრახ მკვლელობაში, იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შენახვაში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანი ციხის რესპუბლიკურ საავადმოყოფოში, იზოლირებულ პალატაში იმყოფება. დასწყისში არუთინიანმა რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატაში აღიარებითი განაცხადა - **"მე ვესროლე ყუმბარა ბუშს!"** - და ამის შემდეგ დუმილის უფლებას იყენებს. მოგვიანებით, ტელეინტერვიუში მან კვლავ აღიარებითი ჩვენება მისცა: **"ხელყუმბარის გადაგდებას ტყვიაგაუმტარ შუშებს შორის ვცდილობდი, საიდანაც ხელყუმბარის ნამსხვრევებს ბუშამდე უნდა მიეღწია."**

ბრალდებულის ადვოკატის ზაზა შანავას (იგი მეოთხეა) თქმით, განმწესრიგებელ სხდომაზე არუთინიანისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვს, რადგან გამოძიებამ აღნიშნულ შუამდგომლობაზე უარი უკვე ორჯერ განაცხადა. ვინაიდან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით არუთინიანის რეაქცია გარკვეულ ეჭვებს ბადებს, დაცვის მხარეს ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილად მიაჩნია.

თავის დროზე ხელყუმბარის მტყორცნელის ძებნისას შსს-მ მოწმის სახით დაიკითხა 42 პირი, გამოკითხა 10 ათასზე მეტი მოქალაქე და სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში დათვალიერდა 900 ათასზე მეტი ფოტო, რის საფუძველზეც შემოწმდა 80 ათასი ეჭვმიტანილი. საბოლოოდ "ტერორისტის კვალმა" სამართალდამცველები ვოვა არუთინიანამდე მიიყვანა. თავისუფლების მოედანზე 10 მაისს მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილი ვლადიმერ არუთინიანი 20 ივლისს შს სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ვაშლიჯვარში, მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ეჭვმიტანილმა სამართალდამცველების მისამართით ცეცხლი გახსნა და ყუმბარა ისროლა, რა დროსაც თავადაც დაიჭრა. სროლისას დაიღუპა შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი ზურაბ ქვლივიძე.

ცოტა ხნის წინ აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ არუთინიანს აშშ-ის პრეზიდენტზე თავდასხმასა და იარაღის უკანონოდ ტარება-შენახვაში ედება ბრალი. აშშ-ში გასამართლების შემთხვევაში მას სამუდამო პატიმრობა ემუქრება. თუმცა, ამერიკული მხარე ბრალდებულის ექსტრადაციას, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ საქართველოში მისი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მოითხოვს. თუმცა, როგორც მაშინ მისმა ყოფილმა ადვოკატმა გულიკო ჯიმშელიძემ განმარტა, ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს, რადგან არუთინიანმა დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა, იგი ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს და მას ბრალდებები ქართული კანონმდებლობის მიხედვით წაუყენეს.

**"ამ საქმის გახსნის შემდეგ, აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა დამირეკეს და შსს-სა და საქართველოს მოულოცეს ასეთი რეზონანსული საქმის გახსნა. საქართველოში მსგავსი პრეცედენტი არ მომხდარა - ასეთი მნიშვნელობის საქმე არ გახსნილა. არუთინიანი მოქმედებდა, როგორც მარტოხელა ტერორისტი, მისი კავშირები სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან ვერ დავადგინეთ და ასეთი რამ რომ გამოკვეთილიყო, სიამოვნებით გამოვავლენდით. ისე, ნებისმიერი მინისტრი იამაყებდა ასეთი საქმის გახსნით. ისტორიას დარჩება, რომ ჩემი მინისტრობის დროს ასეთი სერიოზული საქმე გაიხსნა,"** - "24 საათთან საუბრისას განაცხადა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

ვოვა არუთინიანის საქმის განმწესრიგებელი სხდომის თარიღი საქალაქო სასამართლოში ჯერ არ ჩაუნიშნავთ. სხდომა, სავარაუდოდ, ერთი თვის ვადაში ჩატარდება.

**24 საათი**

# გამომძიებლის უყურადღებობით მოსარგებლე ადვოკატები

პირველი გვერდიდან

პროკურორისვე განცხადებით, ბრალდებულის კანონიერმა წარმომადგენელმა მამუკა ნოზაძეს მიუტანა ქვითარი, რომელიც პროკურატურის გამომძიებელმა საქმეში ჩააკრა. ერთი თვის შემდეგ, ნოზაძის რჩევით, ბრალდებულის კანონიერმა წარმომადგენელმა თანხა ანგარიშიდან უკან გამოიტანა და 300 ლარი ნოზაძეს და მაზანაშვილს მისცა.

**"ადვოკატების დანაშაულებრივ ქმედებას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ ამჟამად მათი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებული ძებნაში იმყოფება,"** - განაცხადა ოლქის პროკურორმა მიხეილ აბულაძემ.

გიორგი ცერცვაძე მიიჩნევს, რომ პროკურატურის გამომძიებელი ნოზაძემ გააბრიყვა. **"ის გამომძიებელი ჩვენთან აღარ მუშაობს. ალბათ, მან აღარ დახედა ქვითარს და საქმეში ისე ჩააკრა,"** - ასეთ გამართლებას ხედავს პროკურატურის გამომძიებლის ქმედებაში გიორგი ცერცვაძე. პროკურორები ნოზაძისა და მაზანაშვილის გარდა საქმეში დამნაშავედ სხვა პირებს არ მიიჩნევენ.

როგორ გაიგო პროკურატურამ ნოზაძის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, ამ კითხვაზე გორის რაიონის პროკურორი გიორგი ცერცვაძე მეტად ბუნდოვან პასუხს იძლევა: **"ნოზაძის წინააღმდეგ ჩვენ სხვა საქმე გვქონდა აღძრული და ამ საქმესაც იმიტომ გადავხედეთ, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ გეტყვით, რატომ აღვძარით საქმე ნოზაძის წინააღმდეგ. არსებობს ვერსიები, რომ მაზანაშვილს და ნოზაძეს ანალოგიური ხასიათის სხვა დანაშაულებიც აქვთ ჩადენილი."**

დაკავებული ადვოკატებისთვის ბრალი გუშინ არ წაუყენებიათ. ნოზაძის ადვოკატები კი აცხადებენ, რომ მათ საქმის გაცნობის საშუალებას პროკურატურა არ აძლევს. გუშინვე პოლიციამ ნოზაძის ადვოკატურის დაუყოვნებელი ჩხრეკა მოითხოვა, თუმცა ნოზაძის ადვოკატებმა ჩხრეკაზე უარი განაცხადეს. ადვოკატურას ახლა პოლიცია იცავს.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ს.ს.ი.პ – თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I.P.C.L. – Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Language and Culture

Tel./Fax: (+995 32) 22 17 03

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2006/2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. Aამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკრსის წესით, შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N 473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის “ღ" და “შ" ქვეპუნქტებისა და ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 1 ნოემბრის წარდგინების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით გამოცხადდეს ღია კონკურსი.
2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. კონკურსი გამოცხადდეს შემდეგ სპეციალობებზე და თანამდებობებზე:

**პროფესორის 8 თანამდებობაზე, მათ შორის**:
ფილოსოფიის მიმართულებით - 2,
სოციოლოგიის მიმართულებით - 1,
პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით - 1,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - 1,
მედიის კვლევების მიმართულებით - 1,
ეკონომიკის მიმართულებით - 1,
კულტურისა და რელიგიის კვლევების მიმართულებით - 1.

**ასოცირებული პროფესორის 9 თანამდებობაზე, მათ შორის**:

ფილოსოფიის მიმართულებით - 1;
სოციოლოგიის მიმართულებით - 1;
პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით - 1;
საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - 2;
მედიის კვლევების მიმართულებით - 1;
ეკონომიკის მიმართულებით - 2;
ისტორიის მიმართულებით - 1;

**ასისტენტ პროფესორის 14 თანამდებობაზე, მათ შორის:**
ფილოსოფიის მიმართულებით - 1;
სოციოლოგიის მიმართულებით - 2;
პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით - 2;
საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - 3;
მედიის კვლევების მიმართულებით - 2;
ეკონომიკის მიმართულებით - 2;
კულტურისა და რელიგიის კვლევების მიმართულებით - 1;
ისტორიის მიმართულებით - 1;

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

- პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხი;
- ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ან სწავლობდეს დოქტორანტურაში (ასპირანტურაში);

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემქნილი ანკეტა (შევსებული)
- პირადობის მოწმობის ასლი
ოთხი ფოტოსურათი 3X4.
- შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი
ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კლევით უნარს
- ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი)
გარდა ამისა, პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დისციპლინის სწავლების კონცეფცია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე.

კანდიდატს შეუძლია აგრეთვე წარმოადგინოს სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებს მის შესაბამისობას ამ ბრძანების მე-8 პუნქტში ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან.

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასებას მოახდენს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობათა დაკავებაზე.

7. კონკურსის შედეგები მტკიცდება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით

8. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

- კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძელზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში
პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება
- სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში)

გარდა ამისა, საკონკურსო კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს კანდიდატის შემდეგი მონაცემები:

სამეცნიერო საბჭოების (აკადემიების) წევრობა
- სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიების წევრობა
დისერტანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობის გამოცდილება
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
უცხოეთის უნივერსიტეტებში ლექციების წაითხვა
- წიგნების (კრებულების) რედაქტორობა და რეცენზენტობა

9. პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა სამი წლის ვადით, ასისტენტ პროფესორი - ორი წლის ვადით.

10. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეუთავსებელია უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური თანამდებობის დაკავებასთან. თუ კანდიდატს უკვე უკავია აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს სასწავლებელში, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მან ერთი კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს ცნობა სხვა დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

11. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 15 დეკემბერი, კონკურსის შედეგები გამოცხადდება 6 იანვარს.

12. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთებში "24 საათი" და "ახალი განათლება" და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას უნივერსიტეტის შენობაში.

*ნინო ფირცხალავა*
*რექტორის მოვალეობის შემსრულებელი*

# ბათუმში ბანკ "რესპუბლიკის" ახალი ფილიალი გაიხსნა

2005 წლის 3 ნოემბერს ქ. ბათუმში, ქუთაისის ქუჩაზე, ბანკ “რესპუბლიკის" ახალი ფილიალი გაიხსნა. ბანკის ახლადგახსნილი ფილიალი მომხმარებელს დღეისათვის საბანკო სექტორში არსებულ დაკრედიტების საუკეთესო პროგრამას საუკეთესო სერვისითა და ტარიფებით შესთავაზებს.

**ბანკ "რესპუბლიკის" ბათუმის ფილიალში მომხმარებელს საშუალება ექნება ისარგებლოს შემდეგი მომსახურებით:**

საბანკო ანგარიშების გახსნა და მომსახურება;
- ანაბრების ფართო არჩევანი;
საკონვერტაციო ოპერაციები;
- სამომხმარებლო სესხები ფიზიკური პირებისათვის;
გრძელვადიანი სესხები უძრავი ქონების შესაძენად, სარემონტოდ და მშენებლობისათვის;
- სესხები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის;
ფულის მიღება-გადაგზავნა Western Union-ისა და anelik-ის მეშვეობით;
- ლოკალური და საერთაშორისო პლასტიკური ბარათების ფართო არჩევანი (Visa, American Express, Eurocard Mastercard, Georgian Card);
- სახელმწიფო მოსაკრებლის გადახდა;
კომუნალური (ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის) გადასახადების მიღება;
- On-Line Banking სისტემით მომსახურება (ანგარიშების მართვა ოფისიდან).

ინფორმაციისათვის - ბანკი "რესპუბლიკა" საქართველოში ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე კომერციული ბანკია. იგი XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა და დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და საიმედო საფინანსო სტრუქტურას წარმოადგენს.

არსებული და პოტენციური კლიენტებისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შესაქმნელად, ბანკი მუდმივად ცდილობს მომსახურების ხარისხისა და ტარიფების გაუმჯობესებას.

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*

**ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (CEU) აცხადებს მიღებას 2006/2007 სასწავლო წლისთვის მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში შემდეგ აკადემიურ ფაკულტეტებსა და პროგრამებზე:**

*უნგრეთი, ბუდაპეშტი:*
**- ეკონომიკა (MA, PhD)**
**გარემოს დაცვა და პოლიტიკა (MS, MSc,- PhD)**
**- გენდერული სწავლება და კულტურა (MA, PhD)**
**ისტორია (MA, PhD)**
**- საერთაშორისო ურთიერთობები და ევროპული მეცნიერებები (MA, PhD)**
**სამართალი (LLM, MA, SJD)**
**- მედიევალისტიკა (MA, PhD)**
**ნაციონალიზმის სწავლება (MA,PhD)**
**- ფილოსოფია (PhD)**
**პოლიტიკური მეცნიერება (MA, PhD)**
**- მათემატიკა (PhD)**
**ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა IMC (MBA, IMM, MS)**
**- სოცილოგია და სოციალური ანტროპოლოგია (MA, PhD)**
**საზოგადოებრივი პოლიტიკა MPP (MA)**
**- ბიზნეს სკოლა ( BBA, IMM, MBA , MS in Information Technology Management )**

*ძირითადი მოთხოვნები:*
**სწავლის გაგრძელების მსურველებს უკვე უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება ან უნდა იყვნენ უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.**
**ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში მიღება იწარმოებს კონკურსის საფუძველზე.**
**ფილოსოფიისა და მატემატიკის PhD ფაკულტეტებზე სასწავლებლად აგრეთვე მიიღებიან სტუდენტები ბაკალავრის დიპლომით.**

**ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საგანაცხადო ფორმა შეგიძლიათ მოიპოვოთ უნივერსიტეტის საიტზე: www.ceu.hu ( მიიღება მხოლოდ online ფორმა )**
**თანდართული საბუთების მიღება იწარმოებს ჩვენს ოფისში.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

*ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"*
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
**ჭოველიძის 10**
**საკონტაქტო ტელეფონი: 25 26 15, 25 04 63**
**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს**
**14:00 საათზე.**
*განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა: 22 დეკემბერი 2005 წელი.*

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
**OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION**

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სარესურსო ცენტრი (CRC) აცხადებს კონკურსს 2006 წლის გაზაფხულზე ერთკვირიან სესიებში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია ვიზიტი უნივერსიტეტში, სადაც საშუალება მიეცემათ დაამუშავონ სასწავლო პროგრამა, ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ასწავლიდეს უმაღლეს სასწავლებელში სოციალურ ან ჰუმანიტარულ დისციპლინას, ამზადებდეს ახალ სასწავლო კურსს ან სრულყოფდეს არსებულს
ფლობდეს ინგლისურ ენას
- წარმოადგინოს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი

*http://www.ceu.hu/crc/*

2006 წლის გაზაფხულისათვის ჩატარდება შემდეგი ტიპის სესიები:

**- ღია სახლის სესიები (Open House Sessions):**

**ფილოსოფია:** 27 - 31 მარტი
**(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 15 თებერვალი 2006)**

**ეკონომიკა:** 24 - 28 აპრილი
**(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 10 მარტი 2006)**

**- ინოვაციური კურსების სესიები:**

**ნაციონალიზმი:** 20 -24 თებერვალი
**(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 10 იანვარი 2006)**
(მოქალაქეობის დინამიკა ევროპაში)

**საერთაშორისო ურთიერთობები და ევროპეისტიკა:** 27 თებერვალი - 3 მარტი (ევროკავშირის საკითხები)
**(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 10 იანვარი 2006)**

**პოლიტიკური მეცნიერებები:** 6 - 10 მარტი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 20 იანვარი 2006)**
(მედია და ნაციონალიზმი)

**გენდერული სწავლებანი:** 13 - 17 მარტი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 1 თებერვალი 2006)**
(გენდერი და პოლიტიკოსი)

**სამართალი:** 20 - 24 მარტი
**(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 10 თებერვალი 2006)**
(საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი საკითხების შესწავლა)

**- თემატური საკითხები სასწავლო პროგრამის განვითარებაში:**
**სახელმწიფო პოლიტიკა:** 3 - 7 აპრილი
**(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 24 თებერვალი 2006)**
(კურსები კორუფციასა და ანტიკორუფციაზე)

*სესიების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის, საგანაცხადო ფორმებისა და კონსულტაციებისათვის, მიმართეთ ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისს, შემდეგ მისამართზე: ჭოველიძის ქ. 10,*
*ტელ: 25 04 63, 25 05 92; ან ეწვიეთ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდს:* ***http://www.ceu.hu/crc/***

*ჭადრაკი*

# ჭერჭერობით ვაგებთ

ისრაელში მიმდინარეობს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. წარუმატებელი სტარტი აიღო საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც აღთქმულ მიწაზე ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა, გიორგი გიორგაძე, ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი და მერაბ გაგუნაშვილი წარმოადგენენ.

ორი ტურის შემდეგ ჩვენმა მოჭადრაკეებმა 2,5 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში უკრაინასთან ერთად მე-7-8 ადგილებს იყოფენ. პირველ ტურში საქართველოს ნაკრები აშშ-ის გუნდს დაუპირისპირდა, რომელშიც ყოფილი საბჭოეთიდან ემიგრირებული მოჭადრაკეები თამაშობენ. ჩვენმა მოჭადრაკეებმა 2,5:1,5 წააგეს.

მეორე ტურში ჩვენი მეტოქე სომხეთის ნაკრები იყო. მართალია, პირველ დაფაზე აზმაიფარაშვილმა თავისი პარტია ყაიმით დაასრულა, მაგრამ მას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და მატჩიც სომხების გამარჯვებით - 3:1 დასრულდა. მომდევნო შეხვედრას ქართველი მოჭადრაკეები ტურნირის ლიდერ რუსეთთან გამართავენ. პირველ დაფაზე ზურაბ აზმაიფარაშვილი და პეტრ სვიდლერი შეხვდებიან ერთმანეთს.


*რუსეთის ნაკრებმა მასპინძელი ისრაელი დაამარცხა და გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგა.*

რუსებმა, თავის მხრივ, ორივე მატჩი მოიგეს და 5,5 ქულით სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს. რუსმა მოჭადრაკეებმა ჯერ კუბა დაამარცხეს, შემდეგ კი მასპინძელი ისრაელი. მეორე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: კუბა - ჩინეთი (ქალები) 3:1, უკრაინა - აშშ 2,5:1,5.

დღეისთვის სატურნირო ცხრილში რუსეთი ლიდერობს - 5,5. მეორე ადგილზე სომხები არიან - 5, მესამე ადგილს სამი ქვეყნის ნაკრები იყოფს - აშშ, კუბა და ჩინეთის ვაჟთა გუნდი - 4-4, მასპინძელ ისრაელს - 3,5 ქულა აქვს, ხოლო უკრაინასა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს - 2,5-2,5. სატურნირო ცხრილის ბოლოში ჩინეთის ქალთა ნაკრებია, რომელსაც ერთი ქულა აქვს.

*ფეხბურთი*

# ფაბიო კაპელო: "ტრეზეგე პლანეტის საუკეთესო თავდამსხმელია"

იოან მიკუს "დუბლმა", რომელიც მან ორი დღის წინ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურში შეასრულა, გადამწყვეტი როლი ითამაშა ბრემენის "ვერდერის" მიერ იტალიის "უდინეზეს" დამარცხებაში. მიკუს, კლოზესა და ბაუმანის ზუსტი დარტყმების წყალობით, "ვერდერი" მატჩის მსვლელობაში "უდინეზეს" 3:0-საც კი ამარცხებდა. მაგრამ იტალიელებმა მართლაც "გერმანული" ხასიათი გამოავლინეს და კინაღამ სასწაული მოახდინეს: ორჯერ დი ნატალიმ გაიტანა გოლი, შემდეგ კი კრისტიან შულცმა თავის კარში ჩაჭრა და ტაბლობზე 3:3 აციმციმდა. ბრემენელთათვის გამარჯვების მომტანი გოლი მიკუმ 67-ე წუთზე გაიტანა. მატჩის შემდეგ "ვერდერის" მთავარმა მწვრთნელმა ტომას შააფმა განაცხადა:

"ბრწყინვალე მატჩი იყო, ხოლო ჩემმა გუნდმა გამაოგნებელი ფეხბურთი აჩვენა. უკვე მერამდენედ დავამტკიცეთ, რომ "ვერდერის" საშინაო თამაშები საკუთარი თვალით უნდა ნახო. ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალზე საჭირო იყო, რადგან მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გაგვიჩნდა. იმედგაცრუებული ვიყავი, როდესაც "უდინეზემ" მესამე გოლი გაგვიტანა, მაგრამ არანაკლებ მძაფრი ემოცია მქონდა, როცა მეოთხე ბურთი შევაგდეთ. ვფიქრობდი, რომ მეტოქეზე ცოტათი უფრო ჭკვიანურად ვითამაშებდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ჩვენი სტილი არ არის. სულ ექვსი წუთის განმავლობაში მოვდუნდით, რის გამოც უმოწყალოდ დავისაჯეთ - 6 წუთში სამი გოლი მივიღეთ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თუ როგორ გამოვიდა ჩემი გუნდი იმ უმძიმესი სიტუაციიდან, რომელშიც თვითონვე ჩაიყენა თავი", - განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე შააფმა.

სერსე კოზმი ("უდინეზეს" მთავარი მწვრთნელი): ძალზე საწყენი მარცხი განვიცადეთ როგორც წმინდა სპორტული, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.



ახლოს ვიყავით გამანადგურებელ მარცხთან, თუმცა, ასევე ახლოს ვიყავით სენსაციასთანაც. მას შემდეგ, რაც ტაქტიკა შევცვალე, უკეთესად ავთამაშდით. მატჩის დასაწყისში დავინახე, რომ ჩემი გუნდი მზად არ იყო შესაძლებლობების ზღვარზე თამაშისთვის. მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ძალა, რესურსი და მონდომება აღარ გვეყო."

ლეონ ანდერსენი ("ვერდერის" მცველი): "უმნიშვნეოვანესი თამაში მოვიგეთ. ექვსწუთიანი მონაკვეთი, როცა "უდინეზემ" სამი გოლი გაგვიტანა, ნამდვილი კოშმარი იყო, თუმცა, დავამტკიცეთ, რომ ასეთ მძიმე სიტუაციაშიც შეგვიძლია თამაშში გარდატეხის შეტანა."

ნელსონ ვალდესი ("ვერდერის" თავდამსხმელი): "როდესაც 3-ბურთიანი უპირატესობით დავწინაურდით, ერთგვარად მოვეშვით და მეტოქეს გონს მოსვლის საშუალება მივეცით. ეს კი კინაღამ სამი ქულის დაკარგვის მიზეზი გახდა. ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ და იმედი მაქვს, "ვერდერი" შეძლებს მერვედფინალის საგზურის მოპოვებას."

"ბავარიას კარში 85-ე წუთზე ულამაზესი გოლის გატანით დევიდ ტრეზეგემ "იუვენტუსს" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა, რისი წყალობითაც "ბებერი ქალბატონი" მიუნხენელებს ქულების მარაგით გაუტოლდა. ამ მომენტამდე კი ფრანგმა ფორვარდმა ანგარიში გახსნა, თუმცა, სტუმართა ჰავბეკმა სებასტიან დაისლერმა შორიდან შესრულებული ზუსტი საჯარიმო დარტყმით "სტატუს კვო" აღადგინა. მატჩის შემდეგ "იუვეს" მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ტრეზეგეს მსოფლიო ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი უწოდა.

ფაბიო კაპელო: "მძიმე მატჩი გამოდგა. მეტოქის ძალისა და სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით, შედეგით კმაყოფილი ვარ. "ბავარიას" ბევრი ნიჭიერი მოთამაშე ჰყავს და სტანდარტული მდგომარეობების გათამაშების დროს ეს გუნდი უკიდურესად სახიფათოა. გერმანელებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ეს მოლოდინი და გოლი საჯარიმო დარტყმით გაგვიტანეს. "ბავარიას" დამარცხება ნებისმიერ, ყველაზე ძლიერ ევროპულ კლუბებსაც ძალიან გაუჭირდებათ.

ტრეზეგე თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება მეტოქის საჯარიმო მოედანში ბრძოლას. ვფიქრობ, დღეს ტრეზეგე პლანეტის საუკეთესო ფორვარდია, რომელსაც მარტო, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე შეუძლია უმძიმესი მატჩების ბედის გადაწყვეტა ნებისმიერ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში."

ფელიქს მაგათი ("ბავარიას" მთავარი მწვრთნელი): "ეთამაშო "იუვენტუსს", თანაც ტურინში, ურთულესი საქმეა. ჩვენ შემტევი ფეხბურთის თამაში გვინდოდა, რის დემონსტრირებასაც მთელი 90 წუთის განმავლობაში ვცდილობდით. მეორე ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა ჩვენი კარის ნამდვილი შტურმი მოაწყვეს, რადგან "იუვენტუსს" გამარჯვება უფრო მეტად სჭირდებოდა. ჩანს, "იუვე" სამ ქულას იმსახურებდა. ვფიქრობ, ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია. თქმა არ უნდა, შეგვეძლო, ორი გოლი არ გაგვეშვა - როცა ტრეზეგეს გოლები გაჰქონდა, მის გვერდით ერთბაშად ჩემი რამდენიმე ფეხბურთელი იყო. სამწუხაროა, რომ მაკაის, უკვე მერამდენე მატჩია, გოლი არ გაუტანია. მას რომ კიდევ ერთხელ შეექმნა ისეთი საგოლე მომენტი, როგორიც პირველ ტაიმში ჰქონდა, ვფიქრობ, თვალდახუჭულიც გაიტანდა. ჰოლანდიელს სულ ერთი გოლის გატანა სჭირდება, რათა ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახოს, საკუთარი ძალების რწმენა დაიბრუნოს და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება."



ნინო კაკაბაძის სვეტი

# შვიდჯერ რვა?



*სცენარი - კომედიური ჟანრის მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის*

*პატარა ოთახი. ოთახში საქმიანი ფუსფუსია. სასწავლო ნაწილის გამგე სახეზე ფურფურალის იცხებს. გვერდით, სავსე საქაღალდით ხელში სიმპატიური ახალგაზრდა გოგონა დგას.*

**გამგე** - (გოგონას მიმართავს) ყველა ადგილზეა?

**გოგონა** - ყველა მოვიდა, უკვე სხედან და გელოდებიან, ბატონო გრიშა. აპარატურაც ჩართულია, ვიდეოზე იღებენ, მთელი სკოლა ნახავს თქვენს კრებას.

**გამგე** - კარგია, გააფრთხილე, რომ მოვდივარ, ფეხზე ადგომა არ დაავიწყდეთ!

**გოგონა** - კარგით, ვეტყვი (გოგონა ჩქარი ნაბიჯით გადის ოთახიდან. გამგე წამოდგება, სარკესთან მივა, თმას გაისწორებს, კარებისკენ მიტრიალდება და ჩქარი ნაბიჯით გავა ოთახიდან. დარბაზის კარებს მიუახლოვდება. კარებთან გოგონა დგას).

**გოგონა** - ერთი წუთით, ბატონო გრიშა. (დიდი ოთახის კარებს შეაღებს, ოპერატორებს ხელს აუწევს და დაიძახებს - **"მატორ!"**)

(კადრში ჩართული ვიდეო კამერების ხმა ისმის. გოგონა გამგეს კარებში გაატარებს.

დიდი დარბაზი. შუაში დიდი, მრგვალი მაგიდა დგას, მის გარშემო 15-მდე კლასის ჯგუფხელი ზის. ყველას შეშინებული სახე აქვს. გამგეს დანახვისთანავე ყველა ფეხზე წამოდგება. შემდეგ ყველა ერთად სხდება. პატარა პაუზა.)

**გამგე** - (გაბრაზებული ტონით) თქვენ ვინ გგონიათ თქვენი თავი?! ერთი პატარა სკოლის, პატარა ჯგუფხელები ხართ, როდესაც მომინდება, მოგხსნით და სხვას დავაყენებ თქვენს ადგილზე. თქვენ, თქვენი საკლასო ოთახის გარეთ არც ერთი არ იხედებით. მთელი სკოლის ბავშვებთან უნდა იყოთ კავშირში, უნდა გაიგოთ, ვის რა უჭირს. იცით, ან რომელიმე დაინტერესდით, ბავშვებმა სკოლის ბუფეტში "კორჟიკი" რომ იყიდონ, რამდენი ხანი უწევთ რიგში დგომა?! დაინტერესდით რომელიმე თქვენგანი ამ საკითხით?! თუ, რადგან თქვენ, კლასებში მოგართმევენ ცხელ-ცხელ "კორჟიკებს", გგონიათ, ყველასათვის ასეა?! მაინტერესებს, მიპასუხეთ!

**ჯგუფხელი მიკოლარია** - (თავდახრილი და ჩუმი ხმით) კი ვიცი, მასწ. და გამოვასწორებ, გეფიცებით.

**გამგე** - არ მინდა მე დაფიცება! ადექი და მოდი ჩემთან! (ჯგუფხელი მიკოლარია ნელი ნაბიჯით, ისევ თავდახრილი მიუახლოვდება გამგეს.)

**გამგე** -ჩემსკენ, ზურგით შემოტრიალდი! (მაგიდის ქვეშიდან წკეპლას ამოიღებს და უკანალზე ათჯერ შემოსცხებს).

**გამგე** - ეს შენ, ჯერ მხოლოდ 10 დაგვინაბეული "კორჟიკისათვის", ცოტა ხანში მდგომარეობა თუ არ გამოსწორდება, კიდევ ასჯერ მოგცხებ და მერე ამ წკეპლით გაგაგდებ შენი საკლასო ოთახიდან. (ჯგუფხელი მიკოლარია ცრემლმორეული, უკანალზე ხელდაწყობილი და დამნაშავე გამომეტყველებით თავის ადგილზე ბრუნდება.)

**გამგე** - ჭაბაშვილი, (კიდევ უფრო მკაცრი ტონით), შენ აქ არ მოგიყვან, მე თვითონ მოვალ შენთან და ნახავ, რა დღესაც დაგაყრი... (მაგიდის ქვეშიდან ახლა სახაზავს გამოიღებს, ხმალივით დაიჭერს ხელში და ჯგუფხელი ჭაბაშვილისკენ გაემართება) - დადე ხელები მაგიდაზე, მაგ ხელებზე უნდა გირტყა, რომელი ხელითაც არ პასუხობ მობილურ ტელეფონს. (ჭაბაშვილი ხელებს მაგიდაზე დააწყობს).

**ჯგუფხელი ჭაბაშვილი** - მაპატიეთ, მასწ. დღეს 144 ზარს ვუპასუხე, მარტო 60 არ ავიღე, სხვა დროს ყველას ავიღებ, გეფიცებით, მასწ.

**გამგე** - ახლა მიანც მოგხვდება მაგ დასაწვავ ხელებზე... (გამეტებით ურტყამს სახაზავს თითებზე) როგორ ბედავ, ვის ემალები, შენი სკოლის მოწაფეებს?! მაშ ვისთვისღა ხარ?! რისთვის და ვისთვის დაგაგდე მაგ ადგილზე?!

(გაიხედ-გამოიხედება, მზერით საქაღალდიან სიმპატიურ გოგონას იპოვნის და კითხავს) - ვიდეოზე იღებენ?

**გოგონა** - კი, ყველაფერს იღებენ და ახლა მთელი სკოლა გიყურებთ, გამგე ბატონო.

**გამგე** - (ჭაბაშვილს ხელებზე ურტყამს და ეკითხება) რამდენჯერ არ უპასუხე ზარს, 40-ჯერ ხო?! ხო და ზუსტად ორმოცჯერ მოგხვდება იმ თითებზე, ღილაკზე ხელის დაჭერა რომ იუკადრისა, დამპალო შენ?!

**ჯგუფხელი ჭაბაშვილი** - მაპატიეთ მასწ, გეხვეწებით... (გამგე დაასრულებს საქმეს, ჩქარი ნაბიჯით თავის ადგილზე მივა, ქოჩორს გაისწორებს და დაჯდება).

**გამგე** - რას გავს თქვენი საქციელი, ყურებს აგახევთ ყველას, როგორ დადიხართ?! რა გაცვიათ ან რა გახურავთ?! რითი დადიხართ სკოლაში?! აგერ, ჩვენი სკოლის ყოჩს გუგუნავას შეხედეთ. ერთხელ უკვე მეტროთი მოვიდა სკოლაში. მიწის ზემოთ სულ "სამაკატკით" დაქრის, საქმეებზე რომ არ დააგვიანდეს. მიბაძეთ, აიღეთ მაგალითი, მეტროშიც ჩადით, იქ არიან თქვენი სკოლის ჭეშმარიტი მოსწავლეები.

(ვიდეო-კამერები უკანა რიგებს აჩვენებენ. ყოჩი გუგუნავა თავაწეული ზის და ფიქრობს).

**ყოჩი გუგუნავას ფიქრები** - ეუფ, რა დროზე ჩავედი მეტროში... რას გადავრჩი... ეს ცხენების ჩანაცვლებაც რა დროულად მოვახერხე... ეუფ, რა მაგარი ვარ. არა და რა მაგარი იყო მემედას ჰამერი, რას დაქროდა ეგ ოხერი... კაი, ხვალ ავტობუსშიც ავალ, შევიგრძნობ სკოლის მოსწავლეების ჭეშმარიტ არსებობას.

(გამგე დიდაქტიკურ საუბარს განაგრძობს).

**გამგე** - ამ პატარა სკოლის გამგე მე ვარ, დირექტორი ამერიკაშია. ხომ იცით, ყველა ჩემს ხელში ხართ, კიდევ ერთხელ რომ გავიგო, უცხო ნომრიდან შემოსულ ზარებს არ პასუხობთ, ჯერ მაგრა გაგლახავთ ყველას და ისე გაგყრით თქვენი კლასებიდან და მერე სკოლიდან. ხომ გაიგეთ, რაც გითხარით?! (თავდახრილი და შერცხვენილი ჯგუფხელები ჩუმად, ერთხმად წარმოსთქვამენ - "დიახ, მასწ".

გამგე ადგება. მაგიდის ქვეშიდან ახლა მათრახს გამოიღებს, ხელში დაიჭერს და ხელს მაღლა ასწევს).

**გამგე** - შემდეგში ამ მათრახით გცემთ ყველას. (გამგე გასვლის წინ ერთხელაც ჩაიხედავს ვიდეო აპარატში, საბოლოო მზერას მიაპყრობს სკოლის მოწაფეებს, რომელნიც მას შემოსასვლელ ჰოლში დიდ ეკრანზე ადევნებენ თვალს. შემდეგ დატოვებს დარბაზს).

**პირველი ნაწილის დასასრული.**

**მეორე ნაწილი.**

(ღამის 4 საათი, გამგე კაფე-ბარიდან გამოდის თანმხლებ პირებთან ერთად. ქუჩაში მომავალ მოხუცებულ ქალბატონს დაინახავს. გამგე მას მიუახლოვდება).

**გამგე** - ქალბატონო, თუ შეიძლება თქვენი მობილური ტელეფონი მათხოვეთ ერთი წუთით. (გაოცებული ქალბატონი მას ტელეფონს მიაწვდის. გამგე გამოართმევს. ერთ-ერთ თანმხლებს მიუტრიალდება).

**გამგე** - ჭაბაშვილის ტელეფონი მითხარით. (ერთ-ერთი ნომერს კარნახობს, გამგე აკრიფავს. ზუმერს უსმენს, შემდეგ გაოცებული გამომეტყველებით თანმხლებ პირებს შემოუტრიალდება).

**გამგე** - (გაოცებული სახით) აილო. ჭაბაშვილი, ორჯერ ორი?

**ჯგუფხელი ჭაბაშვილი** - ოთხი

**გამგე** - შვიდჯერ რვა?

**ჯგუფხელი ჭაბაშვილი** - ოთხმოცდარვა.

**გამგე** - თფუუ!

**დ ა ს ა ს რ უ ლ ი .**

# ლაშა და ბალეტი

**ლაშა ბუღაძე**: დღევანდელი გადაცემის თემაა ბალეტი, სტუმარი კი გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფი თამაზ ვაშაკიძე, რომელიც სულ რამოდენიმე ხნის წინ ჩამოვიდა მოსკოვიდან. იქ, ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში გაიმართა მისი ახალი სპექტაკლის პრემიერა, "დიდი ვალსი", რომლის შესახებაც უფრო დეტალურად თავად ავტორი მოგვითხრობს.

**თამაზ ვაშაკიძე**: 10 ოქტომბერს გაიმართა "დიდი ვალსის" პრემიერა. სპექტაკლი მივუძღვენი ჯორჯ ბალანჩინის ხსოვნას. სიუჟეტი ასეთია: ერთი საათის განმავლობაში ცოცხლდება ბალანჩინის სახელოსნო, ყველაფერი შტრაუსის ვალსების თანხლებით მიმდინარეობს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის კულტურის სამინისტრომ სპექტაკლი შეუკვეთა ქართველ ქორეოგრაფს და მისი მუშაობა თავადაც დააფინანსა. ჩემი მოსკოვში მუშაობა მათი ინიციატივითა და სურვილით მიმდინარეობდა. ვიაჩესლავ გორდეევის დასი დამითმეს და მომეცა საშუალება მასთან და დიდი თეატრის სოლისტებთან, თუნდაც ევდოკიმოვთან მემუშავა. პრემიერა მაყურებელმა კარგად მიიღო. კრიტიკამ კი აღნიშნა, რომ "შტრაუსის ასეთი, ახლებური ხედვა მათთვის იყო აღმოჩენა." რაც შეეხება ანკა კალატოზიშვილის კოსტიუმებს, მათ ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურეს.

**ლაშა ბუღაძე**: სპექტაკლი ფესტივალის ფარგლებში მიმდინარეობდა, თუ ცალკე პროექტის სახით განხორციელდა?

**თამაზ ვაშაკიძე**: ეს იყო კონკრეტული დადგმა, რომელიც სახელმწიფომ დააფინანსა. აღსანიშნავი ისაა, რომ რუსული ბალეტი ქართველ ქორეოგრაფს უკვეთავს კლასიკას და არა მოდერნს, ანდა ნაციონალური ცეკვების წარმოდგენას. კარგად მოგეხსენებათ, რომ ბალეტში არ ყოფილა არც ერთი დიდი ფიგურა, რომელსაც არ გაევლოს რუსული სკოლა. ყველაზე ავტორიტეტული კლასიკური ბალეტის თვალსაზრისით არის რუსული ბალეტი. ამ ქვეყანამ მანდო კლასიკა და ჩაიკოვსკის დარბაზი. ჩემთვის ეს არის მთავარი.

**ლაშა ბუღაძე**: როგორც ვიცი გორდეევმა წერილი თავად სააკაშვილს გამოუგზავნა, სადაც წერს, რომ ქართული ქორეოგრაფია საიმედო ხელშია და თქვენ გგულისხმობდათ. ეს სპექტაკლი არა, მაგრამ თბილისელ მაყურებელს თქვენი წინა დადგმები ნანახი აქვს. მაგალითისთვის "დილის საარი", "ანბანი", "მატა ჰარი". ეს იყო მოდერნიზირებული ბალეტები, როგორც ვიცი საზოგადოება გიცნობთ არა როგორც კლასიკური ტიპის, არამედ ავანგარდის ქორეოგრაფიის რეჟისორს. თქვენ ხომ არ თვლით რომ კლასიკური ტიპის ხედვა იქცა ანაქრონიზმად და საჭიროა ახალი სისხლის შეტანა, თანაც რადიკალურად?

**თამაზ ვაშაკიძე**: ვთვლი რომ, როდესაც ქორეოგრაფი დგამს კლასიკას, ის ფორმაშია. ფორმაში კი უნდა იყო ყოველთვის. ყველა ქორეოგრაფს უნდა შეეძლოს კლასიკური წარმოდგენის დადგმა. მოდერნი უკვე მეორე ეტაპია, თუმცა ძალიან საინტერესო. მე ბედნიერი ვარ, რომ პროდიუსერი ირაკლი ნადარეიშვილის ინიციატივით, განვახორციელეთ ქართულ-ფრანგული პროექტი რომელშიც ბატონო ლაშა თქვენც მონაწილეობდით. პროექტი, რომელსაც "დილის საარი" ერქვა. ეს იყო სინთეზური სპექტაკლი, თქვენი დრამატურგიით, რატი ამაღლობელის პოეზიით, სიმონ მაჩაბელის მხატვრობით, გოგი ძოძუაშვილის მუსიკით. დაგვითმეს მარჯანიშვილის თეატრი და დრამატული მსახიობები. ეს იყო თანამედროვე ცეკვის პირველი მერცხალი საქართველოში. მონპელიეს საერთაშორისო ფესტივალზე, რომელზეც "დილის საარი" წარვაგდინეთ, აღმოჩენად იქცა ის, რომ სიტყვაზე მიდიოდა ცეკვა. იქ მოხდა ქართული სიტყვის, პოეზიის, მუსიკის და ქორეოგრაფიის ერთდროული აღიარება. მიხარია, რომ ამით გავხდი მონაწილე საქართველოში თანამედროვე ცეკვის დასაწყისისა.

**ლაშა ბუღაძე**: როგორც ვიცი ისევ მიემგზავრებით მოსკოვში, სადაც ისევ კლასიკურ დადგმას განახორციელებთ. როდის უფრო თავისუფალია ქორეოგრაფი, როცა კლასიკას დგარმს, თუ როცა ავანგარდზე მუშაობს? ის რომ კლასიკა ყველაზე ხშირად იდგმება, იმის ნიშანი ხომ არაა, რომ რეჟისორები შებოჭილები არიან?

**თამაზ ვაშაკიძე**: უფრო გახსნილი რა თქმა უნდა, თანამედროვე ცეკვაში ვარ. თანამედროვე ცეკვამ შეითვისა ცეკვა მოდერნი, სიტყვა, პლასტიკა, დრამატურგია. კლასიკაში ეს წარმოუდგენელია, მასთან მიმართებაში ბევრად შებოჭილები ვართ. იყვნენ ისეთი ბალეტმაისტერები, რომ მათ შემდეგ კლასიკის სხვაგვარად გახსნა შეუძლებელია, ამიტომ ყველა ქორეოგრაფმა თავისი გზა უნდა გაკვალოს და რაღაც ახალი უნდა დაბადოს. მაგრამ ჯერ-ჯერობით მსოფლიოში არის ძიება, ვერ ვიტყვით, რომ გამოკვეთილი მიმართულება ჩამოყალიბდა. ამჟამად, ჩემი გამგზავრების მიზეზი "კონკიაა", ისევ კლასიკური ბალეტი. როცა კლასიკაში მოვძლიერდები, თანამედროვე ცეკვაც იოლად გადასალახი იქნება.

**ლაშა ბუღაძე**: თქვენ აღნიშნეთ, რომ ქართულ ბალეტს არ იცნობენ, არის სახელები და გვარები, მაგრამ ისინიც რუსულ ბალეტთან ასოცირდებიან. ქართული ბალეტი დღეს კრიზისშია?

**თამაზ ვაშაკიძე**: ერთადერთი ვახტანგ ჭაბუკიანი იყო, ვინც ქართულ ბალეტს სახელი გაუთქვა, ვინც ქართულ ბალეტს საკუთარი ახალგაზრდობა და ტალანტი შესწირა. უპირველეს ყოვლისა, მინდა თამამად ვთქვა, რომ ჩემი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მოღვაწეობის პერიოდში, მე და ჩემმა კოლექტივმა გადავარჩინეთ ქართული ბალეტი. უმძიმეს წლებში და უმძიმეს პირობებში. ჩვენი მონდომებითაა, ის რომ დღეს თეატრის საბალეტო დასი 2004-2005 თეატრალურ სეზონს სრულიად მზად დაუხვდა და შვიდი პრემიერაც წარმოადგინა. ბალეტის მსახიობის აღზრდას ყველაზე ცოტა 7-8 წელი სჭირდება, წარმატებები ერთ წელიწადში არ მოდის. წარმოუდგენელია 10 თვეში დადგა რვა პრემიერა, თუ დასი არ არის მაღალ დონეზე. მე მათი წარმატებები ძალიან მახარებს. ეს ის ბავშვები არიან, ვისაც მე ძალიან კარგად ვიცნობ სასწავლებლიდან. დიდი დამსახურება აქვს გოგი ალექსიძეს, საბალეტო დასის ყოფილ მთავარ ქორეოგრაფსა და ხელმძღვანელს. ასევე ბარამ ბარამიძეს, რომელიც წლების განმავლობაში ქორეოგრაფიულ სასწავლებელს უძღვებოდა. ამ ხალხმა გადაარჩინა ჩვენი ბალეტი და აქამდე მოიყვანა. ყველაფერი უნდა ითქვას, დღეს ყველა უნდა აღინიშნოს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. 2002 წელს მოვახერხე ის, რომ მსოფლიო ბანკი სასწავლებლის დანგრეული შენობის აღდგენას დაგვთანხმებულიყო. ასეც მოხდა, მაღალ დონეზე შესრულდა სამუშაოები, განახლებული ნაგებობა მალე გადაეცემა მოსწავლეებს. მეტის გაკეთება ჩვენ არ შეგვეძლო. ქართულ ბალეტს გადარჩენა არ სჭირდება, მას ეხლა პოპულარიზაცია უნდა. მაგრამ ქართული დასი მხოლოდ სტერეოტიპული რეპერტუარით სახელს ვერ გაითქვამს, ამისთვის საჭიროა ქართული რეპერტუარი, მაგალითისთვის ავიღოთ "გორდა", "სინათლე`, მოკლედ ჩვენი შედევრები. ისეთი დაფინანსება და მხარდაჭერა როგორიც ეხლა აქვს ჩვენს თეატრს, არასდროს ჰქონია ქართულ ბალეტს. მთავარია რეპერტუარი და ის რომ დასმა გაარღვიოს არსებული სივრცე. "გედების ტბით" კონკურენციას ვერავის გავუწევთ. პრიორიტეტი თვითმყოფადი მუსიკა და ქორეოგრაფია უნდა იყოს, მაშინ იქნება აღიარებაც და მოწონებაც ფართო მასშტაბით. გოგი ალექსიძე არის ძალიან სახელოვანი და წარმატებული ქორეოგრაფი. მას რომ ჰქონოდა ის თანხები, რაც დღეს არსებობს, დიდი ხნის წინ დაიწყებოდა ქართული ბალეტის აღმასვლა. იგი თავადაა რეჟისორი, რომელსაც არაჩვეულებრივი რეპერტუარი ჰქონდა შექმნილი, რომელშიც თავის დროზე მეც აქტიურად ვმონაწილეობდი. ანუ მაშინ იყო ის ბალეტი, როგორიც არ იყო არსად გარდა თბილისისა. მე ჩვენს დასს წარმატებებს და კიდევ სამ რამეს ვუსურვებდი: მსახიობებისა და პედაგოგების კადრებს, წარმატებულ გასტროლებს და განსაკუთრებული რეპერტუარის შექმნას.

**ლაშა ბუღაძე**: დღეს თქვენ თავისუფალი შემოქმედი ბრძანდებით და შთამბეჭდავი წარმატებები და გეგმები გაქვთ. წინ კიდევ არაერთი სპექტაკლი იქნება, რომლებსაც რუსული ბალეტის სცენაზე გაიტანთ. იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენს ახალ დადგმებს თბილისშიც ვიხილავთ, ქართულ ბალეტს კი მსოფლიო გაიცნობს.

# "არიქას" პრინციპი

სამსონ ლეჟავა

უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე საქართველოში თავი იჩინა სკულპტურის, როგორც ხელოვნების მნიშვნელოვანი ფენომენის მიმართ ყოვლად უდიერმა დამოკიდებულებამ, თანაც გამოხატულმა სულ სხვადასხვა სახით. ერთი მხრივ, ყოველნაირი კონკურსებისა თუ წინასწარი პროფესიული აწონდაწონვის გარეშე (საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად), ძალიან ხშირად იდგმება ერთობ საეჭვო ღირსების მქონე, მეტწილად დრომოჭმული "ესთეტიკის" მატარებელი, თითქოსდა სახელდახელოდ შექმნილი და სრულებით მოულოდნელ ადგილებში უეცრად "აღმოცენებული" სკულპტურები. მეორე მხრივ, ასევე მრავალგზის იჩინა თავი, უკვე არსებული და საკუთარ "სამყოფელს" ზოგან რიგიანად მორგებული, მეტ- ნაკლებად წარმატებული ქანდაკებების განადგურებამ, გაძარცვამ, გადაყრამ თუ სხვა უკეთურობებმა. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მიდგომა ბნელი აგრესიულობისა და უკულტურობის გამოხატულებაა.

ეს სავალალო "ტრადიცია" ნაირგვარი ფორმით ახლაც ჯიუტად გრძელდება. სრულებით ალოგიკურია "ფაცხა-ფუცხითა" და საკუთარ შეუმცდარობაში უსაფუძვლო დარწმუნებულობით ამა თუ იმ ძეგლისათვის ადგილის შენაცვლება თუ "ქანდაკომობილიზმი," ყოველნაირი დამაჯერებელი დასაბუთებისა და წინასწარი ანალიზის გარეშე, სტიქიურად, სპონტანურად, თვითნებური სულსწრაფობითა და "არიქას" პრინციპით. არც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტერიტორიების, ადგილებისა თუ საზრისით დატვირთული ტოპოსების "შევსებაა" გამართლებული გინდა თუ არა, სასწრაფოდ დასადგმელი ახალი ქანდაკებებით, ანალოგიურად - რაიმედაგვარი არქიტექტურულ-სივრცითი, პლასტიკურ-კომპოზიციური თუ სემანტიკური გააზრების გარეშე, კვლავ და კვლავ ერთბაშად, ამოჩემებულად, სულმოუთქმელად...

მაგონდება მერაბ მამარდაშვილის გამონათქვამი: ახლა ჩვენთვის სპრინტერობას სტაიერობა სჯობსო. ამ აზრს ქართული ანდაზა კიდევ უფრო ზუსტად გამოხატავს - მოჩქარეს მოუგვიანდესო!

ყოველსავე ამაზე ცხადია, ღირს სერიოზული დაფიქრება. ალბათ სჯობს ვაღიაროთ, რომ საბჭოური მენტალიტეტის დაძლევის გზაზე, სტარტიდან დაძრულობაც კი დიდწილად პრობლემატური აღმოჩნდა ჩვენში. ეს უდავოდ საგანგაშოა. ისმება კითხვა: ხომ არ ვიქეცით ყოვლად უცნაური, პარადოქსული მოვლენის მოწმენი, რასაც აფორიაქებულად სტაგნაციურ - სტატიკური "სპრინტერობა" შეიძლება ეწოდოს? ამ დროს მეხსიერებაში ამოტივტივდება ვლადიმერ ვისოცკის ერთი სიმღერა, სადაც იგი ადგილზე ურთიერთგამთანაბრებელი რბენის შემზარავ აბსურდულობაზე ექსპრესიულად გამოხატავს საკუთარ ტკივილს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ დღევანდელი ხელისუფლება მმართველობის სათავეებთან ჩვენი ხალხის დიდი მხარდაჭერით არის მოსული, უკანასკნელ ხანს კი სამწუხაროდ არაერთგზის იჩინა თავი საზოგადოებრივი აზრის მიმართ გულგრილობამ და უგულისყურობამ ჩვენი ხელისუფლების მხრივ, რაც ჰგავს მთავარი ტოტის მოჭრას. ამას აღვნიშნავ არა როგორც განმკითხავი, არამედ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ გულშემატკივარი...


NEWAFISHA.GE

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი 19 00 სთ-ზე
მის: ჭავჭავაძის გამზირი N 32

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
დასაწყისი 20 00სთ-ზე
მის: რუსთაველის გამზირი N 42

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
"ბაკულას ღორები"
დასაწყისი 19 00 სთ-ზე
აღმაშენებლის გამზირი (ძველი კინოსტუდიის შენობა).

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**
**4 ნოემბერი**
"აიდა"
დასაწყისი 15 00 და 19 00 სთ-ზე.
მის: რუსთაველის გამზირი 25

**გიორგი შავგულიძის სახელობის თეატრი "სახიობა"**

**4 ნოემბერი**
რეზო კლდიაშვილი
"ჭრილობა"
დასაწყისი 15 00 სთ-ზე
მის: გურამიშვილის გამზირი N64

**პანტომიმის თეატრი**
"სამყარო"
რეჟ: დავით შალიკაშვილი
დასაწყისი 18 00 სთ-ზე
მის: რუსთაველის გამზირი №37

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"**
"ლიფტში" - გიორგი სიხარულიძე
დასაწყისი 19 00 სთ-ზე
მის: ვ. ანჯაფარიძის ქ. N 16



ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*

**ღია საზოგადოების ინსტიტუტი,**
**დიდი ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა**
**სამინისტრო და ესექსის უნივერსიტეტი**
**Open Society Institute/Foreing and Commonwealth**
**Office Chevining/**
**University of Essex Scholarships in Human Rights**
**2006/2007**

აცხადებს კონკურს ერთწლიანი სტიპენდიების მოსაპოვებლად ესექსის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, შემდეგ დარგებში სასწავლებლად:

**ადამიანის უფლებები ( პრაქტიკა და თეორია ) MA**
**- საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებებში LLM**

ძირითადი მოთხოვნები:

პროგრამაში მონაწილეობის მსურველები უნდა იყვნენ საქართველოში მცხოვრები 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები;
- ჰქონდეთ დამთავრებული ბაკალავრიატი, ან იღებდნენ შესაბამის დიპლომს;
კონკურსის ფარგლებში საჭირაო ინგლისური ენის ტესტის IELTS (7.0) ჩაბარება;
- ჰქონდეთ სამუშაო გამოცდილება;
არ უნდა ჰქონდეთ ნასწავლი წელიწადზე მეტი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილ საბჭოთა კავშირის და მონგოლეთის უმაღლეს სასწავლებლებში;
- სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში;

ესექსის უნივერსიტეტის სტოპენდიის მოპოვება იწარმოებს კონკურსის საფუძველზე

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ უნივერსიტეტის ვებსაიტზე:

http://www.essex.ac.uk or http://www.sx.ac.uk
http://www2.essex.ac.uk/human-rights-centre/
http://www2.sx.ac.uk/human-fights-center/

**საგანაცხადო ფორმებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

*ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"*
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
**თბილისი, ჭოველიძის 10, ოთახი 102.**
**საკონტაქტო ტელეფონი 25 26 15, 25 04 63**

**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ხუთშაბათს 15:00 საათზე.**
**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 23 იანვარი**


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. N71, ინდ. 1300 აცხადებს ღია ტენდერს გარდაბნის რაიონის უმწეოთა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო კვების შესახებ და იწვევს მონაწილეობის მისარებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005წელი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში 9 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის 1. N71, ინდ. 1300. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადაა 28 ნოემბერი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იორიდიული პირისათვის:

a) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია.

b) ცნობა საჯარო რეესტრის ადგილობრივი ორგანოდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული;

გ) ცნობა შ.ს.ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განვალობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმ დინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომლითაც მას მთლიანად ან ნაწილობრივ არააქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.

ბ) ცნობა შ.ს.ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განვალობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმ დინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;

ბ) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

გ) ლიცენზია ნებართვა საზ. კვების განხორციელების შესახებ (სერთიფიკატის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული).

5. განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კლასიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მირებისათვის ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 500 ლარის ოდენობით (ანგ. 303030001. სახალხო ბანკის გარდაბნის საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101401) ზემოთ მითითებული ვადების შესაბამისად, შეეძლებათ მისამართზე: ქ. გარდაბანი. დ. აღმაშენებლისN71, 8-დან 17 საათამდე.

8. დამატებითი ინფირმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გარაიონული გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: 5-21-98

1

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ილამაზ მიწიშვილი**

დამ და ძმამ გადაწყვიტეს გაცვალონ მათი კუთვნილი (საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დადასტურებული) ბინები. ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, გვიპასუხოთ: 1) არსებობს თუ არა ამჟამად გასხვისების ასეთი ფორმა - გაცვლა? 2) შეუძლიათ თუ არა მათ, ერთამანეთს გადასცენ ბინები ჩუქების წესით? 3) შეიძლება თუ არა, რომ ძმამ აჩუქოს ბინა სიძეს (დის ქმარს)? 4) როგორი გადასახადით იბეგრება ასეთი პროცედურები?

პატივცემულო ილამაზ,

1. "სამოქალაქო კოდექსის" 521-523-ე მუხლების მიხედვით:

**მუხლი 521. ცნება**

1. გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემა.

3. გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის, და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს.

**მუხლი 522. გასაცვლელი ქონების არატოლფასოვნება**

თუ გასაცვლელი ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით.

**მუხლი 523. გაცვლის მიმართ გამოყენებული წესები**

გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები.

2-3. აგრეთვე 524-529-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 524. ცნება**

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

**მუხლი 525. ჩუქების ხელშეკრულების დადება. საჩუქრის დაპირება**

1. ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან.

2. თუ ჩუქების საგანს წარმოადგენს ისეთი ქონება, რომელზედაც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის სავალდებულოა ამ ფორმის დაცვა.

3. საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული.

**მუხლი 526. ჩუქების დაუშვებლობა**

პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

**მუხლი 527. გაჩუქებული ქონების ნაკლი**

თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

**მუხლი 529. ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო**

1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

2. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მუხლი 530. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

1. თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

2. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

4. "საგადასახადო კოდექსის" 167-ე მუხლის და 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ვ", "ზ" და "ი" ქვეპუნქტების მიხედვით:

მუხლი 167. გადასახადის განაკვეთი

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 12 პროცენტით.

მუხლი 168. გადასახადისაგან განთავისუფლება

1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ვ) ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა;

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება.

"სამოქალაქო კოდექსის" 479-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 479. უძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები**

მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საკუთრების უ ფლების გადაცემის სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" კანონის მე-15 მუხლის და 22-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების მიხედვით:

**მუხლი 15. გაცვლის ხელშეკრულების ღირებულება**

გაცვლის ხელშეკრულების ღირებულება გამოიანგარიშება უფრო მეტი ღირებულების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულებიდან.

**მუხლი 22. გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთები**

1. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთებია:

| N | როცა გარიგების ღირებულებაა | საზღაურის ოდენობა ლარებით არის გარიგების ღირებულების |
|---|---|---|
| 1. | 500 ლარის ჩათვლით | 3 % |
| 2. | 501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით | 15ლარი + 500 ლარის ზევით თანხის 2,5 % |
| 3. | 1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით | 27,5 ლარი + 1000 ლარის ზევით თანხის 1,5 % |
| 4. | 2001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით | 42,5 ლარი + 2000 ლარის ზევით თანხის 1 % |
| 5. | 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით | 52,5 ლარი + 3000 ლარის ზევით თანხის 0,5 % |
| 6. | 5001 ლარიდან 20000 ლარის ჩათვლით | 62,5 ლარი + 5000ლარის ზევით თანხის 0,4 % |
| 7. | 20001 ლარიდან 100000 ლარის ჩათვლით | 122,5 ლარი + 20000ლარის ზევით თანხის 0,3 % |
| 8. | 100001 ლარიდან 500000 ლარის ჩათვლით | 362,5 ლარი + 100000ლარის ზევით თანხის 0,2 % |
| 9. | 500001 ლარიდან 1000000 ლარის ჩათვლით | 1162,5 ლარი + 500000ლარის ზევით თანხის 0,1 % |
| 10. | 1000000 ლარის ზევით | 1662,5 ლარი + 1000000ლარის ზევით თანხის 0,05 % |

3. ამ მუხლით განსაზღვრული საზღაური არ უნდა იყოს 10000 ლარზე მეტი.

ამრიგად, თქვენ უფლება გაქვთ, რომ თქვენი ნების შესაბამისად დადოთ ან გაცვლის ხელშეკრულება ან ჩუქების ხელშეკრულება.

**ავთანდილ შარაშენიძე**

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ტრამვის გამო გავხდი მე-3 ჯგუფის ინვალიდი. საქართველოს პრეზიდენტის ნომერ 48-ე ბრძანებულების მე-3 მუხლი მიუთითებს, რომ დამქირავებელმა მისი ბრალის არსებობის შემთხვევაში დაზარალებულს შრომის უნარის შეზღუდვასთან დაკავშირებით უნდა უხადოს ყოველთვიური სარჩო. ვარ შ.ს.ს-ს პენსიონერი. უამრავ შემთხვევაში შ.ს.ს თანამშრომლები ღებულობენ ტრამვებს და ინვალიდდებიან ისე, რომ ამაში არ არის მათი დამქირავებლების (სამინისტროს) ბრალი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ეკუთვნის თუ არა ასეთ თანამშრომლებს ყოველთვიური სარჩო, თუ სამართალდამცავთა და სამხედრო მოსამსახურეთა ათობით ათასი არ შედის იმ პირთა კატეგორიაში, რომლებმაც შეიძლება მიიღონ ნომერ 48-ე ბრძანებულების გათვალისწინებით სარჩო.

ბატონო ავთანდილ,

1996 წლის "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის 1-ლი, მე-17-24-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 1. საპენსიო უზრუნველყოფის მქონე პირები**

ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით საპენსიო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე შემდეგი პირები:

ა) ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით "კონტრაქტით" მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტმენტში;

ბ) სპეციალური წოდების მქონე პირები, რომლებიც მსახურობდნენ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში;

გ) ოფიცრები, მათ შორის სამხედრო პროკურატურის, ყოფილი სამხედრო ტრიბუნალის, სამხედრო სასამართლოს ოფიცრები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში ხელშეკრულებით "კონტრაქტით" მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ ყოფილ სსრ კავშირის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში, შინაგან, სასაზღვრო, სარკინიგზო, სამთავრობო კავშირგაბმულობის, სამოქალაქო თავდაცვის, სამხედრო-სამშენებლო ჯარებში, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო დაზვერვის, სამხედრო იუსტიციის ორგანოებში, სხვა კანონიერ სამხედრო ფორმირებებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში და მათი ოჯახის წევრები - თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოს საერთაშორისო ხელშეუკრულებით ან შეთანხმებით;

დ) რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებსა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით);

ე) პარტიზანები, მოხალისეები, პარტიზანული და მოხალისეთა რაზმების მეთაურები, რომელთა თანამდებობები შეესაბამებოდა ოფიცერთა თანამდებობებს;

ვ) მეორე მსოფლიო ომში და სხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში დაღუპულ (უგზო-უკვლოდ დაკარგულ) ან იქ მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების, კონტუზიისა და სხვა დაავადების შედეგად გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები;

ზ) გარდაცვლილ სამხედრო პენსიონერთა ოჯახის წევრები;

თ) სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები და მათი ოჯახის წევრები საქართველოსა და ამ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების (შეთანხმების) საფუძველზე;

ი) სამხედრო სამსახურის დროს დაინვალიდებული ვადიანი სამხედრო სამსახურის მოსამსახურეები, თადარიგიდან სამხედრო ან სპეციალურ შეკრებებზე გაწვეული პირები (გარდა ოფიცრებისა) და მათი ოჯახის წევრები მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში;

კ) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში იძულებით პატიმრობაში მყოფი მეომრები და სხვა პირები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ დამტყვევებელი მხარის სასარგებლოდ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში.

ლ) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში იძულებით პატიმრობაში მყოფი ყოფილი არასრულწლოვანი პატიმრები.

**მუხლი 17. ინვალიდობის პენსიის დანიშვნის პირობები**

ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს ინვალიდობის პენსია დაენიშნებათ, თუ ისინი დაინვალიდდნენ სამხედრო ან ოპერატიული სამსახურის პერიოდში, ან არა უგვიანეს სამი თვისა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან, მაგრამ სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების გამო.

**მუხლი 18. ინვალიდობის დადგენა**

1. ინვალიდობის ჯგუფებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, დაინვალიდების დროსა და გადამოწმების ვადას განსაზღვრავენ შესაბამისი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიები.

2. ინვალიდობისდა მიხედვით დგინდება ინვალიდობის სამი ჯგუფი I, II და III.

**მუხლი 19. ინვალიდობის კატეგორიები**

ინვალიდობის მიზეზების გათვალისწინებით ინვალიდები იყოფიან შემდეგ კატეგორიებად:

ა) ომის ინვალიდებად, ინვალიდებად სამხედრო ტრავმის შედეგად, თუ ინვალიდობა უკავშირდება საქართველოს და ყოფილი სსრ კავშირის ინტერესების, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვას ან სხვა სამხედრო ან ოპერატიულ მოვალეობათა შესრულებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ლოკალურ ომებში მიღებულ ჭრილობას, დასახიჩრებას, კონტუზიას ან დაავადებას. ომის ინვალიდებს მიეკუთვნებიან არასრულწლოვანი აღსაზრდელები, რომლებიც იმყოფებოდნენ მოქმედ არმიაში, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც მიიღეს ტრავმა ან დაავადება ტყვეობის პერიოდში, თუ დატყვევება არ იყო ნებაყოფლობითი და ტყვემ არ ჩაიდინა სამშობლოს წინაშე სისხლის სამართლის დანაშაული.

ბ) ინვალიდებად, თუ ჭრილობა, დასახიჩრება, კონტუზია ან დაავადება არ არის დაკავშირებული სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებასთან.

**მუხლი 20. ინვალიდობის პენსიის ოდენობა**

ამ კანონის პირველი მუხლის „ა"-„ზ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ პირთათვის დადგენილია ინვალიდობის პენსიის შემდეგი ოდენობა:

ა) სამხედრო ტრავმის შედეგად დაინვალიდებულ I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის 85 პროცენტი, III ჯგუფის ინვალიდებისათვის - 50 პროცენტი იმ ფულადი სარგოდან, რომელიც დადგენილია ამ კანონის მე-10 მუხლით.

ბ) სამხედრო სამსახურის გავლისას დაინვალიდებული I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის - 75 პროცენტი, III ჯგუფის ინვალიდებისათვის - 40 პროცენტი იმ ფულადი სარგოდან, რომელიც დადგენილია ამ კანონის მე-10 მუხლით.

**მუხლი 21. ინვალიდობის პენსიის ოდენობა**

1. ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს ინვალიდობის მინიმალური პენსია განესაზღვრებათ საქართველოში დადგენილი ასაკის გამო მინიმალური პენსიის შემდეგი ოდენობით:

ა) სამხედრო ტრავმის შედეგად დაინვალიდებულ I და II ჯგუფის ინვალიდებს - 300 პროცენტი;

ბ) III ჯგუფის ინვალიდებს - 100 პროცენტი.

2. ამ მუხლით განსაზღვრული პენსიის საერთო ოდენობა არ უნდა იყოს 45 ლარზე ნაკლები.

**მუხლი 22. დანამატი ინვალიდობის პენსიაზე**

ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს ინვალიდობის პენსიაზე დანამატი დაერიცხებათ იმ ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია ამ კანონის მე-15 მუხლით.

**მუხლი 23. ინვალიდობის პენსიის დასანიშნი პერიოდი**

1. სამხედრო მოსამსახურეებს ინვალიდობის პენსია დაენიშნებათ შესაბამისი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიის მიერ დადგენილი ინვალიდობის მთელი ვადით - მამაკაცებს 65 წლის და ქალებს 60 წლის ასაკს ზემოთ - მუდმივად. ამ კანონის მე-19 მუხლის "ა" პუნქტში გათვალისწინებულ პირებს (ომის ინვალიდებს) ინვალიდობის პენსია მუდმივად დაენიშნებათ - მამაკაცებს 55 წლის და ქალებს 50 წლის ასაკის შესრულების შემდეგ. მუდმივად დანიშნული პენსიების მქონე პენსიონერთა ხელახალი შემოწმება შეიძლება მხოლოდ მათი განცხადების საფუძველზე.

2. თუ ინვალიდი პენსიონერი, რომელსაც არა აქვს საპენსიო ასაკი, შრომისუნარიანად ჩაითვლება, მაშინ პენსია მას მიეცემა იმ თვის ბოლომდე, რომელშიც იგი შრომისუნარიანად იქნა მიჩნეული, შემდგომ მას პენსიის მიცემა შეუწყდება.

**მუხლი 24. პენსიის ოდენობის გაანგარიშება ინვალიდობის ჯგუფის შეცვლისას**

ინვალიდობის ჯგუფის შეცვლა იწვევს პენსიის ოდენობის შეცვლას. ამასთან, თუ ინვალიდს სამხედრო ტრავმის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობა უუარესდება საერთო დაავადების, შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო, მაშინ პენსიის გაანგარიშება ხდება ინვალიდობის ახალი ჯგუფის მიხედვით, ინვალიდობის გამომწვევი პირველადი მიზეზების შენარჩუნებით.

**გიორგი მიქიაშვილი**

კომუნისტების ეპოქაში არსებობდა კანონი, რომლის ძალითაც ვაჭრობის მუშაკი (ვთქვათ მაღაზიის გამყიდველი) პასუხისმგებელი იყო იმ მატერიალური ქონების მოვლა-პატრონობაზე, რომელიც მას ებარა მასზე ზემდგომი პიროვნებისა თუ ინსტანციისაგან. .დანაკლისის შემთხვევაში აუცილებლად პასუხი უნდა ეგო ან ადმინისტრაციული წესით ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ეს წესი და კანონი მავანს აიძულებდა (უმრავლესობას მაინც) კეთილსინდისიერი მუშაობისაკენ. მაინტერესებს, დღევანდელ სისტემაში, აღნიშნულ სფეროში მუშაობს თუ არა რაიმე მსგავსი მექანიზმი, რომ არ იყოს ის ქაოსი და ვაკჰანალია, რაც დღეს სავაჭრო ობიექტებშია და თუ არის ასეთი მექანიზმი, რა მიზეზითაა, რომ არ მოქმედებს (ესეიგი მექანიზმად არ ჩაითვლება)? უნდა ვრცელდებოდეს თუ არა ეს მექანიზმი სავალდებულოდ ყველასათვის?

ბატონო გიორგი,

"შრომის კანონთა კოდექსის" 118-ე და 122-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 118. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შეზღუდვა**

1. მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან მზრუნველობით მოეპყრონ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ქონებას და მიიღონ ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად.

2. საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის გამო მუშას ან მოსამსახურეს მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირობით, თუ ზიანი გამოწვეული იყო მისი ბრალით. ეს პასუხისმგებლობა, როგორც წესი, განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის ხელფასის გარკვეული ნაწილით და არ უნდა აღემატებოდეს მიყენებული ზიანის სრულ ოდენობას გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მუხლები 119-ე და 120-ე).

3. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ პირდაპირი ნამდვილი ზიანი და არა ის შესაძლო შემოსავალი, რომელიც ვერ მიიღეს მიყენებული ზიანის შედეგად.

4. დაუშვებელია მუშას ან მოსამსახურეს დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ნორმალური საწარმო-სამეურნეო რისკის კატეგორიას.

5. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას მუშებსა და მოსამსახურეებს აუცილებელი პირობები ნორმალური მუშაობის და მათთვის მინდობილი ქონების სრული დაცვის უზრუნველყოფისათვის.

**მუხლი 119. გარანტია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშაკისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას**

შრომითი მოვალეობების შესრულებისას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშაკს, რომლის ბრალითაც გამოწვეულია ზიანი, ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზიანის ოდენობით, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 120. მუშაკის შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები**

1. შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ:

ა) მუშაკებს - მათი ბრალით მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს მათი ორი თვის ხელფასისა მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის (პროდუქციის), მათ შორის, მისი დამზადებისას დაუდევრობით გაფუჭების ან განადგურებისათვის, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ სარგებლობაში მიცემული ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლის და სხვა საგნების დაუდევრობით გაფუჭების ან განადგურებისათვის;

ბ) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, აგრეთვე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს - მათი ბრალით მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს სამი თვის ხელფასისა, თუკი საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ზიანი მიაყენეს ზედმეტი ფულადი სახსრების გაცემით, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის არასწორი აღრიცხვითა და შენახვით, მოცდენის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის დატაცების, განადგურებისა და გაფუჭების თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მიუღებლობით;

გ) თანამდებობის პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით სამსახურიდან მუშაკთა უკანონოდ დათხოვნაში ან უკანონოდ სხვა სამუშაოზე გადაყვანაში, სამი თვის ხელფასის ოდენობით.

**მუხლი 121. მუშაკის სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები**

1. მუშაკს საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო, თუ იგი გამოწვეულია მისი ბრალით, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება სრული ოდენობით, როდესაც:

ა) ზიანი მუშაკის დანაშაულებრივი მოქმედებითაა მიყენებული და დადასტურებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) ზიანი მიაყენა მუშაკმა, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა;

გ) მუშაკს, შრომითი მოვალეობის შესრულებისას, ნორმატიული აქტით ან ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო;

დ) მუშაკსა და საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლითაც მუშაკი კისრულობს სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას, თუ ვერ უზრუნველყოფს მისთვის შესანახად ან სხვა მიზნით გადაცემული ქონების და სხვა ფასეულობათა დაცვას;

ე) ზიანი მიყენებულია არაშრომითი მოვალეობის შესრულებისას;

ვ) ქონება და სხვა ფასეულობანი მუშაკმა მიიღო საქვეანგარიშოდ, ერთჯერადი მინდობილობით ან სხვა ერთჯერადი დოკუმენტით;

ზ) ზიანი მიყენებული მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის (პროდუქციის), მათ შორის მათი დამზადებისას, დანაკლისით, განზრახ განადგურებით ან განზრახ გაფუჭებით, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ მუშაკისათვის სარგებლობაში მიცემული ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლისა და სხვა საგნების დანაკლისით, განზრახ განადგურებით ან განზრახ გაფუჭებით.

**მუხლი 121. წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ**

წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ შეიძლება დადოს მუშაკთან (18 წლის ასაკს მიღწეულთან), რომელსაც უკავია ისეთი თანამდებობა ან ასრულებს ისეთ სამუშაოებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მისთვის გადაცემულ ფასეულობათა შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასთან (გაცემასთან), გადაზიდვასთან ან წარმოების პროცესში გამოყენებასთან.

**მუხლი 1212. კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასაუხისმგებლობა**

1. მუშებისა და მოსამსახურეების მიერ იმ ცალკეულ სახეობათა სამუშაოების ერთობლივად შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია მათთვის გადაცემულ ფასეულობათა შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასთან (გაცემასთან), გადაზიდვასთან ან წარმოების პროცესში გამოყენებასთან და როდესაც შეუძლებელია თითოეული მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობის გამიჯვნა და მასთან ხელშეკრულების დადება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, შეიძლება შემოღებულ იქნეს კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა.

2. კოლექტიურ (ბრიგადულ) მატერიალურ პასუხისმგებლობას აწესებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირთან შეთანხმებით. წერილობითი ხელშეკრულება კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ იდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და კოლექტივის (ბრიგადის) ყველა წევრს შორის.

**მუხლი 1213. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრა**

1. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება ფაქტიური დანაკარგების მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, მატერიალურ ფასეულობათა საბალანსო ღირებულების (თვითღირებულების) შესაბამისად დადგენილი ცვეთის ნორმების გამოკლებით.

2. მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, დანაკლისის, განზრახ განადგურების ან განზრახ გაფუჭების დროს ზიანი განისაზღვრება იმ ფასის მიხედვით, რომელიც დაფიქსირებულია ზიანის მიღებისას.

3. კვების საწარმოში (წარმოებაში და ბუფეტში) და ვაჭრობაში პროდუქციისა და საქონლის დატაცებით ან დანაკლისით მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება იმ ფასების მიხედვით, რომლებიც დადგენილია ამ პროდუქციისა და საქონლის გაყიდვისათვის (რეალიზაციისათვის).

4. რამდენიმე მუშაკის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა თითოეული მათგანისათვის განისაზღვრება ბრალის ხარისხის, მატერიალური პასუხისმგებლობის სახეობისა და ფარგლების გათვალისწინებით.

**მუხლი 122. საწარმოს. დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი**

1. 120-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუშაკები ზიანს აანაზღაურებენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის განკარგულებით, ხოლო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები - ხელქვეითობის წესით, ზემდგომი ორგანოს განკარგულებით, მუშაკის ხელფასიდან დაქვითვის გზით. ადმინისტრაციის ან ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს განკარგულება უნდა გაიცეს არა უგვიანეს ორი კვირისა მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამოვლენის დღიდან და აღსრულდეს მუშაკისათვის შეტყობინებიდან არა უადრეს შვიდი დღისა. თუ მუშაკი არ ეთანხმება დაქვითვას ან მის ოდენობას, დავა სასამართლო წესით განიხილება.

2. დანარჩენ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება ხდება ადმინისტრაციის მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით.

3. თუ ადმინისტრაციამ დადგენილი წესის დარღვევით მუშაკს დაუქვითა ხელფასიდან თანხა, მაშინ დავის განმხილველი ორგანო მუშაკის საჩივრის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას უკანონოდ დაქვითული თანხის დაბრუნების შესახებ.

4. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის მატერიალური ზიანის გადახდევინება სასამართლო წესით ხდება ხელქვეითობის წესით, ზემდგომი ორგანოების სარჩელით.

5. ზიანის ანაზღაურება ხდება მუშაკის დისციპლინურ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიუხედავად, იმ მოქმედებისათვის (უმოქმედობისათვის), რის შედეგადაც საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას მიადგა ზიანი.



სტუმრად
მაია ჭალაგანიძესთან

# ოპოზიცია თამაშის წესებს არ ცნობს

## და ეს ძალიან ართულებს პოლიტიკურ ფონს

პირველი გვერდიდან

**- საქართველოში შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. ამ დოკუმენტში დევს რაიმე სპეციფიკური პუნქტი, რომელიც ჩვენი რუსეთთან მეზობლობით არის განპირობებული?**

- ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულია, პრეზიდენტის მიერ არის ხელმოწერილი და პრეზენტაციაც შედგა. დოკუმენტი, რომლის შექმნაშიც უცხოელი კოლეგები, კერძოდ, სამხედრო ძალების კონტროლის ჟენევის ცენტრი დაგვეხმარა, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოვეცით. ვფიქრობ, რომ ეს არის სერიოზული წარმატება, რადგან ასეთი დოკუმენტი ბევრ დიდ და ამბიციურ ქვეყანას არ აქვს. მაგალითად, რუსეთმა დღემდე ვერ მოახერხა ამ კონცეფციის ჩამოყალიბება. გვაქვს ამომწურავი და რეალისტური დოკუმენტი. მაქსიმალურად მოვერიდეთ უბრალო შეძახილებსა და განუხორციელებელ ლოზუნგებს. განხილვის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებმაც მიიღეს მონაწილეობა და მათი, პრაქტიკულად, ყველა შენიშვნა გათვალისწინებულია. ეს არ არის მუდმივი თეზისები. დროთა განმავლობაში, სიტუაციის შეცვლასთან ერთად, შეიძლება რაღაც პუნქტები ამოვიღოთ ან ჩავამატოთ.

რაც შეეხება რუსეთს, ის საქართველოს მეგობრებში მოხსენიებული არ არის.

**- აშშ-ს მეტოქეობისთვის რუსეთს დღეს არ გააჩნია საკმარისი გეოპოლიტიკური რესურსი. ამის ერთ-ერთი მიზეზი იქნებ საქართველოსთან და მთლიანად კავკასიასთან გაუმჯობესებული ურთიერთობებიც ყოფილიყო, მაგრამ ამ მხრივ რუსეთი ისევ სუსტისადმი ძლიერის პოლიტიკას არჩევს. ამაში იგულისხმება საქართველოში მეხუთე კოლონის გაძლიერების ტენდენციებიც. როგორ უყურებს ხელისუფლება ამ საფრთხეს?**

- ორივე ქვეყნისთვის ხელსაყრელი იქნებოდა, რუსეთმა რომ საქართველოსთან ცივილიზებული ურთიერთობების დამყარება შეძლოს. რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობაში მომძლავრების ამბიცია აქვს და ამ თვალსაზრისით საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობები ნამდვილად წაადგებოდათ. ვფიქრობ, რომ თუ რუსეთი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ცივილიზებულად მიუდგებოდა, დაახლოებით ისე მაინც, როგორც ეს ბაზების შემთხვევაში გააკეთა, თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებაში დაგვეხმარებოდა, ვიქნებოდით ის ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას ამცნობდა, რომ რუსეთი ცივილიზებულ ქვეყნად გადაიქცა. ვფიქრობ, ამას ბევრი სიხარულით მიიღებდა, ეს არის ჩვენი ურთიერთობების იდეალური სურათი.

სამწუხაროდ, ასე ვერ ხერხდება და პირველ რიგში, იმის გამო, რომ რუსეთს უჭირს "კეთილი ქვეყნის" თამაში. ეს მას დიდი ხანია არ გაუკეთებია და შეიძლება, საერთოდაც არ გაუკეთებია.

იქ აგრეთვე არსებობს არაკეთილი ზრახვები, იმის შესახებ, რომ მათ საქართველოს მიმართ ნაკლებად ხისტი პოზიციის შემუშავება უფრო წაადგებოდათ - შიგნით მეხუთე კოლონის შექმნის თვალსაზრისით. ვფიქრობ, რუსეთის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ასეთი გეგმა რომც არსებობდეს, ამის ფიზიკურად განხორციელება მოშლილი ჩინოვნიკური აპარატის გამო გაუჭირდებათ. მუშაობა მეხუთე კოლონის შექმნაზე მიმდინარეობს, მაგრამ ამ დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციები მუდმივად ეშინიათ, რომ ფული მათთან ვერ მიაღწევს. ამის მაგალითი გორის ტერაქტია. მათ მიერ დაფინანსებულმა ხალხმა ეს ტერაქტი შეასრულა, ფული კი შუამავალმა სადღაც გააქრო. ამ დონეზეა მოშლილი მათი სტრუქტურების მუშაობა.

ამის მიუხედავად, გამართული მეხუთე კოლონა თუ არა, მსგავსი სურვილების მქონე ადამიანები საქართველოში არსებობენ. რუსებს აქ სხვადასხვა ასაკის საკმაოდ ბევრი აგენტი ჰყავს.

**- მათ შორის, ხელისუფლებაშიც?**

- ხელისუფლებაზე ვერ გეტყვით, მაგრამ ოპოზიციაზე შემიძლია გითხრათ და "წინ საქართველო" ამის აშკარა მაგალითია.

**- ფარული ორგანიზციები უფრო საფრთხის შემცველი არ არის?**

- ვთვლი, რომ დაფარული ორგანიზაციები არ არიან. ძალიან კარგად მუშაობს კონტრდაზვერვის სამსახური და ისინი ფლობენ ბევრ ინფორმაციას, რომელიც გამომზეურებას არ ექვემდებარება. სიტუაციას მაქსიმალურად ვაკონტროლებთ.

**- როგორ უნდა გამოვიყენოთ რუსეთ-საქართველოს სარკინიგზო ხაზის აფხაზეთის მონაკვეთი ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისთვის სასარგებლოდ? აფხაზები აცხადებენ, რომ რკინიგზა რუსმა შეიარაღებულმა ძალებმა უნდა დაიცვან, რომ შემადგენლობა რუსი რკინიგზელებისგან იქნება დაკომპლექტებული და სხვა.**

- სამწუხაროდ, ბაგაფშის მოთხოვნებს არ ვიცნობ. ვფიქრობ, რომ ერთადერთი, რაც უნდა უზრუნველვყოთ, ეს ერთობლივი მუშაობაა, სადაც ქართული სეგმენტი უნდა არსებობდეს. ვფიქრობ, რომ ბაგაფშის პოზიციების შერბილებაში დიდი როლი აკისრიათ სომხებს, რომლებიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაინტერესებული მხარეა ამ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაში. მათ თავის მხრივ აქვთ შესაძლებლობა, იმოქმედონ რუსეთის პოზიციაზე. სოხუმსა და მოსკოვს შორის სარკინიგზო მიმოსვლა, პრაქტიკულად, არსებობს, მაგრამ არ არსებობს ჩვენი მოქალაქეებისთვის. ქართული კონტროლის მონაწილეობით საქართველოს დასავლეთის რაიონებს შესაძლებლობა ექნებათ, აღადგინონ ძველი, საქმიანი ურთიერთობები და გარკვეული სიკეთე მოუტანონ თავის ოჯახებს. დასავლეთ საქართველო შეჩვეულია რუსეთის საზღვრისპირა რაიონებში მუშაობას და ურთიერთობებს. ეს მნიშვნელოვანწილად გამოაცოცხლებდა სიტუაციას ამ რაიონებში, მაგრამ ვფიქრობ, თუ ეს მოძრაობა დაცული არ იქნება, ადამიანები წავლენ რუსეთში სამუშაოდ და უკანა გზაზე გაიძარცვებიან; ბუნებრივია, ამას ჩვენთვის არავითარი აზრი არ აქვს.

**- ეს რკინიგზა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს უფრო წაადგება, თუ რუსულ-აფხაზურს ან სომხურს?**

- რუსულ-აფხაზური სარკინიგზო მოძრაობა მაინც არსებობს, ქართული სეგმენტის დამატება კი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ბაგაფშის გაპრეზიდენტებასთან ერთად, მოსალოდნელი იყო აფხაზურ-ქართული პირდაპირი ურთიერთობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ე.წ. აფხაზური ხელისუფლება მთლიანდ რუსეთის კონტროლის ქვეშ მოაქციეს და ფიზიკური განადგურების შიშის ქვეშ მოქმედებენ. ეს აბრკოლებს პროცესების დარეგულირებას.

**- როდესაც გალის ტერიტორიაზე გაურკვეველი შეიარაღებული ჯგუფები მოსახლეობას იტაცებს და აყაჩაღებს, პოსტფაქტუმ რეაქცია გვაქვს. რამდენად ახერხებს საქართველოს ხელისუფლება თავის მოქალაქეების დაცვას ამ ტერიტორიებზე?**

- ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იმ თვალსაზრისით, როცა ამდენ მილიტარიზაციას გვსაყვედურობენ. სახელმწიფო მზად უნდა იყოს ასეთი სიტუაციებისთვის, რათა ადეკვატური პასუხების გაცემის საშუალება ჰქონდეს. ვფიქრობ, ახლა, როდესაც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ინდივიდუალური გეგმის მიღებამდე ცოტა დროა დარჩენილი, მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ თარიღამდე რაც შეიძლება მომზადებულები და ნაკლები პრობლემატიკით მივიდეთ. ბუნებრივია, ეს არ უნდა მოხდეს ადამიანების ფიზიკური განადგურების ხარჯზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ პროვოკაციები ზღვარს გადასული იქნება, სათანადო პასუხის გაცემა მოგვიწევს.

გალის რაიონში უმსგავსობები ხდება, მაგრამ ეს არ არის მუდმივი ხასიათის და ჯერჯერობით ის არ არის, რაზეც სასწრაფოდ პასუხი უნდა გავცეთ. სახელმწიფოში უნდა არსებობდეს გეგმა - რა ტიპის პროვოკაციებზე როგორი პასუხი უნდა გაიცეს.

**- ცხინვალის რეგიონის გარშემო სიტუაცია პერმანენტულად იძაბება. ორმხრივი მწვავე განცხადებები კი გვაშორებს იმ შედეგს, რომლის მიღწევაც ამ რეგიონში გვინდა...**

- ერთი წლის განმავლობაში გადასადგმელი სამშვიდობო ნაბიჯების გეგმა, რომელიც დღეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოიწონეს, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმისგან, რასაც შარშან ვაკეთებდით და რამაც, სამწუხაროდ, სიტუაციის დაძაბვამდე მიგვიყვანა. ჩვენ არ შეგვშლია პირველი ნაბიჯები და დღევანდელ გეგმაშიც პირველ ნაბიჯებად ჰუმანიტარული დახმარებაა განსაზღვრული. აშშ-სა საერთაშორისო თანამეგობრობის გვერდში დგომა იმისთვის გვჭირდება, რომ იგივე შედეგებამდე არ მივიდეთ. სამხრეთ ოსეთში, პრაქტიკულად, არ არსებობს გადაწყვეტილების მიმღები ოსი ჩინოვნიკი. გადაწყვეტილებას იღებენ ის რუსი ჩინოვნიკები, რომლებიც პარალელურად რუსეთში მუშაობენ. საერთაშორისო თანამეგობრობა იმისთვის გვჭირდება, ჩვენ რომ ან მათთან ლაპარაკის საშუალება გვქონდეს, ან ეს ხალხი ჩააჩოჩონ და უშუალოდ ოსებთან საუბრის საშუალება მოგვეცეს. ამ რუს ჩინოვნიკებს ჩვენთან თანამშრომლობის არანაირი სურვილი არ გააჩნიათ.

**- შეცდომად არც შარშან ზაფხულს განვითარებული მოვლენები მიგაჩნიათ?**

- შარშანდელი პროცესი ჰუმანიტარული აქციებით დაიწყო და ეს შეცდომა არ იყო. მაშინ მარტონი ვიყავით და ის აგრესია, რომელიც რუსებს ჰქონდათ ჩაფიქრებული, მთლიანად პროცესის განმსაზღვრელი გახდა. საერთაშორისო მხარდაჭერით ჩვენი კეთილგანწყობილი ნაბიჯებით გამწვავებამდე არ მივალთ.

**- ნატო-სთან და ევროსტრუქტურებთან დაახლოებას მთლიანად საზოგადოების განვითარება დააჩქარებს, ეს ცნობილია. ამ მზარდი სოციალური უკმაყოფილების ფონზე რა ტიპის სირთულეების გადალახვაა ხელისუფლებისთვის ყველაზე რთული?**

- ვერ ვიტყვი, რომ ეს უკმაყოფილება მზარდია. აქ გასაგები პროცესია, რომელიც ჩვენ ნამდვილად გვესმის. ამდენი საპროტესტო ინიციატივა შევარდნაძის დროს იმიტომ არ იყო, რომ არავის ჰქონდა იმედი, რომ რამეს გააკეთებდა და მას ზედმეტად არ აწუხებდნენ.

**- ამას თქვენ ამბობთ?**

- ძირითადად მე ვაწუხებდი, საზოგადოება კი მასობრივად არ აწუხებდა. როცა რამეს ვაკეთებთ, ბუნებრივად ჩნდება უფრო მეტის გაკეთების მოთხოვნილება, უბრალოდ, ყველაფერი ერთად ვერ ესწრება. ეს კარგია იმისთვის, რომ ხელისუფლებამ კარგად განსაზღვროს პრიორიტეტები.

პრეზიდენტის ინიციატივა ხალხთან მეტი ურთიერთობის შესახებ ბუნებრივია, რადგან სოციალური პროგრამების გარკვეული ციკლი დავამთავრეთ. ახლა ბევრი ანალოგიური პრობლემა წამოიწევს იმ ადგილებში, სადაც ეს პროგრამები არ არის განხორციელებული.

**- პრეზიდენტის ინიციატივა ტელეფონებთან დაკავშირებით გაშარჟდა. რატომ მივიდა პრეზიდენტის ყურამდე მხოლოდ დღეს ის, რომ მთავრობა ხალხს არ ეკონტაქტება? რა ხდება პრეზიდენტის კარზე?**

- ეს არ არის პირდაპირი მნიშვნელობით გასაგები. მესიჯი არის უფრო მეტი ურთიერთობების აუცილებლობა. მეც ვერ ვპასუხობ ყველა ზარს, რადგან ასეთ შემთხვევაში, საქმეს ვერ გავაკეთებ. ვფიქრობ, აქ სხვა რამ იყო ნაგულისხმევი - როცა ადამიანი პრობლემით მიდის, მან პასუხი უნდა მიიღოს, თუნდაც არადამაკმაყოფილებელი. ეს განცხადება ჩინოვნიკური მექანიზმების მოშლას გულისხმობოდა.

**- თქვენ მიმართ საბურთალოს მოსახლეობის მხრიდან იპოდრომის გამო საყვედურები და ბრალდებები გაისმა. არ გახვედით პარლამენტთან მოსულ თქვენს ამომრჩეველთან, რომელიც, დამეთანხმებით, მხურვალედ გიჭერდათ მხარს წინა საპარლამენტო არჩევნებში. როგორც ვიცი, იპოდრომზე მთელი ბავშვობა გაქვთ გატარებული, რა ხდება მის გარშემო?**

- მაშინ ამომრჩეველთან ურთიერთობა, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე, რადგან თავდაცვის მინისტრთან ერთად ვიყავი აშშ-ში ძალზე მნიშვნელოვანი ვიზიტით. ეს ჩვენმა ოპოზიციამ გამოიყენა.

თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა გავცე პასუხი იმ დაუსაბუთებელ ბრალდებას, თითქოს ამ ყველაფრის უკან გივი თარგამაძე დგას. ეს მაინც არის ისეთი სიტუაცია, რომელშიც ყველაფრის შემოწმება შეიძლება - იპოდრომის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, იმ სამშენებლო ფირმების საქმიანობა, რომელიც მშენებლობის დაწყებას აპირებდა... ძალიან ვთხოვ ყველა ოპოზიციონერს - როცა ბრალდებებს წამოაყენებენ, რაიმე სახის დასაბუთება მაინც წარმოადგინონ.



*თუ ოდესმე ვინმე ან სამოქალაქო საზოგადოებიდან, ან ოპოზიციიდან წარმოადგენს საბუთს ჩემი ახლანდელი ან მომავალი კორუფციული გარიგების შესახებ, ავტომატურად დავტოვებ ამ პოსტსაც, დეპუტატობასაც და საერთოდ პოლიტიკასაც და ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ.*

**- როგორც წესი, ამგვარ დოკუმენტაციას არავინ ქმნის, კომპრომატებს არავინ ტოვებს და ეს თქვენ უნდა იცოდეთ.**

- თავად ვიყავი ოპოზიციაშიც, ვმუშაობდი ჟურნალისტურ გამოძიებაზე და საკუთარი თავისთვის არასდროს მიმიცია უფლება, რომ თუნდაც შევარდნაძის ოჯახისთვის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე წამეყენებინა რაიმე ბრალდება.

მინდა, საერთო წუხილი გამოვთქვა იმის გამო, რომ ოპოზიცია თამაშის წესებს არ ცნობს და ეს ძალიან ართულებს პოლიტიკურ ფონს. დაბნეული ვარ და არ ვიცი, როგორ უნდა გავცე პასუხი ამ ბრალდებებს. მინდა, ბოდიში მოვუხადო საზოგადოებას იმ პასუხისთვის, რაც თავის დროზე კობა დავითაშვილს გავეცი, როდესაც მან პარლამენტის სხდომაზე კორუმპირებული მიწოდა...

**- ამასვე ამბობენ ერთ დროს თქვენი მეგობრები სამოქალაქო საზოგადოებიდანაც...**

- ერთი რამის თქმა შემიძლია ხაზგასმით, თუ ოდესმე ვინმე ან სამოქალაქო საზოგადოებიდან, ან ოპოზიციიდან წარმოადგენს საბუთს ჩემი ახლანდელი ან მომავალი კორუფციული გარიგების შესახებ, ავტომატურად დავტოვებ ამ პოსტსაც, დეპუტატობასაც და საერთოდ პოლიტიკასაც და ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. რთულია ასეთი ბრალდებების მოსმენა იმიტომ, რომ მთლიანად ფონი ხდება დაძაბული. უწმაწური გამონათქვამები ჩემი სტილი არ არის, მაგრამ როდესაც კორუმპირებული მიწოდეს, ეს ჩემთვის დედის გინების ტოლფასი იყო. აბსურდული რამ ითქვა - თურმე, ალავიძის პოლიციელები ფულით დავნიშნე...

**- უფულოდ მათი დანიშვნა არანაკლებ სამარცხვინოა...**

- ყველა სადღაც ნამუშევარი იყო და შსს-ს დაკომპლექტებისას ყველას ვერ გავყრიდით. ოპერატიულ მუშაკობას სპეციფიკური ცოდნა უნდა, რასაც ახალი ადამიანი უცებ ვერ შეიძენს. ამ ბრალდებაზე პასუხის გაცემის საშუალება არ მომეცა და ახლა ვიტყვი - როგორც ვხვდები, ლევან გვაზავასა და დავით ბედიაზეა საუბარი.

**- ბაღათურიაზეც, ალბათ.**

- ვერ გეტყვით, რამდენად არის ამ სიაში ბაღათურია. ეს ორი ადამიანი სულ პირველ ეტაპზე, ბარამიძის მინისტრობის დროს დაინიშნა. მაშინ სამინისტროსთან არსებობდა საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც თითოეულ კანდიდატურას სწავლობდა. ამ საბჭოში კობა დავითაშვილისა და სხვა ოპოზიციონრების ბევრი მეგობარი იყო. არც მინისტრი ვიყავი და კარგად არ მესმის, როგორ უნდა დამენიშნა ადამიანები თანამდებობაზე, მაგრამ თუ ვინმეს რეკომენდაცია გავუწიე, ეს საბჭოზე უნდა განხილულიყო.

ძალიან საწყენია, როდესაც ლევან ბერძენიშვილი აჭარაში ჩემ მიერ ვითომ ჩადენილ ამბებზე ლაპარაკობს. მახსოვს, ჩემი წერილების გამო ბერძენიშვილების მთელი ოჯახი მიხდიდა მადლობას. თავის ქებით არ ვამბობ, მაგრამ აჭარის პრობლემას თავი შევაკალი და როგორც კი ეს ჩემთვის დამთავრდა, მაშინვე დაიწყო ოსეთი. აჭარაში იმის შემდეგ გავლით ვარ ნამყოფი რამდენჯერმე.

დავით გამყრელიძე ამბობს, რომ თურმე უკრაინაში მაღაზიების ქსელი მაქვს. გამყრელიძე ამის გაკეთებას მოახერხებდა, მე - ვერა. მით უმეტეს, კიევიდან პირდაპირ ყირგიზეთში ამოვყავი თავი. უსინდისობაა ასეთი ბრალდებები.

რაც შეეხება, იპოდრომის თემატიკას - ამომრჩეველთან შეხვედრა არ მქონია, მაგრამ ეს საქმე მოვიკითხე, დაველაპარაკე ამ იდეების ავტორებს. მშენებლობებთან დაკავშირებით არის მხოლოდ შემოთავაზებები, რომელიც არათუ დაკანონებული, განხილულიც არ არის. ბუნებრივია, თუ ეს თემა იარსებებს, მის განხილვაში მონაწილეობას ის საზოგადოება მიიღებს, რომელიც იპოდრომით სარგებლობს. მართალი ბრძანდებით, მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული. შემდგომშიც იპოდრომთან ახლოს ვცხოვრობდი და ბუნებრივია, იპოდრომის მნიშვნელობა მესმის. საკითხი ისე მწვავედ არ იდგა, როგორც ეს ოპოზიციურმა ძალებმა გაამწვავეს. უხეშად რომ ვთქვათ, ხალხი "დაქოქეს" იმ პრობლემაზე, რომელიც არ არსებობს.

**- რეგიონებიდან მუდმივად გვწერენ, რომელი ჩინოვნიკი სადრა სასტუმროს აშენებს და რის წილშია. თქვენ ეს ბრალდებები გაწუხებთ, მაგრამ როგორც წესი, ასეთ ხმებს სპეციალური სახელმწიფო სამსახურები ავრცელებენ ხოლმე. დამღლელი და არასერიოზულია ასეთი ურთიერთბრალდებები...**

- ამა თუ იმ ოპოზიციონერის და მათ შორის, კობა დავითაშვილის შესახებ უფრო მეტად დასაბუთებულად შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ არ მინდა იმიტომ, რომ უამრავი საქმე მაქვს. არ მინდა, ამას თავი დავანებო და საგამოძიებო ჟურნალისტიკას დავუბრუნდე.

**- და დარჩებით ასე დისკრედიტირებული?**

- სხვა შემთხვევაში, საქმე უნდა დავაზარალო.

უშიშროების სამსახურში არსებული ჭორების დაყრის ინსტიტუტი ჩვენ არ ავალორძინეთ. ამიტომ ვერ გეტყვით, რომ ასეთი სახელმწიფო ინსტრუმენტი არსებობს. ვერ დავიბრალებ, რომ რუსების წინააღმდეგ ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე ვარ, მაგრამ ისინი ბევრჯერ გამიღიზიანებია, უკრაინაში იქნებოდა ეს თუ ყირგიზეთში. მათ აქვთ ეს მექანიზმები და ვიცით, რომ ისინი ფულს ხარჯავენ ამაში. ფულს იხდიან აგრეთვე სტატიებში და მათ შორის, საზღვარგარეთულ გამოცემებშიც.

მაინც მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ოპოზიციის კონსტრუქციულობა. ყველანაირად ვცდილობთ, შევარდნაძის დროინდელი ტალახიდან ამოვიდეთ და მათთვის არ არის კარგი ასეთი პოლიტიკური ფონი. ნებისმიერ დასაბუთებულ კრიტიკას მივიღებ, მაგრამ ვერ გეტყვით, ახლა როგორ უნდა ვუპასუხო ასეთ ბრალდებებს.

**- ძალაუფლების ხიბლის შესახებ რას იტყვით?**

- ადამიანურად თუ შეხედავ, არანაირი ხიბლი არ აქვს, რადგან ოჯახისთვის დრო არ გაქვს; მაგრამ მეორე მხრივ, ხიბლი ის არის, რომ ამ ქვეყნისთვის რაღაცის გაკეთება შეგიძლია და აუცილებლად გავაკეთებთ კიდეც. როდესაც ბევრი წელი გავა, აღარ ილაპარაკებენ, იპოდრომის წილში ვიყავი თუ კიდევ სხვა წილში. ჩემთვის მთავარი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ქვეყნის გამთლიანებაა და ამას შევძლებთ.

**საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროები გეგმავენ კერძო ინვესტიციის მოზიდვას წინანდლის ალ. ჭავჭავაძის მემორიალური სასახლისა და პარკის მოვლა-პატრონობისა და კულტურული მემკვიდრეობის ამ უნიკალური ძეგლის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.**

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო წარმოგიდგენთ ხელშეკრულების პირობებს ძეგლის დაცვისა და მისი სწორი განვითარებისათვის.

ძეგლის წარმატებული მართვისა და გამოყენების პირობებში საზოგადოებრივი აზრის გასათვალისწინებლად სამინისტროში მოქმედებს ცხელი ხაზი.

გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონზე:

99 50 06 ყოველ დღე, შაბათ კვირის გარდა.

**წინანდლის ალ. ჭავჭავაძის მემორიალური სასახლისა და პარკის მოვლა-პატრონობის ვალდებულებები**

**1. ბაღის ტერიტორიაზე, ძეგლებსა და სხვა კულტურულ ფასეულობებზე საზოგადოებრივი დაშვება**

მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) საზოგადოებრივი დაშვება წლის ნებისმიერ დროს, კვირის ნებისმიერ დღეს, 10.00-დან 18.00-მდე, გარდა ორშაბათისა და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა, აგრეთვე - მოიჯარის მიერ დათქმული კვირის ნებისმიერი დღისა.

ბ) სპეცსაცავებში (ალექსანდრე ჭავჭავაძის მემორიალური სასახლე, ექსპოზიციები, ენოთეკა), დაშვება მხოლოდ სპეცსაცავებში მომუშავე ექსკურსიმძღოლის ან დაცვის თანამშრომლის თანხლებით;

გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის UNESCO, ICCROM, ICCOM-ის წევრების, უფასო დაშვება.

**2. ძეგლის ტერიტორიაზე დაგეგმილი დროებითი ღონისძიებების ჩატარების პირობები:**

მოიჯარე ვალდებულია ხელი შეუწყოს ძეგლის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას წინასწარ შეთანხმებული პირიობებით;

**3. პარკისა და უძრავი ძეგლების დაცვა:**

მოიჯარე ვალდებულია:

ა) სამინისტროსთან გააფორმოს უძრავი ძეგლის დაცვითი ხელშეკრულება.

ბ) ხელი შეუწყოს სამინისტროს უძრავი ძეგლის აღრიცხვაში, სამეცნიერო შესწავლასა და მდგომარეობის შემოწმებაში.

გ) უზრუყნველყოს ძეგლის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტითა და ნებართვით მათზე სარეაბილიტაციო სამუშაოების (რესტავრაცია, კონსერვაცია, ადაპტაცია, რეკონსტრუქცია) ჩატარება.

მათ შორის:

გ.ა) ალ. ჭავჭავაძის სასახლის რესტავრაცია-ადაპტაცია;

გ.ბ) ბაღის ადმინისტრაციის შენობის რესტავრაცია-ადაპტაცია;

გ.გ) ბაღის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე არსებული ავარიული კოშკის რესტავრაცია.

გ.დ) სანერგე მეურნეობის შენობის რესტავრაცია-ადაპტაცია;

გ.ე) ძველი მაცივარი ნაგებობის რესტავრაცია-ადაპტაცია;

გ.ვ) ძველი ღვინის სარდაფი-ქარხანის რესტავრაცია-ადაპტაცია;

გ.ზ) ლაბორატორიის შენობის რესტავრაცია-ადაპტაცია;

გ.თ) ძველი წყალმომარაგების საინჟინრო ნაგებობის შენარჩუნება;

დ) კეთილმოაწყოს ძეგლის ტერიტორია (განათავსოს და აღადგინოს ბილიკები, გზები, გაზონები, დასასვენებელი სკამები, ლამპიონები, ქართულ-ინგლისურენოვენი საანოტაციო დაფები, ბაღის გეგმისა და მიმართულების საჩვენებელი ნიშნებით);

ე) აწარმოოს ძეგლთა და კულტურულ ფასეულობათა მდგომარეობის მუდმივი შემოწმება, შედეგი აცნობოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და უზრუნველყოს მასთან შეთანხმებული პროექტით მათი რესტავრაცია-რეაბილიტაცია.

ვ) არ დაუშვეს ბაღ-პარკის ტერიტორიაზე რაიმე სახის მიწის ან სამშენებლო სამუშაოები, "გარდა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოებისა კანონმდებლობით განსაზღვრული ნებართვის გარეშე.

ზ) უზრუნველყოს ბაღ-პარკის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის, მათ შორის უნიკალური ჯიშის ნარგავების მოვლა შესაბამისი მეცნიერული კვლევისა და დიაგნოსტირების შემდეგ, უზრუნველყოს მათზე საექსპლიკაციო ბარათების განთავსება.

თ) უზრუნველყოს პარკის ტერიტორია და შენობები სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით.

ი) გაწმინდოს და აღადგინოს საინჟინრო კომუნიკაციები.

**4. მოძრავი ძეგლებისა და სხვა მოძრავ კულტურულ ფასეულობათა დაცვის პირობები:**

1. ხელი შეუწყოს სამინისტროს მოძრავი ძეგლის აღრიცხვაში, სამეცნიერო შესწავლასა და მდგომარეობის შემოწმებაში.

2. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ალექსანდრე ჭავჭავაძისMსასახლეში დაცული ნივთების შენახვისა და ექსპონირების პირობები.

მათ შორის:

ა) შესაბამისი აღჭურვილობის მონტაჟით დაარეგულიროს საცავებში ტენიანობის, ვენტილაციის, ბიოლოგიური და ტემპერეტურის რეჟიმი;

ბ) შესაბამისი აღჭურვილობის მონტაჟით უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოება და სიგნალიზაცია;

გ) შენობასა და ნივთების საცავ ფონდებში დაამონტაჟოს სათანადო ელექტრო გაყვანილობა, განათება;

დ) ნივთების საცავ ფონდებში დაამონტაჟოს თანამედროვე სტელაჟები და თაროები, აღჭურვოს ნივთთა საცავები სათანადო სეიფებით;

3. მოიჯარე ვალდებულია ჩაუტაროს რესტავრაცია შემდეგ ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) Mალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლეში დაცული ავეჯი (საინვენტარო NN 493, 1113, 1392, 806, 808, 809, 911, 812, 813, 814, 816, 817, 819, 820, 821, 825, 827 840, 1102, 1103, 1038, 1307, 1042, 1072, 877, 841, 1041, 1068, 1067, N1114, 1235);

ბ) საათები (საინვენტარო NN 826, 500, 1088, 1401);

გ) ხალიჩები (საინვენტარო NN 1070, 828, 1089);

დ) როიალი (საინვენტარო N 1105);

ე) შანდლები (საინვენტარო NN 606, 1069);

ვ) სირათი ჩარჩო (საინვენტარო N 656);

ზ) სარკე (საინვენტარო NN 1395, 1062-1, 1062);

თ) მარაო (საინვენტარო N103);

ი) ხელჩანთა (საინვენტარო N337).

4. მიჯარე ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს ნივთების მდგომარეობა და დაზიანების გამოვლენის შემთხვევაში ჩაუტაროს სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.

5. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს მოძრავი ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობათა ექსპოზიცია და რეექსპოზიცია თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**5. ენოთეკის დაცვისა და გამოყენების პირობები**

მოიჯარე ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ტემპერატურული რეჟიმის სტაბილურობა (14-16 C0);

ბ) უზრუნველყოს ბოთლების ჰერმეტიულობის დაცვა;

გ) წელიწადში ორჯერ ჩაატაროს ენოთეკის სრული ინვენტარიზაცია;

დ) უზრუნველყოს დაცვის სისტემების მონტაჟი;

ე) უზრუნველყოს ქართველი და დასავლელი ექსპერტების მონაწილეობა ენოთეკის თანამედროვე ტექნოლოგიებით დაცვა-შენახვაში.

**6. სხვა პირობები**

მოიჯარე ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ ნებისმიერ დროს ძეგლებზე მონიტორინგის ჩატარებას;

ბ) დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელმაც სავარაუდოდ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს უძრავ და მოძრავ ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე;

გ) არ დაუშვას რაიმე სახის ცვლილება ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური სამინისტროსთან კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმების გარეშე.

დ) უზრუნველყოს ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობებზე დაზღვევა;

**ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი**

მოიჯარეს მიერ ზემოაღნიშნული პირობების დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

# განცხადება

## შავ ზღვაში ქაფშიის თევზჭერის უფლების (ლიცენზიის) მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარების შესახებ

| **თევზჭერის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება (ან სამთავრობო დაწესებულება)** | **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო** |
|---|---|
| აუქციონის კონკრეტული ობიექტი | 2005-2006 წლებში ქაფშიის კვოტა შავი ზღვის ქაფშია -60000 სამოცი ათასი ტონა |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | 100, 200, 500, 1000, 2000 და 10000 ტონიან ლოტებზე აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 4 ნოემბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით და აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 5 დეკემბერს 11 საათზე.<br><br>საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თბილისი გულუას ქ.N6 (ორთაჭალა) |

აუქციონზე გამოსატანი ქაფშიის კვოტა წარმოადგენს 60 000 ტონას, რომელიც დაიყოფა 41 ლოტად - მათგან:

ლოტის დასახელება რაოდენობა საწყისი ფასი "ბე"- ოდენობა

- ლოტი ა. 10000 ტ 10000 ლარი "ბე" -2000 ლარი
- ლოტი ბ. 10000 ტ 10000 ლარი "ბე" - 2000 ლარი
- ლოტი გ. 10000 ტ. 10000 ლარი "ბე" - 2000 ლარი
- ლოტი დ. 10000 ტ 10000 ლარი "ბე" - 2000 ლარი

- ლოტი ა. 2000 ტ 2000 ლარი "ბე"- 400 ლარი
- ლოტი ბ. 2000 ტ 2000 ლარი "ბე"- 400 ლარი
- ლოტი გ. 2000 ტ 2000 ლარი "ბე"- 400 ლარი
- ლოტი დ. 2000 ტ 2000 ლარი "ბე"- 400 ლარი

- ლოტი ა 1000 ტ 1000 ლარი "ბე" 200 ლარი
- ლოტი ბ 1000 ტ 1000 ლარი "ბე" 200 ლარი
- ლოტი გ 1000 ტ 1000 ლარი "ბე" 200 ლარი
- ლოტი დ 1000 ტ 1000 ლარი "ბე" 200 ლარი
- ლოტი ე 1000 ტ 1000 ლარი "ბე" 200 ლარი

- ლოტი ა. 500 ტ 500 ლარი "ბე" -100 ლარი
- ლოტი ბ. 500 ტ 500 ლარი "ბე" -100 ლარი
- ლოტი გ. 500 ტ 500 ლარი "ბე" -100 ლარი
- ლოტი დ. 500 ტ 500 ლარი "ბე" -100 ლარი
- ლოტი ე. 500 ტ 500 ლარი "ბე" -100 ლარი
- ლოტი ვ. 500 ტ 500 ლარი "ბე" -100 ლარი
- ლოტი ზ. 500 ტ 500 ლარი "ბე" -100 ლარი
- ლოტი თ. 500 ტ 500 ლარი "ბე" -100 ლარი
- 
- ლოტი ა. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი ბ. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი გ. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი დ. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი ე. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი ვ. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი ზ. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი თ. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი ი. 200 ტ 200 ლარი " ბე"- 40 ლარი
- ლოტი კ. 200 ტ 200 ლარი "ბე"- 40 ლარი
- 
- ლოტი ა. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი ბ. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი გ. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი დ. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი ე. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი ვ. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი ზ. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი თ. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი ი. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი
- ლოტი კ. 100 ტ 100 ლარი "ბე"- 20 ლარი

აუქციონზე "ბიჯის" სიდიდე წარმოადგენს საწყისი ფასის 10%.

"ბე" გადახდის ქვითარი თან უნდა ერთვოდეს განცხადებას აუქციონში მონაწილეობისთვის.
"ბე"- გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

**ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის N200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000.**

შენიშვნა: "ბე" გადახდილ უნდა იქნეს უშუალოდ აუქციონში მონაწილე სუბიექტის მიერ.
სულ 41 ლოტი; ორმოცდაერთივე ლოტის საწყისი ფასი 60000 ლარი

| | |
|---|---|
| თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია: | განცხადება, სადაც აღნიშნულია ლოტის დასახელება და რაოდენობა.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც აუცილებლად დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში<br>ბ)ფიზიკური პირისათვის (საქართველოში მაცხოვრებელი)იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.<br><br>ვ). "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი<br><br>**შენიშვნა*** 1. აუქციონში მონაწილეობის მიღების მიზნით სამინისტროში განცხადება შეიძლება შემოტანილ იქნეს მხოლოდ საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ ან ფიზიკურ პირების მიერ.<br>2. თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მცურავი საშუალებებით. ამასთან სარგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები განხორციელებული უნდა იყოს ამ აუქციონის გამოცხადებამდე. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ერთი კვირა.<br><br>**შენიშვნა:** გამარჯვებული ვალდებულია ასევე ლიცენზიის მიღებამდე წარუდგინოს სამინისტროს ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი, რომელიც ერთ ტონა ქაფშიაზე შეადგენს 25 ლარს. |

გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.
თევზჭერისათვის განკუთვნილი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დასაშვები მოცულობა დგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
გთხოვთ, ინფორმაციისთვის დამატებით, მიმართოთ ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თბილისი გულუას ქ.N6 (ორთაჭალა) ტელ 465008

| | |
|---|---|
| თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადაა | ლიცენზიის მიღებიდან 2006 წლის 1 მაისამდე. |

## ორშაბათი 7.11

### რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" 10.00 სერიალი "ოცნების კოშკები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.40 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" (გ) 13.30 "ჯეობარი" 15.25 "რობოტი და რობოტუნები" 16.00 სერიალი "მეამბოხე სული" 16.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერიალი "მეამბოხე სული" 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 შაბათის შოუს გამეორება 23.00 "ჯეობარი" 00.00 სერიალი "იდუმალი ტბა" 01.00 მხ. ფილმი "აგონია" (15) (ა. პეტრენკო) 04.10 პატრული

### TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 15.00(ბელგია) 16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), 04.00 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.00 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 07.05 საიდუმლო ხელისუფლება. დოკ. ფილმი. 08.30 ტელედილა. 11.05 გადაცემა: ოჯახის ფოტოები. 12.15 სამხრეთის ანარეკლი. 15.30 ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 16.25 მატყუარები. მხ ფილმი. რეჟისორი ბარბე შროდერი. 1984. 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 20.25 გადაცემა: თალასა. 22.05 ზღვის მეორე მხარეს. დოკ. ფილმი. 23.00 გადაცემა. თვალსაზრისი. 24.25 GOD'S COUNTRY დოკ. ფილმი. 04.25. დღეები და ღამეები. ტელესერიალი.

### პირველი არხი

08.00 მხ. ფილმი "ჰოლივუდის პალმები" 09.00 "მთავარი" 10.00 სერიალი "ანასტასია" 11.00 დოკ. ფილმი "გზავნილები წარსულიდან" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმ. ფილმი "მედელაინი" 12.45 ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "სიკვდილის ხეივანი" 15.00 "მთავარი" აფხაზურ ენაზე 15.30 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.45 მულტსერიალი "მუმეზას კოვბოები" 16.15 სერიალი "ნათლია-ბონანოს ახალგაზრდობა" 17.00 სერიალი "ექვი" 18.00 "მთავარი" 18.30 "გზაჯვარედინი" 19.00 დოკ. ფილმი "დღე, როდესაც დედამიწა კინაღამ დაიღუპა" 20.00 "მთავარი" 20.45 "ზაბილინა" 21.00 სერიალი "ანასტასია" 22.00 სერიალი "ადვოკატები" 23.00 მხ. ფილმი "ნათესავები" (გ) 00.30 საინფ. გამოშვება

### მზე

08.30 საინფორმაციო კოლაჟი 08.35 მუსიკა მზეზე 09.15 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 09.45 სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 10.30 მხ. ფილმი "ვარსკვლავეთში" 12.15 "რუსთა ველი" - ი. გუსმანი 12.45 ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" 13.00 ფეხბურთი (გან.) 14.50 სერიალი "ტაქსის მძღოლი" 15.40 სერიალი "კარაბინერები" 16.40 ფეხბურთი (გან.) 18.30 "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" 19.00 "მზერა-ჰედლაინი" 19.15 სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 20.00 "მზერა" 20.45 სერიალი "კარაბინერები" 21.45 კრიმ. სერიალი "სთშ" 22.30 საინფორმაციო კოლაჟი 22.35 აფხაზეთის კლიპი 22.40 მხ. ფილმი "ვნებათაღელვა" (გ) (სანდრინ ბონერი) 00.15 მხ. ფილმი "წყლის წონა" (15) (შონ პენი)

### მეორე არხი

19.00 "ზაბილინა" 19.15 მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავალი" 19.40 ახალი პროექტი 20.05 სპექტაკლი "ვაზის ყვავილობა" მე-4ს.

### იმედი

07.00 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 13.00 ქრონიკა 10.00 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 11.00 დროება 12.40, 16.25, 01.25 ტვ-მარკეტი 13.15 ქართ. ფილმი "დათა თუთაშხია" მე-4ს. 14.35, 16.15, 03.20 იმედის მელოდიები 15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.10 ქრონიკა 15.20 სერიალი "მოჯადოება" 16.40 დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" 17.10 სპ. პროგრამა "ოლიმპიური ინტერიერი" 17.40 ლატარეა "ჰჩჰ" 18.05 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 19.05 სერიალი "მოჯადოება" 20.55 სერიალი "საბრალო ნასტია" 21.55 "ნიკა ქავთარაძის შოუ" 23.45 მხ. ფილმი "საჭირო ხალხი" (15) (ალ პაჩინო) 02.00 სერიალი "შეხვედრის ადგილი უცვლელია" 1-ლი ს.

### აჭარა

08.00 "შესანიშნავი შვიდეული" 08.30 "ახალი ამბები" 08.45 კომედია "ძლიერი ქალი" 10.30 ბოევიკი "წყალქვეშა ნავი მოჩვენება" 12.30 დეტექტივი "მაჰუნის საკუთრება" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "ახალი ამბები" 14.45 "დებატები" 15.45 დოკ. ფილმი 16.40 მულტსერიალი 18.00 "პროექტი მომავალი" 18.30 "ნოვოსტი" 18.50 დოკ. ფილმი 20.00 "შესანიშნავი შვიდეული" 21.00 მუსიკა 21.30 "პროექცია" 22.00 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი"

### ОРТ

06.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 06.05 Первая программа. 07.00 Доброе утро. 10.10 Сердце Африки. 11.50 Док. фильм "Звездные разводы". 13.20 Большой обед. 14.20 Юрий Никулин в фильме **"КО МНЕ, МУХТАР!"**. 16.10 Лолита. Без комплексов. 17.00 Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ"**. 18.00 Федеральный судья. 19.10 Кривое зеркало. 19.40 Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ"**. 20.50 Жди меня. 22.00 Время. 22.30 Сериал **"ЕСЕНИН"**. 23.30 Спецрасследование: "Птичий грипп". 00.40 Ночные новости. 01.00 Сериал **"БРАТСТВО БОМБЫ"**. 02.10 Джастин Уэдделл в комедии **"ЕДИНСТВЕННАЯ НА СВЕТЕ"**. 03.35 Саймон Бэйкер в фильме **"СЕКС, НАРКОТИКИ И САНСЕТ СТРИП"**. 05.10 Неизвестная планета.

### НТВ

07.00 "Сегодня утром". 10.15 "Вопрос... еще вопрос". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня. 11.20 Чистосердечное признание. 11.55 Кулинарный поединок. 12.55 Квартирный вопрос. 14.30 Джон Траволта в боевике **"ПАРОЛЬ "РЫБА-МЕЧ"**. 16.35, 19.30, 00.45 Чрезвычайное происшествие. 17.20 Сериал **"КАМЕНСКАЯ 3: КОГДА БОГИ СМЕЮТСЯ"**. 20.40 Сериал **"БРИГАДА"**. 1-я с. 21.50 Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА 2: ЧЕМПИОНКА"**. 23.40 Реальный сериал "Рублевка. Live". 01.20 Ток-шоу "Школа злословия". 02.15 "Все сразу!" 02.45 Дона Спэйр в боевике **"ГОТОВЫЙ УБИВАТЬ"**. 04.35 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО 6"**. 05.25 Арманд Ассанте в фильме **"ФАТАЛЬНЫЙ ИНСТИНКТ"**.

## სამშაბათი 8.11

### რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" 10.00 სერიალი "ოცნების კოშკები" 11.00 სერიალი "იდუმალი ტბა" 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 13.30 "ჯეობარი" 15.25 "რობოტი და რობოტუნები" 16.00 სერიალი "მეამბოხე სული" 16.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 18.30 პატრული 19.00 სერიალი "მეამბოხე სული" 19.50 სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" 22.00 ღამის შოუ 23.00 "ჯეობარი" 00.00 მხ. ფილმი "მისტერ ნიკი" (გ) (კელსი გრემერი) 02.20 პატრული

### TV5

